პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგის 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% სახელმწიფო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 23 მარტი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 64 (1819)

დ ღ ი უ რ ი

— ლატვიელი ფაშისტები გადატრიალებას ამზადებენ.
— პოლონეთის დამოუკიდებელი გლეხთა პარტია კანონს გარეშეა გამოცხადებული.
— ბულგარეთი მოითხოვს სამხრეთ-დობრუჯის დაბრუნებას.
— მელითონეთა გაფიცვა ლოძში გრძელდება.
— ამერიკელი სენატორი ბორა მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას.
— საბჭოთა კავშირის რკინის-გზელები ეხმარებიან მექსიკის გაფიცულ რკინის-გზელებს.
— საკავშირო ავიო-ლატარიის გათამაშება დაიწყება 1 მაისს.

დღეს, 23 მარტს საღამოს 7 საათ. შესდგება
ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
ს. ს. ცაკის მდივანი ს. თოდრია

ა. წ. 24 მარტს, საღამოს 6 საათზე,
საქ. კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში
შესდგება
საქართველოს კომპარტიის ცეკას
მორიგი პლენუმი
საქ. კომპარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად
საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი ქართველიშვილი

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
აპრილისათვის
ხელის მოწერა გარდა კანტორისა მიიღება აგრეთვე სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

შანხაის მუშების გამარჯვება

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

შანხაი აღებულია! შანხაი აჯანყებული ხალხის ხელშია! ჩინელი დენიკინის ჩჟან-ცზუნ-ჩანის დამქაშები რევოლიუციონურმა მუშებმა განდევნეს შანხაიდან. ქუჩებზე ფრიალებენ გომინდანის წითელ - ცის ფერი დროშები, რევოლიუციის დროშები. რევოლიუციონური არმია შედის შანხაიში.

ეს ცნობა, რომელიც გუშინ მოგვიტანა ტელეგრაფმა, უსათუოდ მსოფლიო მნიშვნელობის ამბავია. შანხაი თანამედროვე ჩინეთში უდიდეს როლს თამაშობს. შანხაი უდიდესი სამეურნეო, სამრეწველო და სავაჭრო ცენტრია. შანხაი უდიდესი ნავთსადგურია არა მარტო ჩინეთისათვის; ის არის პირველხარისხოვანი მსოფლიო ნავთსადგური. ჩინეთის იმპერიალისტური ექსპლოატაციის სათავე იყო და არის, უმთავრესად, შანხაი. შანხაისაკენ მიემართებოდნენ ათასობით უცხოელთა გემები და იგზავნებოდა აუარებელი საქონელი და კაპიტალები ყველა ქვეყნიდან. შანხაი იყო საერთაშორისო ლაშქრის კაპიტალის დასაყრდენი ბაზა ჩინეთში, იმპერიალისტური ქალაქი, საიდანაც უცხოელთა ბატონობა ვრცელდებოდა მთელს ჩინეთზე. მრავალ მილიონ ფუთ საქონელთან ერთად შანხაიდან გაჰქონდათ ჩინეთის ხალხის შრომით შექმნილი ზედმეტი ღირებულება. შანხაის საფეიქრო წარმოებებში დღე და ღამე ტრიალებდა მილიონი ჯარა, დღე და ღამე ურტყამდა პროლეტარული ჩაქუჩი შანხაის ლითონის მრეწველობის ქარხნებში. ზღაპრული ტემპით იზრდებოდა და მიდიოდა წინ ქალაქი—ბუმბერაზი და ბოლოს ის გადაიქცა მრავალ-მილიონიანი ჩინეთის ინდუსტრიალურ პროლეტარულ ცენტრათ.

შანხაის ფაბრიკა - ქარხნებში თავმოყრილია თითქმის ნახევარი მილიონი მუშა. შანხაის პროლეტარიატის სახით ჩვენ გვყავს ჩინეთის პროლეტარიატის ყველაზედ უფრო შეკავშირებული და ყველაზედ უფრო რევოლიუციონური რაზმი. შანხაის მუშები რევოლიუციონურ მოძრაობაში თამაშობენ და კიდევ ითამაშებენ ისეთ როლს, როგორსაც ჩვენში თამაშობენ ლენინგრადის მუშები. შანხაის მუშა-პიონერები ჩინეთის რევოლიუციის სიგნალიზატორები არიან. მათგან იწყება ჩინეთის ხალხის გამოღვიძება. პირველათ შანხაის მუშებმა გაჰბედეს გამოსვლა იმპერიალისტების წინააღმდეგ. ორი წლის წინათ მათ ჩაატარეს საყოველთაო გაფიცვა, რომელმაც ააფორიაქა მთელი მსოფლიო და რომლისთვისაც დაიღვარა შანხაის მუშების საუკეთესო ნაწილის სისხლი. მათ არ დაუყრიათ იარაღი მაშინაც კი, როცა ქალაქში ბატონობდა სუნ-ჩუან-ფანი, როცა ჯალათი თავს აგდებინებდა მუშებს. მათ ეხლა გარეკეს შანდუნის ბანდები. შანხაის მუშების გმირული ბრძოლის მეოხებით კანტონის არმია შედის შანხაიში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს შანხაის აღებას და იმას, თუ როგორ აიღეს ის. შანხაი „აიღო" შანხაიმ, აიღეს შანხაის მუშებმა. აიღეს მიუხედავათ ჩჟან-ცზუნ-ჩანის მალიუტა სკურატოვების უსაშინელესი ტერორისა, მიუხედავათ იმისა, რომ ნავთსადგურში იდგა იმპერიალისტური ესკადრა, მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისელთა დესანტი მზათ იყო საომრათ და უცხოელთა გემებიდან ზარბაზნებს პირი მობრუნებული ჰქონდათ ქალაქისაკენ. ეს მოწმობს შანხაის პროლეტარიატის უდიდეს გმირობას, მის რევოლიუციონურ გამბედაობას და ინიციატივას.

შანხაი „აიღო" შანხაიმ. განმეორდა კლასობრივი ბრძოლის კარგათ ცნობილი კანონზომიერება. როცა მასებში იწყება მოძრაობა, კონტრ - რევოლიუციის ჯარების გახრწნა აუცილებელია. რეაქციონურ სამხედრო კასტის წინააღმდეგ დარაზმულია რევოლიუციონური არმია და რევოლიუციონურ გზაზედ დამდგარი ზურგი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს რეაქციის დამარცხებაში.

შანხაის მუშების გამარჯვება საერთაშორისო - ისტორიულ თვალსაზრისით წარმოადგენს იმავე დროს მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებას. შანხაის აღება ჩინეთის რევოლიუციონურ ბრძოლისათვის ქმნის ახალ ჰორიზონტებს, ხოლო ამ ბრძოლას ეხლა გადამწყვეტი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ეს აშკარა ხდება თვით ბრმებისათვისაც.

ჩინეთის უდიდესი მნიშვნელობის ინდუსტრიალური ციტადელის — შანხაის აღება უეჭველად გახდება ისეთ ფაქტორად, რომელიც მარცხნივ წარმართავს ჩინეთის რევოლიუციას. შანხაის მუშები მასებში აღანთებენ რევოლიუციონურ ენტუზიაზმს და ნებისყოფას. ჩინეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი განმტკიცდება და ძლიერ გაიზრდება მისი ჰეგემონიის შანსები რევოლიუციონურ მოძრაობაში. შანხაის აღება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია ჩინეთის ხალხის რევოლიუციონური ენერგია. ძალიან აჩქარდა იმპერიალისტური პრესა, როცა თანამედროვე ჩინეთი რევოლიუციის ჩამქრალ კრატერად გამოაცხადა; შანხაის მუშების გამარჯვება გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთის დიადი ვულკანი კვლავ განაგრძობს საუცხოვოდ მოქმედებას.

ცხადია, რომ დაბრკოლებანი დიდია. გამარჯვება უნდა იქნას განმტკიცებული. პირობები მეტად რთულია. შანხაის ქუჩა ეკუთვნის პროლეტარიატს, მაგრამ იმპერიალისტური ფლოტი სდგას შანხაის რეიდზე. რევოლიუციონური არმია შევიდა ქალაქში, მაგრამ ნაპირზე გამოვიდა იმპერიალისტების მთელი საზღვაო ქვეითი ჯარი. რევოლიუციის დროშა ფრიალებს ქალაქში, მაგრამ უცხოელთა უბანში საგანგებო წესებია გამოცხადებული. უკვე მზადდება პროვოკაცია შეტაკებისათვის.

როგორც არ უნდა იყოს, შანხაი აღებულია. ჩინეთის რევოლიუციამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ შეხვდენ შანხაის აღებას სიტის ბანკირები, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ ამან მძლავრად აუჩქარა გული მთელ რევოლიუციონურ პროლეტარიატს. და რამოდენიმე ათასი კილომეტრის მანძილიდან საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი უძღვნის მხურვალე სალამს თავის შორეულ, მაგრამ ახლობელ შანხაის მამაც მუშებს.

მოსკოვი, 21 მარტი.

ჩინეთის რევოლიუციის უდიდესი გამარჯვება

რევოლიუციონური ხელისუფლების ორგანიზაცია შანხაიში.—სახალხო დელეგატების კონფერენცია

იმპერიალისტები პროვოკაციას ამზადებენ.—რუსი თეთრგვარდიელები და ჩინელი მილიტარისტები უცხოელთა უბანში იმალებიან

სამხრეთ-სლავიისა და იტალიის დამოკიდებულების გამწვავება.—იტალიის ნოტა სამხრ.-სლავიის მთავრობას

იტალია-სამხრეთ-სლავიის სამხედრო მზადება.—საფრანგეთის გაზეთების შიში

განთავისუფლებულ შანხაიში

ნაციონალური ჯარები შევიდნენ შანხაიში

ლონდონი, 21 მარტი. ლონდონის ოფიციალური რადიო იტყობინება, რომ ნაციონალური არმიის მოწინავე ნაწილები შევიდნენ შანხაიში. მუნიციპალურმა საბჭომ საგანგებო წესები გამოაცხადა. შანხაის უცხოელთა უბანში მცხოვრებ უცხოელების საყურადღებოდ გამოცხადებულია, რომ დაღამების შემდეგ ნუ დასტოვებენ ბინებს. (ადს).

მდგომარეობა შანხაიში

ნიუ-იორკი, 21 მარტი. „ასოშიეტედ პრეს"-ის შანხაელ კორესპონდენტის ცნობით, შანხაის ჩინურ ნაწილში ბრძოლა სწარმოებს. მუშებმა ხელთ იგდეს ჩინელთა პოლიციის რამდენიმე უბანი. შანდუნელები ეწევიან ძარცვა-გლეჯას. უცხოელთა უბნის ტერიტორიას თავი შეაფარეს ჩინელმა პოლიციელებმა და აგრეთვე 100-დე რუსმა თეთრგვარდიელმა, რომლებიც განიარაღებულ იქნენ. 10.000 ჩრდილოეთელი ჯარისკაცი შანხაის რაიონში ნაციონალისტების მხარეზე გადავიდა. ქალაქის აჯანყებულების და შანდუნელების შეტაკების დროს მოკლულ იქნა პენჯაბის პოლკის ორი ჯარისკაცი და დაჭრილია ხუთი. გარდა ამისა დაჭრილია ოთხი ინგლისელი. (ადს).

შანხაის დროებითი კომენდანტის მიმართვა

შანხაი, 21 მარტი. საბჭოთა საკონსულომ შანხაიში მიიღო შემდეგი ოფიციალური წერილი (ალბად იმ მიმართვის ასლი, რომელიც ყველა საკონსულოებს დაეგზავნა შანხაიში) ჩინურ და პარალელური ინგლისური თარგმანით.

„როგორც შანხაის დროებით კომენდანტს, დანიშნულს ეროვნული-რევოლიუციონური არმიის მთავარ სარდლის ბრძანებით, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ ნაციონალისტებმა, მოქმედებენ რა მთელი ჩვენი ქვეყნის ნებისყოფის თანახმად, ამართეს ბრძოლის დროშა ფეოდალური მილიტარიზმის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი მისწრაფებათა და იდეალების მტერია.

ჩვენი არმიის ძალაუფლების ფარგლებში მყოფი ყველა უცხოელების პიროვნება და საკუთრება სავსებით იქნება დაცული და ყველა დიპლომატიური საკითხები, ჩვენი მთავრობის წინანდელ განცხადებათა მიხედვით, გადაწყვეტილ იქნება საერთაშორისო ჩვეულებისა და პრაქტიკის თანახმად და არა ძალის გამოყენების გზით.

პატივი მაქვს გთხოვთ გადასცეთ თქვენი ქვეყნის მოქალ., რომ მათ განაგრძონ თავიანთი საქმიანობა და აგრეთვე მისცეთ ინსტრუქციები თქვენს შეიარაღებულ ძალებს ჩინეთში დაიცვან სასტიკი ნეიტრალიტეტი და არ აღმოუჩინონ რამე დახმარება ჩვენს მტრებს ან ხელი შეუშალონ ჩვენი სამხედრო ძალების ოპერაციებს.

სახალხო დელეგატების კონფერენცია

შანხაი, 21 მარტი. 23 მარტს დანიშნულია სახალხო დელეგატების კონფერენცია, რომელმაც უნდა აირჩიოს ხელისუფლების ახალი ორგანოები შანხაიში. (ადს).

ტერორის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად

ნიუ-იორკი, 21 მარტი. ჩან-შაში შესდგა 120 ათასი კაცისაგან შემდგარი მიტინგი შანხაიში ლი-ბაო-ჩუნის ბრძანებით წამებულთა ხსოვნის პატივსაცემად. მიტინგის მონაწილეებმა ნახევარი დღით შეწყვიტეს მუშაობა. (ადს).

აჯანყებული მუშების ძალაუფლება

შანხაი, 21 მარტი. შანხაის თითქმის მთელი ჩინური ნაწილი იმყოფება აჯანყებული მუშების ხელში. შანხაის ჩრდილოეთის რაიონები მთლიანად მუშების ხელშია. ამ რაიონებში ყველა საპოლიციო უბნები დაკავებულია. პოლიცია და აგრეთვე ტი-შუ-ჩენის ჯარების ზოგიერთი რაზმები განიარაღებულია.

მუშებმა დაიკავეს და განაიარაღეს აგრეთვე შანდუნელების ჯარების ეშელონ, რომელნიც სამხრეთის ფრონტიდან გამობრუნდნენ.

შანხაის ჩრდილოეთის რაიონების უმეტესი ნაწილიც დაკავებულია მუშების მიერ.

დაკავებული არ არის ჩრდილოეთის რკინის გზის სადგურის რაიონი, სადაც ჯავშნოსანი მატარებ. 300 რუსი თეთრგვარდიელით განაგრძობს სროლას ზარბაზნებიდან და აფერხებს მუშების წინსვლას.



ამხ. ბოროდინი
კანტონის მთავრობის მრჩეველი

მუშების რამოდენიმე შეტევა მატარებელზე მოგერიებულ იქნა. რუს თეთრგვარდიელებმა და შანდუნელების ჯარებმა ჯერ ისევ შეინარჩუნეს რაიონი და სძარცვავენ მაღაზიებსა და სახლებს. რაიონის მთელი მოსახლეობა გაიქცა. ზარბაზნების სროლის დროს რამოდენიმე სახლში გაჩნდა ხანძარი, რომელიც რაიონს მოედო.

თითქმის მთელი ფაბრიკები და ქარხნები შანხაიში შეჩერდა. გაფიცულთა რიცხვი 200.000 კაცამდეა. საერთაშორისო უბნის ტერიტორიაზე გაფიცვას ნაწილობრივი ხასიათი აქვს.

საღამოს ჩინური გაზეთები არ გამოსულა. ინგლისური გაზეთები ჯერ ისევ გამოდიან.

ჩინური მაღაზიები საერთაშორისო უბნის მრავალ ნაწილში დახურულია. ქუჩის მოვაჭრენიც სწყვეტენ ვაჭრობას.

შანხაის ძველმა ხელისუფლებამ პეკინში გაგზავნა ოფიციალური თხოვნა გადადგომის შესახებ.

ეროვნული არმიის რეგულიარული ნაწილების ჩამოსვლას შანხაიში მოელიან 23 მარტს. (ადს).

უცხოელთა პოზიცია

შანხაი, 21 მარტი. უცხოეთის ჯარებთან ინციდენტებისა და შეტაკებების შესახებ ცნობები არ მოსულა. უცხოეთის ჯარები, ალბად, იცავენ ნეიტრალიტეტს და არ ერევიან ბრძოლაში ჩინეთის ტერიტორიაზე. საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე, შანხაის ჩინური ნაწილის სამხრეთის რაიონების მახლობლად ისმის თოფების სროლა.

საერთაშორისო უბნის მუნიციპალურ საბჭოს მოწოდებაში ნათქვამია, რომ მუნიციპალური საბჭო წესრიგის დაცვის მიზნით, კვლავ მისწრაფის თანამშრომლობისაკენ ჩინეთის ხელისუფლებასთან, რომლის ხელშიაც იმყოფება შანხაის ჩინური ნაწილი. (ადს).

შანდუნელების ჯარები გარბიან

შანხაი, 21 მარტი. იუწყებიან, რომ ლუნ-ხუაში, შანხაიდან სამხრეთით 7 ვერსტზე, 21 მარტს სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა. **შანდუნის ჯარებმა ბევრი ძალები დაჰკარგეს და გარბიან შანხაის მიმართულებით, სადაც ხდება მათი განიარაღება მუშათა რაზმების მიერ.** (ადს).

იმპერიალისტები მუშების წინააღმდეგ

ლონდონი, 21 მარტი. „დეილი მეილ"-ის შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ შანხაიში მობილიზაციით გამოწვეული არიან წინად ჩაწერილი ყველა მოხალისეები, რომლებიც მსახურობენ ინგლისელ, ამერიკელ, იაპონელ და ფრანგ ჯარისკაცებთან ერთად. კორესპონდენტი იტყობინება, რომ უცხოელთა უბნის ფოსტა-ტელეგრაფის 500 გაფიცულ მუშაკს უნდოდა ქალაქის ჩინურ ნაწილში ბრძოლებთან შეერთება. მათ დაემუქრნენ დახვრეტით, რის გამოც [illegible] იძულებული გახდენ უარი ეთქვათ თავიანთ განზრახვაზე. (ადს).

ხანძარი გრძელდება

შანხაი, 21 მარტი. ხანძარი ჩრდილოეთის რკინის გზის სადგურის რაიონში კვლავ გრძელდება. ყუმბარების სროლა შესწყდა. (ადს).

რუსი თეთრგვარდიელები გარბიან

შანხაი, 21 მარტი. საერთაშორისო უბნის ქუჩაზე საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი შესვდა 2 თეთრგვარდიელს ჯავშნოსან მატარებლიდან, რომელთაც განაცხადეს, რომ მათ უკანასკნელებმა დასტოვეს მატარებელი. დანარჩენი თეთრგვარდიელები (200 კაცი) მატარებლიდან უფრო ადრე გაიქცენ. **რუს თეთრგვარდიელებმა გააფუჭეს ზარბაზნები მატარებელში, გაძარცვეს მეზობელი სახლები და გაიქცენ საფრანგეთის კონცესიისაკენ, სადაც იპოვეს თავშესაფარი.**

თეთრგვარდიელებმა განაცხადეს, რომ ნაციონალურმა ჯარებმა დაიკავეს შანხაის ჩინური ნაწილი. (ადს).

სენატორი ბორა

საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეა

ნიუ-იორკი, 21 მარტი. სენატორმა ბორამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიდაც გაილაშქრა იმ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, რომელნიც კომუნიზმთან ბრძოლის საბაბით ახშობენ ეროვნულ მოძრაობას.

ბორამ კვლავ მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის ცნობას და უარყო შეერთებულ შტატების მონაწილეობა ერთა ლიგაში. (ადს).

ლატვიის გარ. საქ. მინისტრი

საჭიროდ სთვლის საგარანტიო ხელშეკრულების დადებას საბჭ. კავშირთან

რიგა, 22 მარტი. რიგაში გამართულ მიტინგზე ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ცელენსი ამტკიცებდა საგარანტიო ხელშეკრულების დადების აუცილებელ საჭიროებას საბჭოთა კავშირთან. შემდეგ ცელენსმა განაცხადა, რომ ლიტვა დაიწყებს მოლაპარაკებას ლიტვა-ლატვიის მჭიდრო ეკონომიური დაახლოვების განხორციელების მიზნით.

სოციალ-დემოკრატ ბასტიანმა განაცხადა, რომ ლატვიას არ შეუძლია თავისი სახალხო მეურნეობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან მჭიდრო დაახლოვების გარეშე. სოციალ-დემოკრატმა ბრუნომ კალნინმა მოუწოდა წინააღმდეგობის გაწევისაკენ ფაშიზმისათვის, რომელიც ამზადებს გადატრიალებას ლატვიაში (ადს).

ბულგარეთი მოითხოვს

დობრუჯის დაბრუნებას

ვენა, 21 მარტი. ბულგარეთის მთავრობის პარტიის მემარჯვენე ფრთასთან ახლო მდგომი გაზეთი „ზორა" სწერს:

„მას შემდეგ, რაც იტალიამ დაამტკიცა ბესარაბიის ოქმი **ბულგარეთმა უნდა აღძრას სამხრეთ- დობრუჯის დაბრუნების საკითხი, რადგან რუმინეთმა ეს ოლქი მიიღო კომპენსაციის სახით იმ შემთხვევისათვის, თუ ბესარაბია დაუბრუნდებოდა საბჭოთა კავშირს.** რუმინეთმა ყოველ შემთხვევაში მეტი შეღავათები უნდა მიანიჭოს სამხრეთ დობრუჯის ბულგარელ მოსახლეობას".

განიარაღების საკითხი

ინგლისური პროექტი

ბერლინი, 22 მარტი. განიარაღების ინგლისური პროექტი, რომელიც განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში არის წარდგენილი, ითვალისწინებს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შეიარაღების შეზღუდვას. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (ომის გამოცხადების დროს, ანუ შინაური აჯანყების საშიშროების მოლოდინში) შეიძლება გადიდებულ იქნეს შეიარაღების ნორმა. სახმელეთო განიარაღება უნდა მოხდეს ნამდვილ სამსახურში მყოფ ჯარების რიცხვის შემცირებით. საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის პროექტი ითვალისწინებს ყველა სამხედრო გემებისათვის მტკიცე სატონაჟო ნორმის და ზარბაზნების და ნაღმების საზღვრითი კალიბრების დაწესებას. საჰაერო შეიარაღების შეზღუდვა უნდა მოხდეს სამხედრო აეროპლანების შემცირებით (ადს)..

გართულებული მდგომარეობა ბალკანეთზე

ინგლისი „პატიოსანი მაკლერის" როლში

ლონდონი, 21 მარტი. „დეილი ტელეგრაფ"-ის ცნობით, ინგლისის კაბინეტის წევრები და ექსპერტები იხილავენ უცხოეთის დიპლომატიურ ჩარევის საკითხს იტალია - სამხრეთ - სლავიის კონფლიქტის მოგვარების მიზნით. (ადს).

ინგლისი და იტალია პროტესტს აცხადებენ

ვენა, 21 მარტი. 18 მარტს იტალიის ელჩმა ბელგრადში ბოდრერომ სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმ. მინისტრს პერიჩს გადასცა მკაცრი ნოტა. ნოტა შეიცავს პროტესტს სამხრეთ-სლავიის საომარ სამზადისის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ იტალიას არ შეუძლია ნეიტრალური დარჩეს; ნოტაში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობს, რომ ბელგრადი მხარს უჭერს ალბანეთში გადატრიალების მოხდენის გეგმებს. ნოტის გადაცემისას ბოდრერომ განაცხადა, რომ იტალიის მთავრობას „სარწმუნო ცნობები აქვს სამხრეთ-სლავიის საომარ მზადების შესახებ და თუ ეს მზადება გარძელდა, ამას შესაძლოა მძიმე შედეგები მოჰყვეს". **პერიჩმა უპასუხა, რომ იტალიის მთავრობის ცნობები არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან სამხრეთ-სლავიას არავითარი საბაბი არ აქვს ჩაერიოს ალბანეთის საქმეებში.** ასეთივე პასუხი გასცა პერიჩმა ინგლისის ელჩს კენერდს, რომელიც ინგლისის მთავრობის სახელით სამხრეთ-სლავიას ურჩევდა „უდიდესი თავდაჭერილობის" გამოჩენას. (ადს).

პარიზი, 22 მარტი. იტალიის ნოტას ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიისადმი ალბანეთის მდგომარეობის შესახებ პარიზის პოლიტიკურ წრეებში აფასებენ, როგორც ცდას იტალიის მიერ წინასწარ გაამართლოს თავისი ინტერვენცია ალბანეთში.

საფრანგეთის პრესა შეშფოთებულია იტალიის გაზეთების მტრული ტონით საფრანგეთის მიმართ და ხაზს უსვამს, რომ ყველა იტალიური გაზეთები არიან ოფიციოზები. მთელი საფრანგეთის პრესა იტალიის ამ გამოსვლას ხსნის დახმარებით ინგლისის მხრივ. (ადს).

მრისხანე ანალოგია

პარიზი, 21 მარტი. „ტან" ეხება იტალია-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტს და სწერს:

„საჭიროა ყოველივე ძალ-ღონე ვიხმაროთ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად, **ვინაიდან მის განვითარებას შესაძლოა მოჰყვეს ახალი მსოფლიო ომი, როგორც ეს თავის დროზე გამოიწვია ავსტრია-სერბიის უთანხმოებამ".** (ადს).

მდგომარეობა მწვავდება

ვენა, 21 მარტი. დღეს პარლამენტში დაიწყო პერიჩის სიტყვის მოსმენა სამხრეთ-სლავიის პოლიტიკის შესახებ.

ხორვატელ ფედერალისტების ლიდერმა ტრუმბიჩმა სასტიკად გააკრიტიკა იტალოფილური პოლიტიკა, რომელსაც ნინჩიჩი ატარებდა. **ტრუმბიჩის სიტყვის დროს ოპოზიციის სკამებიდან გაისმოდა მტრული გამოძახილი იტალიის მიმართ. დეპუტატი პილდერი** მოულოდნელად წამოხტა და დაუძახა დიპლომატიურ ლოჟაში მჯდომ იტალიის ელჩს ბოდრერას:

„იტალიის ელჩო, თქვენ კიდევ აქა ხართ! წაეთრიეთ თქვენ ბანდასთან ერთად".

ოპოზიცია მხურვალე ოვაციებით შეხვდა პილდერის გამოსვლას. სხდომა შეწყდა. დაუყოვნებლივ იქნა მოწვეული მთავრობის სხდომა შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

ალბანეთის ავანტიურის ნამდვილი შინაარსი

ვენა, 21 მარტი. ბუდაპეშტის გაზეთი „რემელ" იტყობინება, რომ სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, რომ ახმედ ზოგუმ ტირანში ხელი მოაწერა იტალია-ალბანეთის ხელშეკრულებას ინგლისის ელჩის სიდის უშუალო ზეგავლენით. ამავე დროს იტალიის მთავრობამ გაგზავნა ალბანეთში დიდძალი თოფები 500 ტყვიისმფრქვეველი და ამუნიცია, სესხად მისცა ალბანეთს 50 მილ. ლირა. ამავე ცნობების თანახმად, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისათვის ახმედ ზოგუს იტალიის ელჩმა გადაუხადა 2 ნახ. მილ. ლირა. ტირანის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შემდეგ, იტალია გაფაციცებით შეუდგა საზღვაო ბაზის შექმნას საზენოს კუნძულზე, რათა საჭირო შემთხვევაში საშუალება ექნეს დესანტი გადასხას ალბანეთში. სამხრეთ-სლავიის საქმეთა რწმუნებულმა ტირანში კოლბოვიჩმა აღნიშნა, რომ სამხრეთ-სლავია იტალია-ალბანეთის ხელშეკრულებას სთვლის მის წინააღმდეგ მიმართულ აქტად, ხოლო იტალიელ ჯარისკაცების პირველივე პარტიის გადასხმას ალბანეთში ის ჩასთვლის ომის საბაბად. (ადს).

იტალიელი ჯარისკაცების გაგზავნა ალბანეთში

ვენა, 21 მარტი. ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა" იტალია-სამხრეთ სლავიის კონფლიქტის შესახებ იტყობინება, რომ გასულ კვირას ალბანეთის ნაპირებს მოადგა იტალიის ოთხი გემი იარაღებით და ამუნიციით. გარდა ამისა, ალბანეთის ნაპირზე გადმოსხეს 100 იტალიელი ოფიცერი, რომელთაც დავალებული აქვთ საომარ ოპერაციების მომზადება. ნაციონალურ-რევოლიუციონური პარტია ახმედ ზოგუს მთავრობას ბრალს სდებს იმაში, რომ მან ალბანეთი ინგლისის და იტალიის პროტექტორატს დაუმორჩილა და საალყო წესები შემოიღო ახმედ ზოგუს მეფედ გამოცხადების მიზნით. (ადს).

სამხრეთ-სლავია და საბჭ. კავშირი

პერიჩი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ

ვენა, 21 მარტი. სიტყვაში, რომელიც სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრმა **პერიჩმა** წარმოსთქვა პარლამენტში მან შემდეგი განაცხადა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ:

„ჩვენ არა გვაქვს განზრახვა ჩაერიოთ საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში, მაგრამ სამხრეთ-სლავია ყურადღებით ადევნებს თვალყურს საბჭოთა კავშირის განვითარებას. **მთავრობა დარწმუნებულია, რომ მთელი სამხრეთ-სლავიის ხალხი სიხარულით შეეგებება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას".**

ლატვია ფაშისტური გადატრიალების წინ

პილსუდსკი ეხმარება ლატვიელ ფაშისტებს

ვიტებსკი, 22 მარტი. დვინსკიდან მიღებული ცნობებით, ადგილობრივი ფაშისტები ამზადებენ გამოსვლას, რომელიც სიგნალი უნდა გახდეს გადატრიალებისათვის მთელ ლატვიაში. გამოსვლა განზრახული იყო მარტის შუა რიცხვებში, მაგრამ გადაიდო ახალი პრეზიდენტის არჩევნების შედეგების მოლოდინში. ცნობაში აღნიშნულია, რომ კავშირი არსებობს ლატვიაში გადატრიალებისათვის მზადებისა და პოლონურ ჯარების კონცენტრაციას შორის ვილნოს ოლქში. დვინსკში დარწმუნებული არიან, რომ პოლონეთის გავლენიანი წრეები, რომელთაც კავშირი აქვთ ლატვიის ფაშისტებთან, სცდილობენ გადატრიალების გზით შეუშალონ ხელი საგარანტიო ხელშეკრულების დადებას ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის. (ადს).

მემარჯვენეთა კამპანია

რიგა, 22 მარტი. ყველა მემარჯვენე გაზეთების და მემარჯვენე პარტიების ორატორებმა მიტინგებზე მოითხოვეს ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გადადგომა. პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, **მემარჯვენე პარტიებმა წამოაყენეს სეიმის უფლებათა შეზღუდვის, საარჩევნო კანონის შეცვლის და მომავალი პრეზიდენტის უფლებათა გაფართოვების პროგრამა.** მემარჯვენეები მოითხოვენ „მტკიცე" ძალაუფლებას, რომელიც თავმოყრილი იქნება ძლიერი პრეზიდენტის ხელში, და ადიდებენ მუსოლინის და პილსუდსკის.

პრესის ნაციონალ-დემოკრატიულმა ორგანოებმა და ორატორებმა მიტინგებზე მოითხოვეს პრეზიდენტის პოსტის გაუქმება და პრეზიდენტის ფუნქციების გადაცემა სეიმის თავმჯდომარისთვის (ადს).

ტერორი პოლონეთში

გლეხთა პარტია კანონს გარეშე

ვარშავა, 21 მარტი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ყველა ოლქების უფროსებმა აცნობეს მოსახლეობას, რომ **დამოუკიდებელი გლეხთა პარტია არალეგალურად არის გამოცხადებული. ანალოგიური ცნობა, რომელიც შეეხება ბელორუსთა გრომადას, გამოქვეყნებულია ვილნოს, ბელოსტოკის და ნოვოგრუდის მაზრებში.**

დამოუკიდებელი გლეხური პარტიის პროტესტი

ვარშავა, 22 მარტი. დამოუკიდებელი გლეხური პარტიის საპარლამენტო კლუბის თავმჯდომარემ ფიდერკევიჩმა პრესაში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი გლეხური პარტია არ სცნობს შინაგან საქმეთა მინისტრის უკანონო დადგენილებას პარტიის არალეგალურად გამოცხადების შესახებ, და რჩება ისევ მასიურ გლეხურ პარტიად, რომელსაც აქვს ლეგალური მუშაობის უფლება პოლონეთის კონსტიტუციის ფარგლებში.

„პილსუდსკის ფაშისტური მთავრობის მიერ კონსტიტუციის უმაგალითო დარღვევა—ნათქვამია განცხადებაში.—პარტიის მიერ გასაჩივრებული იქნება უზენაეს ადმინისტრაციულ ტრიბუნალში".

დასასრულ ფიდერკევიჩი აღნიშნავს, რომ ორი უკანასკნელი დღის განმავლობაში მთელს პოლონეთში სწარმოებს დაპატიმრება, საბუთების კონფისკაცია და გლეხურ პარტიის ორგანიზაციების შენობათა დაბეჭდვა, ამასთან ერთად ზოგიერთ ადგილებში იყო ცდა პარტიულ ორგანოების შენობაში ქურდულათ შეეტანათ ისეთი ლიტერატურა, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს დამოუკიდებელი გლეხური პარტიის მიზნებსა და ამოცანებს. (ადს)

პილსუდსკი აუქმებს „არალეგალურ" პარტიებს

ვარშავა, 22 მარტი. დამოუკიდებელი გლეხური პარტიის და ბელორუსიის გრომადის არალეგალურად გამოცხადების გამო, ვარშავაში და პროვინციებში ხდება ამ პარტიების მუშაკთა ბინების ჩხრეკა. ვარშავაში დალუქეს და დაბეჭდეს დამოუკიდებელი გლეხური პარტიის ახალგაზრდობის და ბელორუსიის გრომადის ორგანიზაციების შენობები. მიღებულია აგრეთვე ცნობები ორივე პარტიის მოღვაწეთა დაპატიმრების შესახებ. (ადს).

იტალიელი ფაშისტები

ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 21 მარტი. იტალიელი ფაშისტები ნიუ-იორკში თავს დაესხენ ანტი-ფაშისტურ მიტინგს, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა ანტი-ფაშისტური გაზეთის „ილ-მარტელლო" რედაქტორმა. დაპატიმრებულია 11 ფაშისტი. (ადს).

შემარცხენე მოძრაობა

გერმანიის მუშა-ახალგაზრდობაში

ბერლინი, 21 მარტი გერმანიის სოც. დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის წევრთა რიცხვი ორ ნახევარ წლის განმავლობაში შემცირდა 42 პროცენტით. ეს მოწმობს იმას, რომ **შემარცხენე მოძრაობა კავშირში შეუჩერებლივ იზრდება.** (ადს).

ბესარაბიის საკითხი

ჩემბერლენი ბესარაბიის ოქმის შესახებ

ლონდონი, 21 მარტი. იტალიის მიერ ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციასთან დაკავშირებით, თემთა პალატის წევრმა სინკლერმა გარეშე საქმეთა მინისტრს მისცა შეკითხვა, — ამ ოქმის ყველა მონაწილეებმა მოახდინეს თუ არა მისი რატიფიკაცია და შევიდა თუ არა ის ამასთან დაკავშირებით ძალაში. **ჩემბერლენმა უარყოფითად უპასუხა.** (ადს).

მოჭადრაკეთა ტურნირი

ნიუ-იორკი, 22 მარ. მოჭადრაკეთა ტურნირში მე-18 ტურში ალიოხინმა მოუგო მარშალს. კაპაბლანკა - ვიდმარის და ნიმცოვიჩ - შპილმანის პარტია უშედეგოდ დამთავრდა. (ადს).

სხვადასხვა

ლინჩის წესით გასამართლების ცდა.

ნიუ-იორკი, 22 მარტი. თეთრკანიანთა ბრბოს ცდამ კოფიეილში, რომ ლინჩის წესით გაესამართლებინა სამი ზანგი, გამოიწვია სისხლისმღვრელი შეტაკებანი ქალაქის ზანგთა მოსახლეობასთან. შეტაკება შესწყდა ჯარების ჩარევით (ადს).

ფასების დაკლება და პროფკავშირები

ფასების დაკლებას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა-მოსამსახურეთათვის. ფასების დაკლებით პირდაპირ იზრდება რეალური ხელფასი. პროფესიონალური კავშირებისათვის ფასების დაკლების კამპანიას უფრო მეტი შედეგები შეუძლია მოუტანოს, ვიდრე კოლექტიურ გადასინჯვის კამპანიას, ვინაიდან ხელშეკრულებებით ხელფასის ნომინალის მომატება ყოველთვის არ იძლევა ხელფასის რეალურ ზრდას და მისი მყიდველობითი ძალა ყოველთვის სათანადოთ არ მატულობს. ეს რამოდენიმე წლის პრაქტიკამ დაამტკიცა და თითქმის ყველასათვის უდაოდ არის.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვის უკანასკნელმა კამპანიამ მოგვცა ხელფასის ზრდა საშუალოთ 7—10 პროც. მაგრამ თუ ფასების მოწესრიგებით ნომინალის ეს მომატება არ განმტკიცდა, ისე მას არავითარი რეალური მნიშვნელობა არ ექნება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ გასულ წლებში ხელფასის ნომინალური და რეალური გამოხატულების ზრდა. 1925 წლის ბოლოში მუშის საშუალო თვიური ხელფასი ჩერვონულ მანეთებში უდრიდა 56 მ. 88 კ., 1926 წლის ბოლოში კი—65 მ. 71 კ. რეალური ხელფასი (ძველ მანეთებში) კი 1925 წლის ბოლოში უდრიდა 24 მ. 16 კ., 1926 წლის ბოლოში კი—26 მ. 18 კ. ამრიგათ ერთი წლის განმავლობაში ნომინალური ხელფასი გაზრდილა 15,5 პროცენტით, რეალური კი 8,4 პროცენტით. აქედან სჩანს, რომ ნომინალის მომატების საგრძნობი ნაწილი უშედეგოთ დარჩენილა ფასების მერყეობის გამო. ეს იმას ამტკიცებს, რომ ხელფასის მომატების საკითხებში პირველი რიგი უნდა ეჭიროს ფასების დაკლების და შემდეგ კი კოლექტიური ხელშეკრულებებით ნომინალის მომატებას.

ზევით ნათქვამიდან სჩანს თუ რა მნიშვნელობა აქვს პროფესიონალური კავშირების მონაწილეობას ფასების დაკლების კამპანიაში. კავშირების ეს მონაწილეობა, ცხადია, არ უნდა განისაზღვროს მხოლოთ ხელფასის რეალური მნიშვნელობის ზრდის საკითხებით და მხოლოთ იმ საგნებზე ფასების დაწევით, რომლებსაც მუშის ბიუჯეტში ადგილი უჭირავს. ფასების დაკლება არა მარტო ამ თვალსაზრით ტარდება, მას უფრო ფართო ხასიათი აქვს და წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელოვან ამოცანას. პროფესიონალური კავშირები უნდა უწევდენ ყოველგვარ დახმარებას ორგანოებს ამ ამოცანის გადაჭრაში მთლიანათ, მაგრამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ მომენტებს, რომელნიც მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობას ეხება.

როგორ მიმდინარეობს ფასების დაკლების კამპანია და რა შედეგებს იძლევა ის? უნდა ახდილათ ითქვას, რომ იმ ორგანოებს, რომელნიც უშუალოთ მოწოდებული არიან ეს კამპანია ჩაატარონ, ფასების დაკლების საკითხისადმი, ერთგვარ ოპტიმისტური და „კაზიონური" მიდგომა ემჩნევათ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის და კოოპერაციის ხელმძღვანელობის აზრით ფასების დაკლება მიმდინარეობს ფრიად დამაკმაყოფილებლათ და არსებული დირექტივები მთლიანათ სრულდება.

ეს გადაჭარბებული დაფასება არის და დამყარებულია თეორიულ გამოანგარიშებაზე. გადაჭარბებული ოპტიმიზმი უთუოთ ხელს შეუშლის ფასების დაკლების სათანადოთ გატარებას და ამიტომ საჭიროა მასთან ბრძოლა, როგორც კამპანიის ხელის შემშლელ მიზეზთან.

რა გვაქვს სინამდვილეში და როგორ მიდის ფასების მოწესრიგება? ამის საუკეთესო მაჩვენებელი არის მუშის საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულება (იმ საგნების, რომელთა ყიდვა მუშას უხდება). ამ შენაწყობის ღირებულების მსვლელობა შემდეგი არის.

	კერძო ბაზრის ფასებით	კოოპერატ. ბაზრის ფას.
1-ლ ოქტომბერს (1926 წ.)	19 მ. 24 კ.	18 მ. 17 კ.
— იანვარს (1927 წ.)	20 მ. 80 კ.	19 მ. 16 კ.
— თებერვალს (1927 წ.)	20 მ. 93 კ.	18 მ. 97 კ.
— მარტს (1927 წ.)	21 მ. 16 კ.	18 მ. 51 კ.

მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, რომ საბიუჯეტო შენაწყობში შემავალ საგნების ფასი კერძო ბაზარზე მარტის პირველ რიცხვებში მეტია ოქტომბერზე 10 პროცენტით, კოოპერატიულ ბაზარზე კი—1,9 პროც. მაშასადამე, კოოპერაციაში ფასების დაკლებას ოქტომბერთან შედარებით ადგილი არ ჰქონია, პირიქით ფასები გაზრდილა 1,9 პროცენტით. ფასების დაკლებას ჩვენ მივიღებთ, თუ მარტს შევადარებთ იანვარს. მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ფასების რეალურ დაკლებათ, ვინაიდან იანვარში [illegible] გამო ძალიან მაღლა იდგა. სინამდვილეში ფასების დაკლება კი არ გვაქვს, არამედ იმ მომატების ნაწილობრივათ შემცირება, რომელსაც ადგილი ჰქონდა იანვარში. ფაქტიურათ მარტის პირველ რიცხვებში კოოპერატიული ფასები საბიუჯეტო შენაწყობის მიხედვით 1,9 პროც. უფრო მაღლა დგას, ვიდრე იყო ოქტომბერში.

საბიუჯეტო შენაწყობი შესდგება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებებისაგან. სამრეწველო საგნების ფასები საგრძნობლათ შემცირდა, როგორც კერძო ბაზარზე, ისე სახელმწიფო და საკოოპერაციო ვაჭრობაში. 1-ლ მარტისათვის ოქტომბერთან შედარებით კოოპერაციაში სამრეწველო საგნების ფასები შემცირებულია 3,8 პროც. კერძოში 2,6 პროც. მაგრამ ამავე დროს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები გაიზარდა კოოპერაციაში 4,7 პროცენტით კერძოში კი 16,5 პროც. ამრიგათ ადგილი აქვს ფასების შემცირებას სამრეწველო საგნებზე და ზრდას სასოფლო - სამეურნეო პროდუქციაზე. საერთოთ ეს იძლევა საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულების ზრდას როგორც კერძო ვაჭრობაში, ისე კოოპერაციაში. განსხვავება მათ შორის მხოლოთ რაოდენობაში გამოიხატება.

ვსთქვათ, შინა-ვაჭრობის კომისარიატის და კოოპერაციის მტკიცება, რომ ფასები სახელმწიფო და საკოოპერაციო ვაჭრობაში საგრძნობლად შემცირებულია, სიმართლე არის. იზრდება თუ არა მუშის რეალური ხელფასი ამ შემცირებით? რეალური ხელფასის ზრდა იმავე რაოდენობით, რამდენითაც სახელმწიფო და საკოოპერაციო ვაჭრობაში ფასები იკლებს, არ იზრდება. ეს აიხსნება მით რომ ხელფასის რეალიზაცია მთლიანათ სახელმწიფო და საკოოპერაციო სავაჭროებში არ ტარდება. მუშას უხდება ხელფასის 40 პროცენტის კერძო სავაჭროებში დახარჯვა. ამას გვიმტკიცებს გასულ წელში მუშების ბიუჯეტის გამოკვლევა. აქედან ცხადია, რომ კოოპერაციაში და სახელმწიფო სავაჭროებში ფასების შემცირებით რეალური ხელფასის სათანადო ზრდას არა აქვს ადგილი. ეს ხდება მიტომ, რომ მთელ რიგ პირველ საჭირო საგნებით და პროდუქტებით კოოპერაცია და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები არ ვაჭრობენ და მუშა-მოსამსახურენი იძულებული არიან მიმართონ კერძო ვაჭრებს. ამიტომ ფასების დაკლების კამპანია უნდა გამოიხატებოდეს არა მარტო ფასების დაკლებაში, არამედ ამასთან ერთად სხვა ზომებიც უნდა იქნეს მიღებული. სახელმწიფო და საკოოპერაციო სავაჭრო ორგანოები უნდა ეწეოდენ ვაჭრობას ყველა იმ საგნებით, რომელნიც ფართო მოსახმარი არიან.

ამას გარდა მნიშვნელობა აქვს წვრილი კრედიტის მიცემის საკითხს. ხშირათ მუშა-მოსამსახურე იძულებულია მიმართოს კერძო ვაჭრებს არა იმიტომ, რომ კოოპერატივში საჭირო საქონელი არ მოიპოვება, არამედ კერძო ვაჭრიდან ის ყიდულობს ნისიათ. მუშების ბიუჯეტის გამოკვლევით გამოირკვა, რომ კერძო სავაჭროებიდან ნისიათ წაღებას ფართო ხასიათი ჰქონია. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ წვრილი ნისიის მიცემის საკითხი უნდა დაისვას მუშათა კოოპერაციაში. ეს საგრძნობლათ შეამცირებს მუშა-მოსამსახურეების კერძო ვაჭრებისადმი მიმართვას.

ფასების დაკლების კამპანიაში უნდა ჩაბმულ იქნენ მუშა-მოსამსახურეების ფართო მასა. უამისოთ ფასების ნამდვილი დაკლება ვერ გატარდება. მასების ამ საქმეში ჩაბმა არ უნდა გამოიხატებოდეს მარტო კრებებში და მოხსენებებში. აქ საჭიროა, რომ რომ თვითეულმა მუშა-მოსამსახურემ, როგორც მომხმარებელმა, კონკრეტიული ცნობები მიაწოდოს სათანადო ორგანოებს იმის შესახებ, თუ სად როგორ ტარდება ფასების დაკლება, როგორი განსხვავება არის სხვადასხვა ორგანოების ფასებს შორის, რა საქონელი აკლია კოოპერატივებს და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს და სხ. პროფესიონალური კავშირები თავს უნდა უყრიდენ მუშა-მოსამსახურეების ამ კონკრეტიულ მითითებებს და ამის და მიხედვით უნდა სვამდენ საკითხებს სათანადო ორგანოებში.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სავაჭრო ორგანოების ეკონომიურ თათბირების მუშაობას. ეს თათბირები უნდა იქნენ ჩაბმული ფასების დაკლების საქმეში. თათბირებზე უნდა ისმებოდეს საკითხები კალკულიაციის და ზედნართი ხარჯების შესახებ. თათბირებს შეუძლიათ ამ დარგში ბევრის გაკეთება.

ს. გ.

საბჭოთა პრესა

უპირატესობა პროფკავშირის წევრებს

როგორც ვიცით, პროფკავშირები ცდილობენ კავშირის წევრისათვის უპირატესობის უზრუნველყოფას სამუშაოზე მიღების საქმეში. ასეთი პოლიტიკა ერთგვარ გაუგებრობას იწვევს არაწევრებში, რომელნიც აქა-იქ იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ თითქოს საჭირო იყოს ამ შეზღუდვის გაუქმება, ან სამუშაოს ყველა მსურველთა თავისუფალი მიღება კავშირში, რათა შესაძლებელი გახდეს სამუშაოს შოვნა. სწორია თუ არა ასეთი მსჯელობა? ამხ. ა. კაცი „პრავდა"-ში ამაზე უპასუხებს:

„ამგვარ მსჯელობაში არის ერთი ძირითადი შეცდომა—თვით უმუშევრობის მნიშვნელობის და მიზეზების არა სწორად გაგება. უმუშევრობის მიზეზი მდგომარეობს არა კავშირების პოლიტიკაში, არამედ იმაში, რომ მრეწველობას არ შეუძლია სოფლის ჭარბი მოსახლეობის უდიდესი მასის დაცვა, მასის, რომელიც ქალაქში მიდის სამუშაოს საძებნელად. ამიტომ იმაზე დამოუკიდებლად, დააწესებენ თუ არა კავშირები კოლხელშეკრულებებში შეზღუდვას არაწევრის სამუშაოზე მიღებისათვის, აქედან ოდნავადაც არ შეიცვლება ადგილების რიცხვი სამუშაოზე მოსაწყობად. თუ სამუშაო მიეცემა კავშირის არაწევრთა მეტ რაოდენობას, უმუშევრად დარჩება წევრთა ასეთივე რიცხვი და, პირიქით. ამგვარად, მარტო შეზღუდვის გაუქმება არაწევრებისათვის განსაზღვრულ დროის განმავლობაში ადამიანთა მეტად დიდ რიცხვს უმუშევრობას ვერ ააცილებს".

მრეწველობის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა დასახაქმებელ მუშახელის რაოდენობაც, რაც უმეტესად ხდებოდა კავშირის არაწევრების ხარჯზე. 1923 წ. 1 ოქტომბრიდან 1926 წ. 1-ლ ოქტომბრამდე კავშირების წევრთა რიცხვი გაიზარდა 5.500 კაც. 9.541 ათასამდე და სამუშაოზე მიღებულ იქნა დაახლოვებით 4 მილიონი კავშირის არაწევრი. მაშასადამე, სრულიად უსაფუძვლოა იმის თქმა, თითქო კავშირების პოლიტიკა არაწევრთა უმუშევრებს სამუშაოს მიღების შესაძლებლობას უსპობდეს.

რაც შეეხება კავშირებში ახალი წევრების მიღებას, ამაზე ხსენებული ავტორი სწერს:

„თუ ჩვენ შევეხებით პროფკავშირების პოლიტიკას კავშირებში ახალ წევრების მიღების დარგში, აქაც დავინახავთ ყველა იმ პირთა თავისუფალ და ფართე მიღების მისწრაფებას, რომელნიც დაქირავებით მუშაობენ. ჩვენი კავშირები არ წარმოადგენენ კარჩაკეტილ კასტას, არამედ ფართოდ უღებენ კარებს ყველა მუშებს და მოსამსახურეთ, მათი წინანდელი სოციალური მდგომარეობის დამოუკიდებლად. ეხლა მომქმედი წესებით, კავშირში დაუბრკოლებლად შეუძლია შესვლა ყველა დაქირავებულ მომუშავეს, რომელიც მუდმივ სამუშაოზე არის ერთ კვირაზე მეტი, ხოლო დროებით სამუშაოზე—ერთ თვეზე მეტი. პროფკავშირში იმ პირების მიღების დაწესება, რომელნიც დაქირავებით არ მუშაობენ, არამედ მხოლოდ ეძებენ სამუშაოს, შეუძლებელია. კავშირები რომ ამ გზით წავიდნენ, მაშინ მათ უნდა მიიღონ წევრებად საგრძნობი რიცხვი გლეხების, შინამრეწველების, ხელოსნების, თავისუფალ პროფესიათა პირების და სხვ., ე. ი. ჩვენი კავშირები უკვე აღარ იქნებოდენ პროფესიული კავშირები".

ამასთან მრავალ არაკავშირის წევრებისათვის დაქირავებით მუშაობა არ წარმოადგენს არსებობის ერთად-ერთ წყაროს, რაც აგრეთვე ლაპარაკობს კავშირის წევრთათვის უპირატესობის მინიჭების სასარგებლოდ სამუშაოზე მოწყობის დროს. ასეთია საერთო წესი, გამონაკლისის დაშვება, რა თქმა უნდა, შეიძლება, როცა ამას მოითხოვენ წარმოების და შრომის [illegible] განსაკუთრებული ინტერესები.

შანხაის მუშების და რევოლუციონური ჯარის მორიგი გამარჯვების ზეიმი



უკანასკნელი ცნობები

პოლონეთ-საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების წინ

ვარშავა, 22 მარტი. გუშინ პილსუდსკის თათბირი ჰქონდა ზალესკისთან და პოლონეთის ელჩთან მოსკოვში პატეკთან. გაზ. „გოლოს პრავდი"-ს ცნობით, განხილულ იქნა საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების საკითხი.

ამერიკელ მეზღვაურთა მემარცხენე ბელადები

ნიუ-იორკი, 22 მარტი. ზენოზოლდი და მასთან დაპატიმრებული მეზღვაურთა მემარცხენე ბელადები განთავისუფლებული არიან თავდებ ქვეშ.

ხანტოს და მისი ამხანაგები საგანგებო სასამართლოს გადასცეს

ვენა, 21 მარტი. არაოფიციალური ცნობების მიხედვით, უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიის წევრებს ხანტოს მეთაურობით გადასცემენ საგანგებო სასამართლოს, სადაც მათი საქმის გარჩევა დაიწყება 1 აპრილს. (ადს).

გაფიცვა ლოძში

ვარშავა, 21 მარტი. ლოძის ფეიქრებმა განაახლეს მუშაობა. მელითონეები განაგრძობენ გაფიცვას. (ადს).

მექსიკის და საბჭოთა კავშირის რკინის გზელთა სოლიდარობა

მოსკოვი, 22 მარტი. საბჭოთა კავშირის რკინისგზელთა კავშირის ცეკამ მექსიკის ტრანსპორტის მუშათა კონფედერაციისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა.

„500 ათასი მუშის კანონიერ უფლებათა დასაცავათ ტრანსპორტის მუშათა კონფედერაციამ რკინისგზებზე გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა 17 თებერვლიდან. მუშათა სოლიდარობის სახელით გთხოვთ აღმოგვიჩინოთ მორალური და ნივთიერი დახმარება.—ბარიოსი. (გენერალური მდივანი.)

რკინისგზელთა ცეკამ გაუგზავნა ბარიოსს დეპეშა, რომელშიაც უსურვებს მუშებს სრულ სიმტკიცეს ბრძოლაში. ამავე დროს გაფიცულთ გადაუგზავნა 500 ათასი მანეთი. (ადს).

ციკლონი ციმბირში

ნოვოსიბირსკი, 22 მარტი. ციკლონმა, რომელსაც თან სდევდა ქარბუქი, მიაღწია ნოვოსიბირსკსა და ტომსკამდე. ალტაის, ტომსკის და ომსკის რკინის გზის ხაზებზე მატარებლები იგვიანებენ 12 საათით. ტომსკში ქარმა გადაღუნა ცენტრალური ელექტრო-სადგურის მთავარი საკვამლე მილი, რის გამოც ელექტრო-სადგური შეჩერდა. ქალაქში ღამე სიბნელეა. ნოვოსიბირსკში ქარმა მოგლიჯა ბანები და სახურავები. (ადს).

განაჩენი მესროპიანცის ოჯახის მკვლელთა საქმეზე

ქუთაისი, 22 მარტი. დასრულდა მესროპიანცის ოჯახის მკვლელთა საქმის გარჩევა.

მიხეილ აივაზოვი ცნობილია დამნაშავედ მესროპიანცის ცოლის, ცოლის ძალის და მესროპიანცის ორი შვილის და მარიამის ჯერ მოწამვლაში, შემდეგ მხეცურად დახოცვაში და ბოლოს მესროპიანცის ოჯახის გაძარცვაში; ონიანი, გოშკეთელიანი, ავქსენტი და ბიქტორ ქურდიანები ცნობილი არიან დამნაშავედ მკვლელობაში მონაწილეობაში და ბოროტმოქმედების კვალის დამალვაში, ბოდოკია ცნობილია დამნაშავედ ცრუ დასმენაში, შაფათავა—მკვლელობის დაფარვაში.

მიხეილ აივაზოვს, ბიქტორ და ავქსენტი ქურდიანებს მისჯილი აქვთ დახვრეტა. ონიანს და გოშკეთელიანს, როგორც არასრულწლოვანს, მისჯილი აქვთ **10 წლით თავისუფლების აღკვეთა**, ამასთან სასჯელის ვადა შეუმცირდათ ერთი მესამედით. ონიანის, გოშკეთელიანის და ორივე ქურდიანის ქონება ჩამორთმეულია სამოქალაქო მოსარჩლის სასარგებლოდ. **შაფათავას** მისჯილი აქვს **4 წლის პირობითი სასჯელი**. მკვლელის დედა **მართა აივაზოვი გამართლებულია. ბოდოკიას** მიუსაჯეს **2 წლით თავისუფლების აღკვეთა.**

შანხაის აღების გამოძახილი ინგლისში

ბოლდუინი ჩინეთის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 22 მარტი. ბოლდუინმა, რომელმაც თემთა პალატას შექმნილ მდგომარეობის შესახებ ცნობა წარუდგინა,—განაცხადა, რომ საერთაშორისო უბნის მუნიციპალური საბჭოს მოთხოვნილებით, ინგლისური და იაპონური ჯარების დაცვის მიზნით დაწესებულია 3 იაპონური და 6 ინგლისური საგუშაგო. ინგლისელი მეზღვაურები გადმოსხმულ იქნენ იმ მიზნით, რომ დაიცვან ინგლისელთა ქონება.

შემდეგ ბოლდუინმა პალატას აცნობა, რომ ჩრდილოელები სცდიან სუ-ჩოუს და ჩან-სუნ ჩანი ემზადება ნანკინის დასაცავათ. ბოლდუინმა დაუმატა, რომ ინგლისის გენერალურ კონსულს მუდმივი ურთიერთობა აქვს კანტონელებთან. (ადს).

ინგლისის პრესა შანხაის აღების შესახებ

ლონდონი, 22 მარტი. „მორნინგ პოსტი", რომელიც კომენტარიებს უკეთებს ეროვნული ჯარების მიერ შანხაის აღებას,—სწერს:

— „ჩვენი პოზიცია შანხაიში ძლიერია არა მარტო ხელშეკრულების უფლების თვალსაზრისით, არამედ, იმიტომაც, რომ ჩვენ იქ გვყავს სამხედრო ძალა და ფლოტი, რომელთაც შეიძლება მდ. იან-ცზის და კანტონის გარემოცვა".

რეაქციონური „დეილი მეილი" სწერს: „ყველაზე უფრო მეტად საშიში არიან ბოლშევიკები, რომელნიც კანტონელებს ინგლისელების წინააღმდეგ აქეზებენ. თუ ბოროდინი და მისი მეგობრები ჩვენთან ომს აწარმოებენ, მაშინ რათ უნდა იყვნენ ლონდონში საბჭოთა მისიები?"

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი „დეილი ტელეგრაფი", აცხადებს: „ინგლისის დიპლომატიამ უნდა დაიცადოს მანამდე, ვიდრე უზრუნველყოფილი არ იქნება უცხოელთა ინტერესების ხელშეუხებლობა.

ლიბერალური „დეილი ნიუზ"-ი და „ვესტმინსტერ გაზეთ". ურჩევენ საერთაშორისო უბნის მუნიციპალურ საბჭოს:

„დაუყოვნებლივ მეგობრული კონტაქტი დაიჭირონ კანტონის მთავრობასთან".

პროტესტი ტერორის წინააღმდეგ

მოსკოვი, 22 მარტი. ინგლისის, საფრანგეთის, პოლანდიის, შვეიცარიის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის და გერმანიის პოლიტიკურ მოღვაწეთა, მწერალთა, მხატვართა და ექიმთა ჯგუფმა უნგრეთის მინისტრს ბეტლენს მიმართა პროტესტით იმ წამებათა გამო, რომელსაც განიცდიან პოლიტიკური პატიმარნი უნგრეთის პოლიციის მხრით.

„ეს წამება,—ნათქვამია საპროტესტო განცხადებაში, მით უფრო სასტიკია, რომ მას განიცდიან ისეთი პირები, რომელთა მიმართ სხვა ბრალდებაა არ არსებობს გარდა იმისა, რომ მათ სცადეს სკოლის გახსნა ბუდაპეშტში.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ გამოვხატავთ მილიონ ქალთა და ვაჟთა აზრს, როდესაც საჯაროთ ვიმაღლებთ ხმას პოლიციის ახალი სისასტიკის წინააღმდეგ. ჩვენ გამოვსთქვამთ იმედს, რომ სათანადო დაწესებულების საშუალებით თქვენ მოახდენთ ამ საქმის კვლევა-ძიებას, რომ უდანაშაულოდ დაპატიმრებულნი დაუყოვნებლივ იქნებიან განთავისუფლებულნი, ხოლო ისინი, რომელნიც მათ წამებაში ბრალი მიუძღვით, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში."

(ადს).

რა ხდება უცხოეთში

რას წარმოადგენს საფრანგეთის პრესა

ყოფილ „სოციალისტის" გუსტავ ერვეს ორგანომ „ვიქტუარ"-მა 17 თებერვლის ნომერში გამოამჟღავნა საფრანგეთის პრესის „შინაური" ცხოვრების ზოგიერთი მხარეები.

არსებითად რომ ვსთქვათ, ეს იყო გუსტავ ერვეს თვითგამომჟღავნება. გამოქვეყნებულ ცნობებში ერვე გულღიად მოუთხრობს თავის მკითხველებს იმის შესახებ, თუ როგორ იღებდა ის ფულებს, მთელ რიგ წლების განმავლობაში, „ეკონომიურ ინტერესების კავშირის" თავმჯდომარისაგან ცნობილ ბილლიესაგან.

ბილლიე — ყოფილი სენატორია, მეტად დამახასიათებელი ფიგურაა „დემოკრატიულ" საფრანგეთის პოლიტიკურ ასპარეზზე. ბილლიეს დახმარებას, საარჩევნო კამპანიის დროს, მიმართავენ ყველა პარტიები, დაწყებული ეროვნულ ბლოკში შემავალ პარტიებიდან და გათავებული რეფორმისტებით. ბილლიეს ხარჯზე, როგორც არჩევნების დროს, ისე არჩევნებამდე, არა ერთი გაზეთი იმყოფება.

ბილლიესა და მის დროებით თუ მუდმივ მოკავშირეებს შორის ზოგჯერ უთანხმოებას აქვს ადგილი. ასე მაგალითად, ბილლიეს მოქმედებით შეურაცხყოფილი მემარცხენე ბლოკის „მოუსყიდველი" ორგანო „კოტიდიენი" კატეგორიულად მოითხოვდა ბილლიეს გადაცემას პარლამენტის საგანგებო კომისიის სასამართლოსათვის გაზეთების მოსყიდვისათვის არჩევნების დროს და დიდძალი თანხების დარიგებისათვის ნაციონალური ბლოკის სასარგებლოდ ფართო აგიტაციის ჩასატარებლათ. ბილლიემ უარი სთქვა საპარლამენტო კომისიის წინაშე წარდგომაზე და ის მცირეოდენი თანხით დააჯარიმეს, როგორც „მოწმე" ჩვენების არ მიცემისათვის. ამით ვათავდა საქმე.

ერვეს „ალსარება" ბილლიესთან კავშირის შესახებ ძლიერ მარტივია.

მთელი ოთხი წლის განმავლობაში, დაარსების დღიდან (1914—1918 წ.) „ვიქტუარ" იკვებებოდა ბურჟუაზიის ნასუფრალით. ერვეს სიტყვით, მან „შემთხვევით" გაიგო, რომ გაზეთისათვის საჭირო თანხების ნაწილი ბილლიესაგან მოდის. საქმე იქამდის მიდიოდა, რომ ბილლიე კისრულობდა გაზეთის თამასუქების გარანტიას. ბილლიე რეგულიარულად აწვდიდა გაზეთს თანხებს. სანამ ერვე კეთილსინდისიერათ ასრულებდა მძიმე ინდუსტრიის ყველა დირექტივებს.

ასეთი „მეგობრული" ცხოვრება გრძელდებოდა რამოდენიმე წელს. 1922 წ. პუანკარე უკმაყოფილო დარჩა ვაზეთის გადაჭარბებული კლერიკალიზმით. ბილლიემ იმ წამსვე დაუხურა სალაროს კარები ურჩ რედაქტორს. თუმცა რამდენიმე კვირის შემდეგ „თანამშრომლობა" კვლავ იქნა განახლებული.

1923 წ. თებერვალში, — მოგვითხრობს შემდეგ ერვე, — კვლავ ჩამოვარდა უთანხმოება მასა და ბილლიეს შორის, რადგან ერვემ კვლავ არ შეასრულა მძიმე მრეწველობის რაღაც დირექტივა და ბილლიემ კვლავ დაუხურა მას თავისი კასა.

უკანასკნელათ კონფლიქტი უფრო სერიოზული აღმოჩნდა და ერვეს მოუხდა „სხვა კარებში კაკუნი".

ჩქარა მან მოახერხა შექმნა სააქციო საზოგადოების, რომელიც განაგებდა გაზეთის გამოცემის საქმეს. ასე გრძელდებოდა წარსული წლის ნოემბრამდი, როცა ერვემ გადასწყვიტა ესარგებლნა სენატის წევრების ნაწილის გადარჩევით და დახმარებისათვის მიმართა ბილლიეს და დაპირდა, რომ ყველა მის დირექტივებს შეასრულებდა.

ბილლიემ, როგორც სჩანს არ მიიღო, ერვეს „მეგობრული" წინადადება. უფრო მეტი, როგორც ახლა ირკვევა, ბილლიემ უარი სთქვა მხარის დაჭერაზე არჩევნების დროს „ვიქტუარის" მფარველ მილიონერისათვის.

დამოკიდებულება ბილლიესა და ერვეს შორის საბოლოოდ გაფუჭდა. ერვემ დაიწყო ინტრიგები თავისი ყოფილი მთავრობის და დამხმარეს წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ ბილლიემ საიდუმლო წერილით მიმართა „ეკონომიური ინტერესების კავშირის" ყველა წევრებს, რომელშიც აშკარავებდა ერვეს შანტაჟისტურ საქციელს.

ასეთია „ვიქტუარის" დაცემის ისტორია.

საფრანგეთის ბურჟუაზიული და რეფორმისტული პრესისათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ყველას კარგათ ახსოვს „მოუსყიდავი" „კოტიდიენ"-ის საიდუმლო ფონდების ისტორია. ეს ფონდებიც იქიდან მოდიოდენ, საიდანაც ერვე იღებდა თანხებს თავის „ვიქტუარ"-ისათვის. საფრანგეთის მთელი ბურჟუაზიული და რეფორმისტული პრესა კაპიტალისტების ამა თუ იმ ჯგუფის ხარჯზე არსებობს.

ბ. მ.

საბჭ. კავშირის მშრომელნი ესალმებიან ჩინეთის პროლეტარიატს

მელითონეთა და განათლების მუშაკთა მისალმება

მოსკოვი, 22 მარტი. მელითონეთა კავშირის ც. კ. პლენუმმა და განათლების მუშაკთა ყრილობამ მისალმების დეპეშები გაუგზავნეს შანხაის პროფკავშირებს და ჩინეთის მუშებს (ადს).

მიტინგები ქარხნებში

მოსკოვი, 22 მარტი. დღეს ფაბრიკა-ქარხნებში გაიმართა მიტინგები კანტონის ჯარების მიერ შანხაის აღების გამო. დაღამდა, მაგრამ კიდევ გრძელდებოდა დემონსტრაციები კომინტერნის აღმასკომის შენობასთან.

საკავშირო პროფსაბჭოს მისალმება

მოსკოვი, 22 მარტი. საკავშირო პროფსაბჭომ მისალმებით მიმართა ჩინეთის შრომის ფედერაციის და შანხაის საბჭოს:

„საბჭოთა კავშირის დარაზმულმა მუშებმა აღფრთოვანებით მიიღეს ცნობა შანხაის განთავისუფლების შესახებ.

ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის 9 ნახ. მილიონი შეკავშირებული მუშის სახელით გიძღვნით თქვენ მხურვალე სალამს. დარწმუნებული ვართ რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირები, რომლებიც წითელ პროფინტერნში შედიან, მომავალშიაც განაგრძობენ ბრძოლას იმპერიალიზმის, ექსპლოატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ. თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ იქონიოთ ჩვენი დახმარების იმედი".

კრებები და მიტინგები თბილისში

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელოსნოში

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური საარტილერიო ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა კრებამ, მოისმინა რა ინფორმაცია ჩინეთის ნაციონალურ-რევოლუციონური ჯარების შესვლის შესახებ ქ. შანხაიში, მხურვალე სალამს უძღვნის ჩინეთის პროლეტარიატს მედგარი ბრძოლისათვის იმპერიალიზმისაგან განსათავისუფლებლად.

კრება დარწმუნებულია, რომ ჩინეთის პროლეტარიატი ახლო მომავალში შესძლებს გაანთავისუფლოს მთელი ჩინეთი მოძალადე იმპერიალისტების იერიშისაგან.

გაუმარჯოს ჩინეთის მშრომელი ხალხის განმანთავისუფლებელ მოძრაობას! ძირს საერთაშორისო იმპერიალიზმი! გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში"

22 მარტს კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში" შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 300 მუშა. დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: შანხაის აღება ნაციონალური არმიის მიერ.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფრიდონოვი.

საერთო კრება მოხსენებას დიდის აღტაცებით შეხვდა. გამოტანილ იქნა რეზოლუცია, სადაც ნათქვამია:

მოვისმინეთ რა მოხსენება შანხაის აღების შესახებ, ჩვენ, სახელმწიფო კოლოფების ქარხნის მუშა-მოსამსახურენი, აღფრთოვანებით აღვნიშნავთ ჩინეთის ნაციონალური არმიის უდიდეს გამარჯვებას.

ჩვენ, როგორც ერთი, უგზავნით ძმურ სალამს ჩინეთის რევოლუციონურ მუშებს და გლეხებს და მათ ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას.

პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბაში

პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა აღფრთოვანებით მოისმინეს ამხ. სეფის მოხსენება შანხაის აღების შესახებ, რასაც სთვლიან შანხაის პროლეტარიატის უდიდეს გამარჯვებად.

— ჩვენს თვალწინ,—ნათქვამია რეზოლუციაში,—ხდება ის, რაც სთქვა ამხ. ლენინმა—„აღმოსავლეთის ჩაგრული ერები აღმართავენ იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლის დროშას, და იბრძოლებენ თავის სრულ განთავისუფლებამდე".

გრეხილ ავეჯეულობის ქარხანაში

გრეხილი ავეჯეულობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მიღებულია რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ: „შანხაის პროლეტარიატის აქტიური მონაწილეობა ჩინეთის ამბებში შესაძლებლად გახდის იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელი ჩინეთის არა მარტო გაერთიანებას, არამედ დღის წესრიგში დასვამს ჩინეთის რევოლუციის კლასიური ამოცანებსაც".

ტყავტრესტში

ტყავტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ვ. სტურუას და ხახანოვის მოხსენება შანხაის აღების შესახებ ნაციონალური ჯარების მიერ. კრება აღნიშნავს ჩინეთის პროლეტარიატის უდიდეს გამარჯვებას ჩინეთის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ ფრონტზე, მიუხედავათ კაპიტალისტური ქვეყნის ყოველგვარი ცდისა, რომ დაუმორჩილონ ისინი თავის მტაცებლურ ინტერესებს. „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩინეთის პროლეტარიატი ასეთივე ენერგიით განაგრძობს თავის ბრძოლას და მიიყვანს მას სრულ გამარჯვებამდე".

რკ.-გზის სტალინის სახელობის მთავარ სახელოსნოში

მუშაობის შემდეგ 3 სათზე შეიკრიბა მუშა-მოსამსახურეები დაახლოვებით 2.000 კაცამდე. გამართეს მიტინგი, სადაც ამხ. გიორგი ქავთარაძემ მიტინგს მოახსენა ჩინეთის ამბების და ქალაქ შანხაის აღების შესახებ ეროვნულ რევოლუციონურ ლაშქრის მიერ. კრება აღტაცებით შეხვდა ამ ცნობას და გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

მოვისმინეთ რა ამხ. გიორგი ქავთარაძის ცნობა ჩინეთის ამბების და ქალაქ შანხაის აღების შესახებ, ა.-კ. რკ. გზ. ამხ. სტალინის სახელობის მთავარ სახელოსნოების მუშების საერთო კრება დიდი აღტაცებით ეგებება ჩინეთის პროლეტარიატის თავდადებულ ბრძოლას, რომელიც მიმართულია იმპერიალისტური მტაცებლების წინააღმდეგ.

საერთო კრება ამასთანავე ერთად აღნიშნავს, რომ მხოლოდ იმპერიალისტების გაძევებით ჩინეთის ფარგლებიდან შეიძლება ჩინეთის მშრომელი ხალხის საბოლოვო განთავისუფლება.

კრება უძღვნის მხურვალე რევოლუციონურ სალამს ჩინეთის მუშებს და გლეხებს, რომლებიც მედგრად იცავენ თავიანთ უფლებებს შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლუციისაგან.

გაუმარჯოს ჩინეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას!

ძირს მტაცებლები-იმპერიალისტები და მათი წინამძღოლნი!

გაუმარჯოს კანტონის ლაშქარს!

„თემქა"-ში

ქარხანა „თემქას" მუშათა საერთო კრებაზე მიღებულია რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია ჩინეთის რევოლუციონური არმიის ბრწყინვალე გამარჯვება უცხოელ იმპერიალისტების დაქირავებულ გენერლებზე—უ-პეი-ფუსა და სუნ-ჩუან-ფანზე. „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთივე ბედი მოელის ჩინეთის კონტრ-რევოლუციის ბელადს ჩან-ძო-ლინს.

ლენინის სახ. მე-3 თამბაქოს ფაბრიკა

ლენინის სახელობის სახელმწიფო მე-3 თამბაქოს მუშა-მოსამსახურეები საერთო კრებაზე გამოტანილ რეზოლუციაში ესალმებიან ჩინეთის პროლეტარიატს და ულოცავენ მას უდიდეს, ბრწყინვალე გამარჯვებას. „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩინეთის მუშები და გლეხები ახლო მომავალში სავსებით განთავისუფლდებიან თავის მტაცებელ იმპერიალისტებისაგან, და შესძლებენ საკუთარი დიადი ოქტომბრის დღესასწაულობას".

საპონ-ზეთის სახელ ტრესტის მუშები

იზიარებენ ჩინელ მშრომელთა სიხარულს და აღნიშნავენ შანხაის პროლეტარიატის მიერ ეროვნულ არმიისათვის აღმოჩენილ გმირულ დახმარებას. მუშები დიდი გულისყურით ადევნებენ თვალს ჩინეთის რევოლუციონურ მოძრაობას და დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ მალე ჩინეთი განთავისუფლდება მსოფლიო მტაცებელი იმპერიალიზმის კლანჭებიდან.

სახელმწიფო საკარტონაჟო ფაბრიკის მუშები, მუშა ქალები და მოსამსახურეები

რომლებიც აღნიშნავენ ჩინეთის ეროვნული არმიის უდიდეს გამარჯვებას შანხაის პროლეტარიატის იმპერიალიზმის უღლიდან განთავისუფლების საქმეში, მხურვალედ ესალმებიან ჩინეთის რევოლუციონურ მუშებს და მათ ავანგარდს—გომინდანს.

ასეთივე რეზოლუციები გამოიტანეს სხვა ფაბრიკა-ქარხნებში. საღამოს მუშათა კლუბებში გაიმართა მოხსენებები ჩინეთის ამბების შესახებ.

მიტინგი ფოთში

ფოთი, 22 მარტი. გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი შანხაიში მომხდარი აჯანყების საპატივცემოთ. ქალაქი დროშებით არის მორთული. (ადს).

დემონსტრაცია ოზურგეთში

ოზურგეთი, 22 მარტი. სახალხო არმიის მიერ შანხაის აღების გამო გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 2.000 მეტმა კაცმა. დემონსტრაცია დასრულდა მიტინგით, რომელზედაც მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც მიესალმებიან შანხაის პროლეტარიატისა და ნაციონალური აარმიის ისტორიულ გამარჯვებას. (ადს).

პროტესტი უნგრეთის მთავრობის პროტესტის წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საკავშირო ლატარია

მოსკოვი, 22 მარტი. პირველი საკავშირო საჰაერო ლატარიის გათამაშება მოხდება პირველ მაისს. უცხოეთის სახელმწიფოებიდან უკვე მიღებულია თანხმობა ავიაქიმის ტურისტების მათ ტერიტორიაზე მგზავრობის შესახებ.

მოგების მგზავრობის შესრულების ვადათ დაწესებულია ორი თვე.

ის პირები, რომელნიც მოგებულ ბილეთს ამ ვადის შემდეგ წარადგენენ ავიაქიმის ორგანიზაციაში, მოგებას მიიღებენ ფულად. (ადს).

პროვოკატორ სიგაევის დახვრეტა

ხარკოვი, 22 მარტი. სასიკვდილო განაჩენი პროვოკატორ სიგაევზე შესრულებულია. უკრაინის ცაკმა უარჰყო სიგაევის შუამდგომლობა შეწყალების შესახებ.

ფიზიო ტერაპევტიული ინსტიტუტი

ნოვგოროდი, 22 მარტი. გაიხსნა საბჭოთა კავშირში მეხუთე ფიზიოთერაპევტიული ინსტიტუტის სამ-სართულიანი შენობა მოწყობილი საზღვარგარეთის მდიდარი აპარატებით. ჯერ-ჯერობით გახსნილია წყლით მკურნალობის, სინათლით მკურნალობის და ტალახით მკურნალობის განყოფილებანი. ინსტიტუტის ღირებულება 400.000 მან. უდრის (ადს).

ქარიშხალი

ვლადივოსტოკი, 22 მარტი. კურილის კუნძულების რაიონში ძლიერი ქარიშხალია. ქარიშხალის ზონაში მოჰყვენ გემი „მონგუგაი" და აგრეთვე უსტ-კამჩატკაში მიმავალი გემი „სიმფეროპოლი". „მონგუგაიდან" ზღვაში გადაცვივნდა საქონელი, გემ „სიმფეროპოლიდან" ნავთის ტვირთი. (ადს).

ავიაქიმის დიდი გადაფრენა

ლენინგრადი, 22 მარტი. თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოება—ავიაქიმის საოლქო განყოფილება აპრილში აწყობს დიდ გადაფრენას ჰაეროსტატით იმ მიზნით, რომ მიაღწიოს მსოფლიო რეკორდს გადაფრენაში. ფიქრობენ, რომ ჰაეროსტატს ჰაერში დარჩენა შეეძლება სამი დღე ღამის განმავლობაში. (ადს).

კომერციული სააგენტოს დახურვა

მოსკოვი, 22 მარტი. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით მიმდინარე წლის 1 აპრილში უნდა დაიხუროს ქალაქის სადგური და აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინის გზების კომერციული სააგენტო, რომელიც მოსკოვში იმყოფება. (ადს).

1926—27 წლის სამშენებლო გეგმა

მოსკოვი, 22 მარტი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბრძანებაში გადმოცემულია აღმშენებლობის პროცესში მყოფ და პროექტით განზრახული ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების სია, რომელთა აშენება ნებადართულია 1296—27 წლის გეგმით.

ამ სიის მიხედვით, **ამიერ-კავკასიაში** მიმდინარე წელში აიგება შემდეგი ფაბრიკები და ქარხნები: ბაქოში—1 ზეთის ქარხანა, რომლის სრული ღირებულება წინასწარი ვარაუდით 2 მილ. 544.000 მან. განისაზღვრება, ამასთანავე მიმდინარე წელში დაიხარჯება 1.251.000 მან.; 2 კრეკინგ-დადგმულობა 2.300.000 მან. ღირებულებით, მიმდინარე წელში დაიხარჯება 600.000 მან.; გაზოლინის ქარხანა 1 მილ. მან. ღირებულებით, ამ წელში დაიხარჯება 264.000 მან.; ნავთის გადასამუშავებელი ქარხნების ბათომში—5 მილ. მან. ღირებულებით, ამ წელში დაიხარჯება 2 მილ. მან.; ბარიტის ქარხანა—„აზგოსპრომკომბინატ"-ის წისქვილი — 400.000 მან. ღირებულებით, წელს დაიხარჯება 250.000 მან.; კარბიტის ქარხანა სომხეთში—180.000 მან. ღირებულებით, მთელი ეს თანხა დაიხარჯება ამ წელშივე; ბადდადის სახერხი ქარხანა—643 ათასი მან. ღირებულებით, წელს გადადებულია 200.000 მან.; მარელისის გრეხილი ავეჯეულის ფაბრიკა—700.000 მან. ღირებულებით, რომელშიაც შედის 154.000 მან. საბინაო აღმშენებლობისათვის, წელს გადადებულია 100.000 მან.; განჯის სახერხი ქარხანა 500.000 მან. ღირებულებით, წელს გადადებულია 300.000 მან.; ბაქოს სახერხი ქარხანა 290.000 მან. ღირებულებით, აქედან 149.000 მან. გადადებულია საბინაო აღმშენებლობაზე; მთელი ეს თანხა გაღებულ იქნება მიმდინარე წელში; მცხეთის სახერხი ქარხანა—150.000 მან. ღირებულებით, წელს გადადებულია მთელი თანხა; ყარაბაღის სახერხი ქარხანა 38.000 მან. ღირებულებით, წელს გადადებულია მთელი თანხა. საქართველოს ქაღალდის კომბინატი—4.500.000 მან. ღირებულებით, წელს გადადებულია 1.500.000 მან.; ლენინაკანის სართავი ქარხანა 3.100.000 მან. ღირებულებით, რომელთაგან 100.000 მან. გადადებულია საბინაო აღმშენებლობისათვის, წელს გადადებულია 1.660.000 მან.; სართავ-საქსოვი ფაბრიკა განჯაში—4.700.000 მან. ღირებულებით, წელს გადადებულია 2 მილ. მან..; მაუდის ქარხანა საქართველოში—2.500.000 მანეთის ღირებულებით, წელს გადადებულია 800.000 მან.; აბრეშუმის სართავი დადგმულობა აზერბეიჯანში—800.000 მან. ღირებულებით, წელს გადადებულია 600.000 მან.; აბრეშუმის სართავი დადგმულობა საქართველოში—850.000 მან. ღირებულებით, წელს გადადებულია 400 ათასი მანეთი.

გამოკვლევითი მუშაობისათვის: ტყვარჩელის მადნეულის გამოსაკვლევად მიმდინარე წელში გადადებულია 80.000 მან.; „აზგოსპრომსინდიკატ"-ის გოგირდის კოლჩედანისათვის—225.000 მან.; „ანის პემზა"-ს ტრესტს—180.000 მან.; „ანის პემზა" ბაზალტ-ტრესტს—50.000 მან.; „ანის პემზა" ტუფა-ტრესტს—100.000 მან.; „ანის პემზა" პემზა-ტრესტს—99.000 მან.; ლიტოგრაფიის ქვისათვის—საქართველოს სამთო-ქიმიურ კომბინატს—60.000 მან.; „აზგოპრომსინდიკატის" შაბისათვის—60.000 მან.; „ანის პემზა"-ს ნახევარ ლითონ-ტრესტს—50.000 მან.; ბორნების შუშის ქარხნისათვის ბორჯომის რაიონში—15.000 მან.; ცემენტის ქარხნის ასაგებად საქართველოში—75.000 მან. (ადს).

განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 22 მარტი. დამთავრდა განათლების მუშაკთა სრულიად საკავშირო მე-6 ყრილობა.

გაცხოველებული კამათი და აზრთა-გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია როგორც ყრილობაზე, ისე სარეზოლუციო კომისიაში ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა გადაყვანის საკითხმა განათლების კავშირიდან პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა კავშირში. ამ კომისიაში სექციის მბეჭდავთა კავშირში გადასვლას მხარი დაუჭირა 7 კაცმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 69. თვით ყრილობაზე გადასვლას მხარი დაუჭირა 176 კაცმა, წინააღმდეგ წავიდა 85. შემდეგ შეტანილ იქნა წინადადება განათლების მუშაკთა კავშირში სალიტერატურო-საგამომცემლო საქმის მუშათა (ჟურნალისტების და მწერლების) დატოვების შესახებ. ამ წინადადებას მიემხრო 175 დელეგატი, წინააღმდეგ ხმა მისცა—132. ამგვარათ ყრილობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა განათლების მუშაკთა კავშირში ჟურნალისტების და მწერლების დარჩენას.

ყრილობის პლენუმმა აირჩია ცეკას პრეზიდიუმის შემდეგი შემადგენლობა: თავმჯდომარეთ ამხ. კოროსტილევი, მდივნად ამხ. ბუბარინი—პრეზიდიუმის წევრებათ—აკადემიკოსი მარი, ლუპოლო (სამეცნიერო მუშაკთა სექციიდან) და ინგულოვი (ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციიდან.

საბჭოთა ყრილობები

აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობა

საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა

ამხ. მიხა ცხაკაიას მოხსენება

ბაქო, 22 მარტი. დღეს, სრულიად აზერბეიჯანის საბჭოთა მე-5 ყრილობის დილის სხდომაზე მოხსენებით საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. მიხა ცხაკაია.

„ამხანაგებო,—ამბობს მომხსენებელი,—ჩვენი ქვეყნის შინაური და საგარეო მდგომარეობა ერთი მეორესთან მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი; არ შეიძლება მათი გაყოფა, რადგან ისინი წარმოადგენენ ერთი და იგივე საქმის მხარეს. თუ ქვეყანა შიგნივ მტკიცეა, ძლიერია და წარმოადგენს ურყევ სიმაგრეს, ამით განისაზღვრება მისი საგარეო მდგომარეობაც. უნდა ვთქვა, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა თავის მოხსენებას ააკეთებს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე, მაგრამ მე აქ ორიოდ სიტყვით მაინც შევეხები ამიერ-კავკასიის უზენაეს ორგანოს—ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ის ცაკის მუშაობას".

შემდეგ ამხ. ცხაკაია ჩერდება ა.-კ. ცაკის მუშაობაზე 1925-26 წელში, ა.-კ. ცაკის სესიის მუშაობაზე და ამბობს:

„ჩვენს წინ დგას მთელი რიგი ამოცანათა—ეს არის ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მომჭირნეობის რეჟიმი, ფასების დაკლება, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან. ვემოქმედობთ რა ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობის მიხედვით, ჩვენ გადავედით მშენებლობის ახალ ფაზაში—გადავედით ფაბრიკების, ქარხნების მოწყობაზე და სრულიად ახალ მშენებლობაზე. ვანხორციელებთ რა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, მექანიზაციას და ელექტროფიკაციას, ენერგიულად ვუწყობთ რა ხელს ტექნიკურ კულტურის განვითარებას, ჩვენ ამით ვქმნით მუშების და გლეხების მჭიდრო კავშირს. ფასების დაკლების საკითხი—ეს არის კარდინალური საკითხი. საბითუმო ფასები დაკლებული გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დაკლებას ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია მომხმარებლამდე—მუშებამდე და გლეხებამდე. ზოგიერთ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები ვერ მიუხვდნენ სამეურნეო ანგარიშიანობაზე გადასვლის მნიშვნელობას და სცდილობდენ რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებას. როდესაც ვერ იქნა განხორციელებული პირველი დავალება ფასების დაკლების შესახებ, შრომისა და თავდაცვის საბჭომ განმეორებით მისცა წინადადება სავაჭრო ორგანიზაციებს, რომ ენერგიულად მოეკიდათ ხელი ამ საქმისთვის. ყოველდღიური ცნობები, რომლებსაც ჩვენ ვკითხულობთ, მოწმობენ, რომ ამ ფრონტზე ჩვენ გავიმარჯვებთ. ამასთან ერთად საჭიროა სისტემატიური ეკონომიის დაცვა ჩვენი მუშაობის ყოველ დარგში. საჭიროა ყველა ზედმეტი ხარჯების შემცირება, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების დაყვანა მინიმუმამდე. მომხმარებელთა მასამ, პროფკავშირების წევრებმა ენერგიული და შეგნებული დახმარება უნდა გაუწიონ ასეთ ღონისძიებების გატარებას".

შემდეგ ამხ. ცხაკაია გადადის საგარეო მდგომარეობაზე და ამბობს:

„საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობა იმით ხასიათდება, რომ მიუხედავათ საერთაშორისო იმპერიალიზმის ყოველგვარი ცდისა, ჩვენ ნაყოფიერ ვაჭრობას ვაწარმოებთ არა მარტო იმ სახელმწიფოებთან, რომლებთან გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, არამედ იმ სახელმწიფოებთანაც, რომლებთან არ გვაქვს ეს დიპლომატიური ურთიერთობა. იგივე მიღწევები ის იმპერიალისტებში იწვევს ბოღმას. ეს სიბრაზე გამოიხატება ჩვენი გარემოცვის ცდაში, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების ფაშიზაციაში. აღმოსავლეთის—ჩინეთის, ოსმალეთის, სპარსეთის, ავღანისტანის—ერებთან ჩვენ მეგობრულ დამოკიდებულებაში ვართ. მე მაქვს საბუთი ბაქოს ბაზრობისაგან, რომელიც ამტკიცებს ჩვენს კეთილმეზობლურ ურთიერთობას სპარსეთთან. ამ კეთილმეზობლურ ურთიერთობას ჩვენ შემდეგში კიდევ უფრო განვამტკიცებთ.

ჩინეთის უკანასკნელი ამბები, შანხაის აღების შემდეგ, გომინდანის პარტიისა და ნაციონალური არმიის წინაშე აყენებს საკუთარ რიგების უფრო მეტი განმტკიცების და ძალთა კონსოლიდაციის ამოცანას ქვეყნისათვის მთლიანი ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით. საქმე ჯერ კიდევ არ დასრულებულა იმ დრომდე, სანამ ჩინეთის ტერიტორიაზე იქნებიან იმპერიალისტები თავისი ჯარებით და გემებით, შეუძლებელია მშვიდობიანობა და თავისუფლება. გაუმარჯოს ჩინეთის პროლეტარულ რევოლუციას!"—ათავებს სიტყვას ამხ. მიხა ცხაკაია. (მქუხარე ტაში).

ამხ. ცხაკაიას მოხსენებაზე ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც იწონებს ამიერ-კავკასიის მთავრობის პოლიტიკურ ხაზს.

აზერბეიჯანის მრეწველობის მდგომარეობა

ამხ. კასუმოვის სიტყვა

ამხ. ცხაკაიას შემდეგ მოხსენებით აზერბეიჯანის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა სახ. მეურ. უმაღ. საბჭ. თავმჯდომარე ამხ. კასუმოვი.

1923-24 წელში ჩვენმა მრეწველობამ გამოუშვა 12,700.000 მან. პროდუქცია, 1924-25-ში—17.800.000 მანეთის, 1925—26-ში—თითქმის 27.000.000 მან., ხოლო წელს მოველით 36.000.000 მან. მეტი პროდუქციის მიღებას. ამ ოთხ წელში ჩვენმა მრეწველობამ თავისი პროდუქცია გაზარდა 300 პროც. მეტით. თამამად შემიძლია ვთქვა, აგრეთვე, რომ არც ერთ რესპუბლიკაში ისე სწრაფად არ ვითარდებოდა მრეწველობა, როგორც ჩვენში.

გადავხედოთ, თუ როგორი იყო ჩვენი სამეურნეო მუშაობის ფინანსიური ეფექტები. უკანასკნელი ორი წლის ციფრების აღებით ჩვენ ვხედავთ, რომ 1925 წ. საერთო მოგება შეადგენდა 972.000 მან., 1926 წ.—1.900.000 მან. ზარალი იყო იმავე შეფარდებით: 379.000 მან. და 190,000 მან., ე. ი. სახ. მეურ. უმ. საბჭ. წარმოებებს მოუტანიათ 1.200.000 მან. მოგება. ეხლა ვნახოთ, როგორ იცვლება ჩვენი ძირითადი თანხა, რა საშუალებების დაგროვება მოვასწარით?

თუ ავიღებთ 1924 წელს, დავინახავთ, რომ მისი ძირითადი თანხა შეადგენდა 8.016.000 მან., ხოლო წელს გვაქვს 14.000.000 მან. ამ თანხის ნაწილი მივიღეთ ცენტრიდან, ხოლო ნაწილი თვით ჩვენმა მრეწველობამ შეიტანა. საამორტიზაციო ფონდში ორი წლის (1924-25) განმავლობაში ჩვენ მოვახერხეთ 750.000 მან. დაგროვება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენი ძირითადი თანხა უდრის 14.000.000 მანეთს, მაშინ ეს საამორტიზაციო თანხა საკმაოდ მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს.

რა ამოცანები გვიდგას წინ?

ჩვენ შევადგინეთ ინდუსტრიალიზაციის ხუთწლიური გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია შემდეგი მშენებლობა: საქსოვ-საფეიქრო ფაბრიკის აგება განჯაში (ის უკვე შენდება, ნაწილობრივ შეიძლება ამუშავდეს ოქტომბრის რევოლუციის წლის თავზე, დაჯდება 9 მილიონი მანეთი), შემდეგ აგებული იქნება კანაფის ფაბრიკა, საფეიქრო ფაბრიკა ნახიჩევანის მხარეში და საბურ აბადში, გარდა ამისა კიდევ მაუდის ფაბრიკა განჯაში. ეს ხუთი ახალი საფეიქრო ფაბრიკა დაჯდება დაახლოვებით 18-19 მილ. მანეთი. ნუხაში შენდება აბრეშუმის სახვევი ქარხანა. ეს ქარხანა იქნება ყველაზე უდიდესი ქარხანა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ დედამიწის ზურგზედაც. გარდა ამისა აგებული იქნება აბრეშუმის სახვევი ქარხანა მთიან ყარაბახსა და ნახიჩევანის მხარეში და აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა ნუხაში. ყველა ეს წამოწყებები დაჯდება 3 ნახ. მილ. მანეთი. ფართოვდება, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობაც. შენდება საკონსერვო ქარხნები ხაჩმასში, კუბაში, ლენქორანში, ზაქათალაში, ორდუბადში და განჯაში. ლენქორანსა და ყუბანის მაზრაში უკვე დაიწყო ქარხნების ფაქტიური შენება, დანარჩენი ქარხნები კი ჯერ-ჯერობით იმყოფებიან პროექტების დამუშავების პერიოდში. ლენქორანში შენდება აგრეთვე, ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

ყარაბაღში განზრახულია ხის დამამუშავებელი ქარხნის, ხოლო ბაქოში—საზონდარო-მექანიკური და ხის დამამუშავებელ-საფანერო ქარხნის აგება. ზაქათალის მაზრაში უკვე აშენებულია საპარკეტო ფაბრიკა. ყველა ეს დაჯდება 3 მილ. მანეთი. მრეწველობის გაფართოვებასთან ერთად, უნდა გაიზარდოს, აგრეთვე, მუშახელის რიცხვიც.

დასასრულ რამოდენიმე სიტყვა ელექტროფიკაციაზე. აზერბეიჯანში შეუძლებელია დიდი სადგურების აგება. ამიტომ მოსკოვში გადაწყდა, რომ საჭიროა გადავიდეთ წვრილი სადგურების მშენებლობაზე. ამ მხრივ უკვე დაწყებულია მუშაობა განჯასა და ნუხაში.

წარსული წელი უნდა ჩაითვალოს ჩვენი მრეწველობის პირველი, დამოუკიდებელი ნაბიჯის წლად. ახლა უნდა გადავდგათ მეორე ნაბიჯი. აქ, აუცილებელია, დავეხვდება ახალი სიძნელე, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ის ენტუზიაზმი, ის ნებისყოფა, რომელიც აქვს მუშათა კლასს, მოგვცემს რწმენას, რომ მრეწველობის შემდეგი განვითარებაც წავა ასეთივე მტკიცე ტემპით".

ამხ. კასუმოვის მოხსენების შემდეგ წაკითხულ იქნა თურქმენისტანის ცაკის მისასალმებელი დეპეშა. ყრილობის პრეზიდიუმის სახელით შემოვიდა წინადადება, რომ მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს თურქმენისტანის საბჭოების მე-2 ყრილობას.

ყრილობის დღიური

დღის ყრილობის საღამოს სხდომაზე მოხსენებით აზერბეიჯანის მრეწველობის შესახებ გამოვიდა ამხ. ილდრიმი. კამათი მოხსენების გარშემო გაიმართება ხვალ (ადს).

სიღნაღის მაზრის საბჭოთა ყრილობა

სიღნაღი, 22 მარტი. დაიხურა სიღნაღის მაზრის საბჭოთა მეხუთე ყრილობა. ყრილობას დაესწრო 145 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 20 დელეგატი სათათბირო ხმით. დელეგატების საერთო რიცხვიდან 19 ქალია. ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყრილობის მუშაობაში. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდენ ისინი განათლების განყოფილების მოხსენების გარშემო გამართულ კამათში. ქალები მოითხოვდენ საბავშვო ბაღების და პროფტექნიკური სკოლების რიცხვის გადიდებას.

საარჩევნო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამომრჩეველთა აქტივობამ მაზრაში მიაღწია 64 პროცენტამდე. ქალები ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 26 პროც. შეადგენენ. საბჭოში გავიდა 1.562 დეპუტატი, მათ შორის 202 ქალი.

სამაზრო აღმასკომში არჩეულ იქნა 51 წევრი და 20 კანდიდატი.

რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობაზე არჩეულია 18 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 5 სათათბირო ხმით (ადს).

აჭარისტანის საბჭოთა ყრილობა

ბათომი, 22 მარტი. ყრილობის 22 მარტის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება და გამოტანილ იქნა რეზოლუციები განათლების სახალხო კომისარიატის და სამხედრო კომისარიატის მოხსენებების გამო. შემდეგ პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა აზერბეიჯანის საბჭოთა მეხუთე ყრილობისაგან და სამხრეთ-ოსეთის ცაკისაგან მიღებული მისასალმებელი დეპეშები.

შემდეგ შემოტანილ იქნა წინადადება აჭარისტანის ცაკის შემადგენლობაში 70 წევრის და 32 კანდიდატის არჩევის შესახებ. ყრილობა ერთხმად ირჩევს ფრაქციის კანდიდატებს, რომელთაც ხვდებიან „ვაშას და გაუმარჯოს" ძახილით.

აჭარისტანის მთავრობის შემადგენლობა

შემდეგ არჩეულ იქნენ დელეგატები სრულიად საქართველოს ყრილობისა და ნაციონალურ საბჭოსათვის. ამხ. გოგიბერიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ შესდგა ახლად არჩეულ ცაკის პირველი სესიის სხდომა. მთავრობაში არჩეულ იქნენ: ცაკის თავმჯდომარე მოლედინ ხურშანიძე, მდივანი—ხუსეინ ზოიძე, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—მამედ გოგიბერიძე, მოადგილე—ლეჟან ბამურელიძე, განათლების სახალხო კომისარი—ს. ლორთქიფანიძე, იუსტიციის სახალხო კომისარი—იუსუფ მახარაძე, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი—ზექერია ლორთქიფანიძე, ჯანმრთელობის სახალხო კომისარი—იუსუფ [illegible], შინა-ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებული ბრიგაძე, ფინსახკომის რწმუნებული—ზაქარიაძე, მუშგლეხინის რწმუნებული—ტაკიძე, შრომის სახალხო კომისარი—ბრილიძე(სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე—[illegible], ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველი—კუხალეიშვილი, სამხედრო კომისარი—ხომერიკი. (ადს).

მისალმებები

საქართველოს ცაკს

(კავკავიდან)

ინგუშეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა მესამე ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს მუშებსა და გლეხებს, რომლებიც ეხმარებოდენ ინგუშეთის მშრომელთ თეთრგვარდიელთა თარეშის დროს ჩრდილო-კავკასიაში.

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ყველა მშრომელთა ძმობას!

პრეზიდიუმი

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს

სრულიად აჭარისტანის საბჭოთა მეშვიდე ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ ორგანოს. ამიერ-კავკასიის ფედერაციის უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელობით აჭარისტანს, როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს აქვს კულტურულ-სამეურნეო აღმშენებლობის უდიდესი მიღწევები, მიღწეულია ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობა.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმობას!

პრეზიდიუმი.

ამიერ-კავკასიის ცაკს

სრულიად აზერბეიჯანის საბჭოთა მეხუთე ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის მშრომელთ. ყრილობა აღნიშნავს რა მიღწევებს ეროვნულ საკითხში კავშირის უმაღლესი ორგანოების სწორი ხელმძღვანელობის მეოხებით, იმედოვნებს, რომ ახლო მომავალში ამიერ-კავკასიის ხალხების მჭიდრო და ძმური კავშირი კიდევ უფრო გააძლიერებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მთელი კავშირის ეკონომიურ ძლიერებას, რომელიც საუკეთესო საწინდარია სოციალიზმის დიადი შენობის აღმშენებლობისათვის.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთ!

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს!

ყრილობის პრეზიდიუმი.

აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობას

საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობას შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა:

„საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ძმურ და ამხანაგურ სალამს უძღვნის აზერბეიჯანის მშრომელთ, რომელნიც შეიკრიბნენ საბჭოთა მეხუთე ყრილობაზე. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები თავისი ისტორიის მეტად პასუხისმგებელ მომენტში იმყოფებიან. პროლეტარული რევოლუციის მიერ გარიყული ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონური პარტიები, რომელთაც ასულდგმულებენ მეორე ინტერნაციონალის პარტიები, დახმარებას ხელისუფლების დაბრუნებისათვის ეძებენ ევროპისა და ამერიკის დაინტერესებულ წრეებში. იმპერიალისტური სახელმწიფოების, განსაკუთრებით ინგლისის გაბატონებული ჯგუფები ჩვენი ქვეყნიდან განდევნილ პარტიებს აქეზებენ, რომ აშკარა ბრძოლა დაიწყონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი მადნეულით, პირველ რიგში ჩვენი ნავთით დაინტერესებულნი მხარს უჭერენ და ფარულად და თუ აშკარად ასისინებენ ზოგიერთ მთავრობები. ამ ინტერესების წინააღმდეგ ჩვენ გვესაჭიროება მუშათა და გლეხთა ფოლადისებური სიმტკიცე, ა.-კ. რესპუბლიკების მშრომელთა განუყრელი კავშირი. აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობა, როგორც წინეთ, ისე ეხლაც უჩვენებს მსოფლიოს თავისი მტკიცე შეურყეველ ნებისყოფას, მიმართულს მთლიანობისა და თავდასხმისაგან დაცვისაკენ.

გაუმარჯოს აზერბეიჯანის საბჭოთა მეხუთე ყრილობას!

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

პარტიული ცხოვრება

[illegible] [illegible]

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეხუთე პლენუმი

გუშინ, საღამოს შვიდის ნახევარზე სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეხუთე პლენუმი. პლენუმს, დაესწრნენ აგრეთვე რწმუნებულებიც მაზრებიდან. მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშ-გლეხინის მუშაობის შესახებ მუშ-გლეხინის საქმიანობის ახალ გეგმასთან დაკავშირებით. (მომხსენებელი ამხ. ბ. დოლიძე). 2) საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება მისი მუშაობის შედეგებზე მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ. (მომხსენებელი ამხ. ავაქოვი). 3) მომხსენებლები ადგილებიდან (აფხაზეთიდან, [illegible] მაზრებიდან). 4) ქართულ დივიზიის სამხედრო პარტკომისიის მოხსენება, (მომხსენებელი ამხ. ტიგიშვილი). 5) მიმდინარე საკითხები.

პლენუმის დღის წესრიგში დასმული იყო აგრეთვე საკითხი ფასების დაკლების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. ეს საკითხი გადატანილ იქნა ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ, გუშინ საღამოს სხდომაზე, პლენუმმა მოისმინა სიღნაღის მაზრისა და აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკის რწმუნებულებისა მოხსენებები.

საწარმოო თათბირების მუშაობის გაჯანსაღება

ს. კ. პ. (ბ) ტ. ო. ყველა რაიკომებს, უჯ რედებს და ფაბ-ქარხ-ადგილკომთა ფრაქციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგანან უძნელესი ამოცანები ჩვენი მეურნეობის შემდგომი განმტკიცების, მრეწველობის ახალ ტეხნიკურ საფუძველზე მოწყობის და ხელისუფლების და მეურნეობის მმართველ აპარატების გაიაფება-რაციონალიზაციის საქმეში.

ამ ამოცანების შესრულებაზეა დამოკიდებული ჩვენი შემდგომი წინსვლა სოციალისტურ მშენებლობის გზით, რომლის აუცილებელი პირობაა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ჩვენი მეურნეობის ძირითადი კაპიტალის რეკონსტრუქციის საშუალებით; მათ შესრულებაზეა აგრეთვე დამოკიდებული მშრომელ მასების მატერიალური მდგომარეობის თანადათანობითი გაუმჯობესება სამეურნეო წინსვლის საფუძველზე.

ამ ამოცანების შესრულება შეიძლება იმ პირობებში, თუ ფართო პროლეტარული მასები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას წარმოებისა და მთელი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საკითხებში.

ჩვენს მეურნეობაში მშრომელ მასების მონაწილეობის ყველაზედ უფრო მიზანშეწონილ და საუკეთესო ფორმას წარმოადგენენ საწარმოო და ეკონომიური თათბირები.

მე-15 პარტკონფერენციამ მიუთითა, რომ „ამჟამად საწარმოო თათბირებმა (კონფერენციებმა) პროფკავშირების შეგნებულ და ენერგიულ ხელმძღვანელობით უნდა ითამაშონ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი იმით, რომ მიაღებინონ შეგნებული მონაწილეობა მუშათა ფართო მასებს მრეწველობის და მთელი სოციალისტური მშენებლობის ორგანიზაციის საქმეში, აღზარდონ ისინი და შეასწავლონ მათ წარმოების მმართველობის საქმე, წამოაყენონ პროლეტარულ ადმინისტრატორებისა და სამეურნეო მუშაკების ახალი ათასეულები და ამით შეუქმნან მტკიცე საფუძველი ბიუროკრატიზმთან ბრძოლას, გააჯანსაღონ მთელი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატი".

საწარმოო და ეკონომიურ თათბირების ორწლიანმა გამოცდილებამ დაამტკიცა მათი სიცოცხლის უნარიანობა. საწარმოო და ეკონომიურმა თათბირებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს მრეწველობის აღდგენას, წარმოების ორგანიზაციისა და მმართველობის აპარატების რამოდენიმედ გაუმჯობესების საქმეს.

ამასთან ერთად საწარმოო და ეკონომთათბირების მუშაობაში ისევ რჩება დეფექტების მთელი რიგი.

ეკონომ—და საწარმოო თათბირების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული იმაზედ, რომ ამ მუშაობას საკმარისი ყურადღებით არ ეპყრობიან და საკმარის ხელმძღვანელობას არ უწევენ პროფესიონალური, სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციები.

საწ. და ეკონომ-თათბირების მუშაობის გაძლიერების მიზნისათვის თბილისის კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. მოეწყოს საწარმოო თათბირები ყველა იმ წარმოებებსა და დაწესებულებებში სადაც ჯერ არ არის ასეთები.
2. ჩატარდეს საწარმოო და ეკონომიურ თათბირების რეორგანიზაცია, იქ სადაც თათბირების სტრუქტურა და მონაწილეთა შემადგენლობა არ შეეფერება არსებულ დებულებებს და აფერხებს მათ მუშაობას.
3. მსხვილ წარმოებებში და დაწესებულებებში მოეწყოს ცეხური და განყოფილებების თათბირები, რომლებზედაც უნდა გადატანილი იქნას მასსიური ეკონომმუშაობის სიმძიმის ცენტრი. ამასთანავე საერთო საკითხების დასამუშავებლად პერიოდულად უნდა იმართებოდეს საერთო-საქარხნო და დაწესებულების თათბირები.
4. საჭიროა ვეცადოთ, რომ საწ. და ეკ. თათბირებს დაესწროს მუშა-მოსამსახურეთა მეტი რიცხვი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კომუნისტებისა და კომკავშირელების მონაწილეობას თათბირების მუშაობაში.
5. ადმინისტრაციის ზოგადი მოხსენებებიდან საჭიროა გადავიდეთ თათბირების დღის წესრიგში წარმოება-დაწესებულების მუშაობის კონკრეტიულ საკითხების დასმაზე, მომხსენებლებათ უნდა წამოყენებულ იქნენ რიგის მუშები და მოსამსახურეები.
6. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალისა და სპეციალისტების მიზიდვას თათბირების მუშაობისადმი. ამავე დროს სავალდებულოდ ჩაითვალოს სამეურნეო მუშაკების მონაწილეობა საწ. და ეკონომ-თათბირების მუშაობაში.
7. თათბირებზე გასარჩევად დასმულია საკითხება წინასწარ უნდა დამუშავდენ ეკონომ—და საწარმოო კომისიების მიერ, ან მათ დამუშავება უნდა დავევალოს დროებით გამოყოფილ კომისიებს და ცალკე პირებს. ამავე დროს მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ საკითხების ძირითადი განხილვა ხდებოდეს თათბირებზე და ამით აღმოიფხვრას თათბირების კომისიებით შეცვლის შემჩნეული ტენდენცია.
8. აუცილებელია გაძლიერდეს საწ. თათბირებისა და ეკ. კომისიების დადგენილებათა შესრულების კონტროლი, რისთვისაც რეგულიარულად უნდა იქნენ მოხსენილი ადმინისტრაციის ინფორმაცია თათბირების დადგენილებათა შესრულების შესახებ.
9. წარმ. სპეციალური ფონდის შექმნის გზით შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში საწ. თათბირებზე და ეკონომკომისიებზე მუშების მიერ შემოტანილ გამოგონებათა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე წინადადებათა დაჯილდოება.
10. უჯრედები მთელ ხელმძღვანელობით მუშაობას საწ. თათბირებისა და ეკ. კომისიების მიმართ აწარმოებენ სათანადო ადგილკომების ფრაქციათა მეშვეობით.

დაევალოს კავშირების ც. გამგეობების ფრაქციებს მეტი ყურადღება მიაპყრონ საწ. თათბირებისა და ეკ. კომისიებისადმი ხელმძღვანელობას კრებებზე რეგულიარული დასწრებისა, ანგარიშების მოსმენის და სხ. გზით.

11. ეკონომიურ თათბირების მუშაობაში ყურადღების ცენტრად უნდა შეიქმნეს ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, მომჭირნეობის რეჟიმი, აპარატის რაციონალიზაცია და სხვა.

საწარმოო თათბირის მუშაობა უნდა იყოს მიმართული შრომის ნაყოფიერების აწევისაკენ, პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებისაკენ, პროდუქციის თვისებისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისაკენ და სხვა.

12. გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლის მიზნით საჭიროა გაძლიერდეს თათბირთა მუშაობის გაშუქება პრესაში.

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს მიზნათ აქვს დასახული მარტის თვის ბოლოში მოიწვიოს საწარმოო და ეკონომ-თათბირების საერთო საქალაქო კონფერენცია პროფკავშირების ხაზით.

კონფერენციის ამოცანაა—შეაჯამოს საწარმოო თათბირებისა და ეკონომკომისიების მუშაობა და დაისახოს შემდგომი ღონისძიებები მათი მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

რაიკომებმა, პარტ-უჯრედებმა და ფაბ-ქარხ ადგილკომთა ფრაქციებმა მოცემულ დირექტივის საფუძველზე წინასწარ უნდა დაამუშაონ საწარმოო და ეკონომ-თათბირთა მუშაობის საკითხები წარმოებებსა და დაწესებულებებში ეს ცირკულიარი განხილულ იქნეს მორიგ პარტიულ დღის უჯრედების ღია კრებებზე.

თბილისის კომიტეტის მდივანი
ნ. სვანიძე.
სწორია ტ. კ. საორგ. განყ. მდივანი
ჟავანია.

საბჭოთა უჯრედების თათბირი

გუშინ საქ. პროფკავშირთა დიდ დარბაზში შესდგა თბილისის კომიტეტის მიერ მოწვეულ საბჭოთა უჯრედების მდივნების თათბირი, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე ადგილკომების თავმჯდომარეები (კომუნისტები) და დაწესებულებების ხელმძღვანელნი (კომუნისტები) და ეკონომ-თათბირების თავმჯდომარეები (კომუნისტები). სულ თათბირს დაესწრო 182 ამხანაგი. თათბირი გახსნა ამხ. სვანიძემ.

დღის წესრიგში იდგა საკითხი: მოხსენებები ადგილებიდან და საინსტრუქციო მოხსენება საბჭოთა უჯრედების მუშაობის შესახებ.

„გრუზგოსტორგი"-ს უჯრედი

„გრუზგოსტორგის" უჯრედის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზაბაშტამ. უჯრედში არის 26 ამხანაგი. მათ შორის, მომაგრებულია 18 ამხანაგი. საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებული იყო 18 ამხანაგი. უჯრედში ადგილი ჰქონდა ინტრიგას, მაგრამ ბიუროს გადარჩევის შემდეგ ასეთი მოისპო. დამოკიდებულება უპარტიო თანამშრომლებთან კარგია. დაწესებულებაში სულ არის 120 თანამშრომელი. მათ შორის კომუნისტები 22. საკითხი ფასების დაკლების შესახებ უჯრედში იდგა. ჩვენ მივაღწიეთ ფასების დაკლებას რვა პროცენტამდე. ბიუროკრატიზმთან უჯრედი შეძლების დაგვარად აწარმოებს ბრძოლას.

მუშკოოპის უჯრედი

„მუშკოოპი"-ს უჯრედის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. გოგოლაძე.

სულ უჯრედში არის 69 კომუნისტი. დაწესებულებაში ითვლება 800-მდე თანამშრომელი, უჯრედს ჰქონდა 13 სხდომა, მათ შორის დახურული იყო შვიდი. ჩვენთან დაარსდა მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად სპეციალური კომისია. უჯრედი ისმენდა მუშკოოპის სხვადასხვა განყოფილებების ხელმძღვანელების მოხსენებას. უჯრედს გამოჰქონდა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ეგზავნებოდა გამგეობის ფრაქციას ცხოვრებაში გასატარებლად. უჯრედმა მიაქცია სათანადო ყურადღება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენს დაწესებულებაში არ არის ის ხასიათის ბიუროკრატიზმი, როგორც ეს არის სხვა დაწესებულებებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ჩვენთან მოდის სხვადასხვა სარეკომენდაციო წერილები სამსახურში მიღების შესახებ. მაგრამ ჩვენთან არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ პროტექციით ვინმე მიგვეღოს. ექვსი თვის განმავლობაში შემოტანილია 50 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.—ეს ამტკიცებს უჯრედის ავტორიტეტის ზრდას. ჩვენს უჯრედში დისციპლინა დამაკმაყოფილებელია. საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენების საკითხს ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგები უცქეროდ პესიმისტურად. ამ საქმეს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის უჯრედი

უჯრედმა, — ამბობს ამხ. ბახტაძე, (უჯრედის მდივანი) გამოჰყო კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ჩვენი აპარატის გაიაფების და შემოკლების საკითხი. ადმინისტრაციამ 80 პროცენტით გაატარა ცხოვრებაში ყველა ის დადგენილებანი, რომლებიც გამოიტანა ამ კომისიამ. შემოკლებულ იქნა აპარატი 25 პროცენტით, დანიშნული იქნა საშტატო კომისია და სხვა. ერთ დროს ადმინისტრაციის მიერ იქნა გაცემული ბრძანება, რომლის ძალით თანამშრომელს სამსახურში 15 წუთის დაგვიანებისათვის უნდა გადაეხადა ჯარიმა. ასეთი წესი მოსპობილ იქნა უჯრედის ინიციატივით.

უჯრედი აწარმოებდა ბრძოლას პროტექციონიზმთან. ამ ბოლო დროს დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობს აპარატის გაჯანსაღებისათვის. დამოკიდებულება ადმინისტრაციასთან კარგია, უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია. ჩვენთან არსებობენ: „რემედასი"-ს, „ავიაქიმი"-ს და „სოფლის და ქალაქის კავშირის მეგობართა" საზოგადოება. უკანასკნელი ყველაზე კარგად მუშაობს. გვაქვს კავშირი სამხედრო ნაწილებთანაც.

ბიუროკრატიზმი, რა თქმა უნდა, ჩვენთან არის და მას სათანადოთ ვებრძვით. პარტიულების პროცენტი დაწესებულებაში აღწევს 25-მდე. მუშების წამოყენების საკითხი ვერ არის დაყენებული, შესაფერისად.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს უჯრედი

ამ უჯრედის მუშაობაზე მოხსენებით გამოდის ამხ. ვოიკინი. სამმართველოში ითვლება 1.300 თანამშრომელი. ადმინისტრატორი ითვლება სულ 156. მათ შორის 98 მოსამსახურე, 9 მუშა, ხოლო დანარჩენები ყოფილი თავადაზნაურები და სხვები. შტატების შემოკლება ჩვენთან არ ყოფილა. უჯრედმა დაავალა სპეციალურ კომისიას დამუშაოს საკითხი შტატების შემოკლების შესახებ. ჩვენი აპარატის მუშაობა შეიძლება მივიჩნიოთ ნელ ტემპით. ჩვენ გვქონდა უჯრედის ორი ღია სხდომა, სადაც დავსვით საკითხი ბიუროკრატიზმის შესახებ. დავაარსეთ აგრეთვე ბიუროსთან სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობს ჩვენი აპარატის გაჯანსაღებისათვის. ამავე კომისიას დაევალა გამოარკვიოს გამგეობის წევრების მოვალეობანი, მათი უფლებები და საერთოდ შეისწავლოს სხვადასხვა განყოფილებების მუშაობა. ზოგიერთ ამხანაგებს ბიუროკრატიზმისათვის ჩვენ გამოვუცხადეთ საყვედური. ზოგიერთ განყოფილებებში, სადაც 300 თანამშრომელია ჩვენ გვყავს მხოლოდ ერთი კომუნისტი. ეს გარემოება აძნელებს პარტიულ ხელმძღვანელობას. პასუხისმგებელი ამხანაგები-ადმინისტრატორები დაშორებული არიან უჯრედზე, რადგან ძალიან დატვირთულნი არიან თავისი სამსახურით. უჯრედის ოცი პროცენტი დატვირთულია სხვადასხვა მუშაობით. მთელს უჯრედში 122 ამხანაგს არავითარი პარტიული დავალება არა აქვს. დისციპლინა უჯრედში განმტკიცდა (დაუსწრებლობის ოცი პროცენტი დაიწია 14 პროცენტამდე). აქვს ადგილი კომუნისტების მეშჩანური გარემოცვას.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. სვანიძის საინსტრუქციო მოხსენება საბჭოთა უჯრედების ამოცანების შესახებ, რომელსაც მოვათავსებთ ხვალ.

კამათი მოხსენებების ირგვლივ გადატანილ იქნა შემდეგი სხდომისათვის. რეზოლუციის გამოსამუშავებლად თათბირმა აირჩია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. დარახველიძე, გუდავაძე, გეურქოვი, ვოიკინი, კუდრიავცევი, მარგალიტაძე, ეორეოლაძე, ლეჟავა, ორახელაშვილი მარიამ, ვამციანი, ბელელაძე, ხაცკევიჩი, შენგელია და ბდამაძე.

ი. ჩ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანგარა ფელეტონი

დირექტივა

(ჩინეთის სახალხო რევოლიუციონურ არმიის მთავარსარდალს ჩან-კაი-შის)

ყოჩაღ! ყოჩაღ! ბარაქალა.
მთავარსარდალო ჩან-კაი-ში!
ეს კარგია, მტრების ჯიბრზე
რომ შესულხარ შანხაიში.

მომწონს, სწორად რომ ასრულებ
დირექტივებს გადმოცემულს:
აპანჩურებ სუნ-ჩუან-ფანს
და ჩან-ძო-ლინს „პატივცემულს".

კვლავ განაგრძე და მიიღე
კვლავ ახალი დარიგება:
ლაი-ლაით, ხოლმე, ბრძოლა
არასოდეს არ იგება.

გასწი,—დასცხე, ნებას გაძლევ
იმ შავრაზმულ ჩან-ძო-ლინსა
ცხვირი ისე გაუხადო,
რომ უგავდეს ხოლმე ბლინსა

კიდევ გაძლევ იმის ნებას
(თან მიიღე დირექტივა
ახალ, მებრძოლ ჩინეთისთვის
ჩვენ ორთავეს გული გვტკივა)

იმ „სტუმარ" ხალხს არა მკითხეს,—
გემებით რომ გზავნის ჯარებს.
ამცნე ჩინელს რა მუშტი აქვს,
თუ მას ვინმე გააჯავრებს.

ერთი კარგად აცხე რაღა!
ჯიგრიანად, ჩვენებურად.
თან ზრდილობით მოახსენე:
„გიძღვნით-თქო, ისე... ძმურად.

თუ ამდენი თვე და წელი
თქვენ „გვივლიდით" მეგობრულად
მაშ, მადლობაც მიიღეთ თქო,
ნახარჯებიც უკან სრულად".

ის კი არსად გამამხილო,
რომ მე მოგეც დირექტივა,
თორემ ამ ჩვენ თანხმობაზე
შუბლ-მაგარი ისეც ჰკივა.

შენს მებრძოლებს გადაეცი
მისალმება, რჩევაც ჩემი:
ჩან-ძო-ლინს და სუნ-ჩუან-ფანს
მიაყოლონ დანარჩენი.

საქმეთა გარეშე უხალხო
კომისარი
ხ(ი)ზიკა.

საგზაო მშენებლობა აჭარისტანში

აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გაყვანილი იყო მხოლოდ ორი გზატკეცილი—ბათომ-გოდერძის და ქობულეთ-ბათომის, რომელთა საერთო სიგრძე 150 ვერსს უდრიდა. ამავე ხნის განმავლობაში აგებული იყო მხოლოდ 4 ხიდი. ამ გზატკეცილით სარგებლობდა მხოლოდ 12 სოფელი. 1914 წლის შემდეგ აჭარისტანის ეს ორი მთავარი გზატკეცილი არც ერთხელ არ შეკეთებულა, რის გამოც გზატკეცილები და ხიდები ისე გაფუჭდენ და გაუვარგისდენ, რომ მგზავრობა მათზე შეუძლებელი გახდა. მათი აღდგენა თითქმის ახალი გზატკეცილის გაყვანას უდრიდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელშივე დაიწყო მუშაობა მათ აღსადგენად, და საბჭ. ხელისუფლების არსებობის მეხუთე წელს ამ გზებზე სწარმოებდა თავისუფალი საავტომობილო მოძრაობა.

როგორც აღნიშნული იყო, ამ ორი მთავარი რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზატკეცილით სარგებლობდა მხოლოდ 12 სოფელი, აჭარისტანის მაზრების დანარჩენი სოფლები უგზობის გამო სრულიად მოწყვეტილი იყვნენ ამ მთავარ საგზატკეცილო მაგისტრალს.

სოფლელ მოსახლეობის მიმოსვლა ბათომთან სწარმოებდა საქვეითო ბილიკებით, რაც მეტად აძნელებდა და აფერხებდა სოფლების ქალაქ ბათომთან დაკავშირებას, ცუდი ამინდებისა და წყალდიდობის დროს აჭარელ გლეხს ბათომში ჩასვლა ხშირად დიდ ზარალს აყენებდა და ხანდახან სიცოცხლედაც უჯდებოდა (უხიდო მდინარეებზე გადასვლის დროს ჰკარგავდა ბარგს, ცოცხალ საქონელს და სხვა). სწორედ ასეთი სახიფათო გაჭირვებული საგზაო პირობები იყო მიზეზი, რომ ბევრი აჭარელი გლეხი ისე აბოლოებდა თავის სიცოცხლეს, რომ ბათომში არ ენახა, უგზოობა დაუძლეველ დაბრკოლებად ეღობებოდა წინ აჭარისტანის მოსახლეობის ეკონომიურ და კულტურულ წინსვლას. საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ აჭარისტანის სამეურნეო-კულტურულ მშენებლობის წარმატებისათვის წინასწარ პირობას წარმოადგენდა საგზაო ქსელის გაბმა აჭარისტანის მიყრუებულ კუთხეებში, თავის მუშაობის უპირველეს ამოცანად დაისახა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაყვანა მთელს აჭარისტანში.

1923 წლიდან იწყება შეუჩერებელი ენერგიული მუშაობა გზების გასაყვანად. მიუხედავად ფინანსიური ხელმოკლეობისა ადგილობრივ მოსახლეობის დახმარებით საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა შესძლეს შემდეგი გზატკეცილების გაყვანა: ლორჯომის გზატკეცილი სიგრძით 8 ვერსი, ქედის გზატკეცილი—8 ვერსი, ლეღვის—13 ვერსი, მერისის—7,5 ვერსი, ჩაქვის—12,5 ვერ. ჩაქვისთავის—13,5 ვერ. სხალთის—10 ვერ. ჩიქუნეთის—11 ვერსი, ურეხის—7 ვერ. ამ გზატკეცილების საერთო სიგრძე აღემატებოდა 80 ვერსს. ამავე ხნის განმავლობაში აგებულია შემდეგი ხიდები: ალამბრის ხიდი სიგრძით 12 საჟ., ქობულეთის ხიდი—11 საჟ., ორთაბათომის ხიდი—10 საჟ., ხულუბანის ხიდი—16 საჟ., სმეკალოვის რკინა-ბეტონის ხიდი 8 საჟ., ქედის რკინა-ბეტონის ხიდი—42 საჟ., აჭარისწყალის რკინა-ბეტონის ხიდი—12 საჟ., სხალთის ხიდი—8 საჟ. და სხვა. ყველა აგებულ ხიდების საერთო სიგრძე 180 საჟენს აღემატება 80 ვერსს. ამავე ხნის მიმდინარეობს. 1927 წლის დამლევისათვის ახლად გაყვანილ გზატკეცილების საერთო სიგრძე მიაღწევს 90 ვერსს, ხოლო აგებული ხიდების საერთო სიგრძე—200 საჟენს. ახალ გზატკეცილების საშუალებით ქალაქთან და ერთმანეთთან მიმოსვლა აქვს 100-მდე სოფელს.

მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ შეუწყობს ხელს რიგიანი გზატკეცილები წინად მივარდნილ და მიყრუებულ სოფლების ეკონომიურ-კულტურულ გამოცოცხლებას, გზების გაყვანის შედეგები და პირველი ნაყოფი უკვე სჩანს. სოფლებში იხსნება კოოპერატივები, რომელთაც ბათომიდან ავტომანქანებით რეგულიარულად აწვდიან პირველი საჭიროების საქონელს, იხსნება ქოხსამკითხველოები და კლუბები, რომელსაც ბათომიდან აწვდიან ჟურნალ-გაზეთებს და სათანადო ლიტერატურას; თვეში რამოდენიმეჯერ მოგზაურობს პოლიტგანათლების სამმართველოს მოძრავი კინო, რომელიც სისტემატიურად სხვადასხვა სოფელში აწყობს თავის სურათების ჩვენებას. რასაკვირველია, ასეთ კულტურულ საქმიანობაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა მაშინ, როცა აჭარელ გლეხს უგზოობის გამო არა თუ ბათომში, ახლობელ სოფელში წასვლაც ვერ გაებედა.

ნ. ქ.

ფასების დაკლების კამპანია

ფასების დაკლება სატრანსპორტო კოოპერაციაში

მუშაობა საცალო ფასების დასაკლებად ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო კოოპერაციაში დაიწყო თებერვლის შუა რიცხვებში. ფასების დაკლება 1 იანვართან შედარებით 1 მარტისათვის გამოიხატა 4,25 პროც.

ამგვარად დირექტივა ფასების დაკლების შესახებ პირველი მარტისათვის 4 პროცენტის გადაჭარბებით არის შესრულებული.

ფასების დაკლება საკვებ პროდუქტებზე 1 მარტისათვის გამოიხატა—4,5 პროცენტში, ხოლო ფართო მოთხოვნილების საქონელზე—3 პროცენტში.

კერძოთ, ფასი კილოგრამ ბადიშის ბრინჯზე—62 კაპეიკიდან შემცირდა—58 კაპეიკამდე, ლობიოზე—20-დან—16 კაპეიკამდე, ხორცზე—79-დან—70 კაპეიკამდე, შაქარზე—77-დან—72 კაპეიკამდე, ქუბანის ფქვილზე—18-დან—17 კაპეიკამდე, კართოფილზე—7,5-იდან—6,5 კაპეიკამდე და ხახვზე—10-დან—8,5 კაპეიკამდე.

საბიუჯეტო ნაკრების ღირებულება 1 მარტისათვის შემცირებულ იქნა 15 მან. 16 კაპეიკამდე.

ეხლა ფასების დაკლების კამპანია უფრო ფართოვდება.

გამგეობა შეუდგა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების გადასინჯვას, მათი შემცირების მხრივ.

კამპანიის პოპულიარიზაციისა და მისი სისწორით გატარებისათვის თვალყურის სადევნებლად გამგეობამ ყველა რაიონულ ინსტრუქტორებს დაავალა წინადადება მისცენ სავაჭრო პუნქტებს თავის დროზე წარმოადგინონ ცნობები ფასების დაკლების შესახებ.

ცეკავშირში

ცეკავშირის გამგეობამ გაატარა ფასების დაკლება იმ ფართლეულზე, და სხვა საქონელზე, რომელიც მის საწყობებში იმყოფება: ბამბეულ ფართალზე—5 პროცენტით, მაუდისა, სელისა და ხაკამეილო საქონელზე—5 პროცენტზე, ტრიკოტაჟზე და გალანტერეაზე—10 პროცენტამდე, ფეხსაცმელებზე—10 პროცენტით, ფაიფურის ნაკეთობაზე—5 პროცენტით, მინის ჭურჭლეულზე—5 პროცენტით, რკინეულობაზე—1—2 პროცენტით, საკანცელარიო ნივთებზე—20 პროცენტამდე.

გარდა ამისა ტრესტებისაგან მიღებული ფართლეულის მიწოდების დროს ძირითადი კოოპერატივებისათვის ცეკავშირს უფლება ჰქონდა დაეხურა საგასაცემო ფასებისათვის ზედნართი თავის სასარგებლოდ არა უმეტეს 4 პროცენტისა. მაგრამ ცეკავშირმა თავისი ინიციატივით და ფასების დაკლების მიზნით ეს პროცენტი შეამცირა საგრძნობლად. ასე, მაგალითად, საპრეისკურანტო ფასებზე ცეკავშირს შეეძლო შინა-ვაჭრობის კომისარიატის დადგენილების თანახმად დაერთო ზედნართი არა უმეტეს 13,98 პროცენტისა ბამბეულ ფართალზე, მაგრამ ეხლა, შემცირების შემდეგ, ზედნართი არ აღემატება 12 პროცენტს, მაუდის ნაკეთობაზე შეეძლო დაერიცხა 11,02 პროცენტი,—ეხლა არიცხავს 10 პროცენტს, ხაკამეილო ნაკეთობაზე შეეძლო დაერიცხა 11,02 პრ., ეხლა არიცხავს 10 პროც.; სელის ნაკეთობაზე შეეძლო დაერიცხა 10,82 პროც. ეხლა არიცხავს 10 პროც.

თბილისის მუშკოოპში

თბილისის მუშკოოპის მიერ გადაფასებულ იქნა გალანტერეისა და გასტრონომიული საქონელი 854.000 მ. ღირებულების შემცირებულ იქნა ღირებულება აბსოლიუტურ ციფრებში 84.000 მანეთით, რაც შეადგენს დაკლების—10,8 პროც.

ფასების დაკლება პროვინციაში

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით ყველა სამაზრო აღმასკომს დაევალა გამოჰყოს ერთი პასუხისმგებელი პირი, რომელიც სპეციალურად თვალყურს ადევნებს ადგილობრივ ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობას და პასუხისმგებელი იქნება ა. კ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. ამ დადგენილებით ვაჭრობის სახალხო კომისარიატს საშუალება მიეცემა სისტემატიურად შეამოწმოს და გამოიკვლიოს ის, თუ ადგილობრივ როგორ ტარდება ფასების დაკლების კამპანია, ან რა უშლის ხელს მის გატარებას.

არტურ ლეისტის გარდაცვალება

22 მარტს, ნაშუადღევის სრულ 4 საათზე ფილტვების ანთებით გარდაიცვალა დამსახურებული საზოგადო მოღვაწე და მწერალი არტურ ლეისტი.



ავადმყოფობის ისტორია

18 მარტის დილამდე დამსახურებული საზოგადო მოღვაწე და მწერალი არტურ ლეისტი კარგად გრძნობდა თავს. იგი სისტემატიურად სწერდა თავის მოგონებების უკანასკნელ ტომს და ამასთანავე ამეცადინებდა მოწაფეების ჯგუფს გერმანულ ენაში.

პარასკევს დილით ლეისტმა დაიწყო წერა, ხოლო, როდესაც დაიღალა, დაიწყო სეირნობა დახურულ აივანზე, სადაც შემთხვევით გაღებული იყო ფანჯარა. აივანზე სეირნობის დროს განსვენებული გაციებულა, შესულა სახლში და მაშინვე ჩაწოლილა ლოგინით. საღამოს ავადმყოფს მისცა სიცხე და ცუდათ იგრძნო თავი. კვირა დილას ლეისტი ინახულა ექიმმა ქიქოძემ, რომელმაც ავადმყოფს შეუმოწმა ფილტვების ანთება გრიპის ნიადაგზე.

კვირა დილიდან ავადმყოფმა ნაწილობრივ დაჰკარგა ლაპარაკის უნარი, რაც ექიმის აზრით დამბლით იყო გამოწვეული. იმავე დღის საღამოს განსვენებულმა დაიწყო არეული ლაპარაკი და სიცხემ აუწია 40 გრადუსამდე. ორშაბათს ავადმყოფი ვერ ლაპარაკობდა და დიდი სიცხის გამო ბოდავდა.

22 მარტს დილით არტურ ლეისტმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, დაუძახა მეუღლეს და უთხრა, რომ იგი ველარ მორჩება და სთხოვა მოუაროს მის ნაწერებს. ამის შემდეგ მას ნაშუადღევის 4 საათამდე აღარაფერი უთქვამს. ოთხ საათზე არტურ ლეისტი გარდაიცვალა.

განსვენებულს სისტემატიურად ნახულობდა და ექიმობდა ექიმი ქიქოძე. გარდაცვლის შემდეგ ლეისტის ქვრივი ინახულეს მწერალთა კავშირის წარმომადგენლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა.

არტურ ლეისტი

(მოკლე ბიოგრაფიული ცნობები)

არტურ ლეისტი დაიბადა გერმანიაში, სილეზიის დედა ქალაქ ბრესლავში. მამა მისი ერთი და იმავე დროს მასწავლებელიც იყო და ჟურნალისტიც. შვილიც მამის გზას დაადგა და როცა ბრესლავის გიმნაზია გაათავა, მან ჟურნალისტიკას მოჰკიდა ხელი. ლეისტი 25 წლის იყო, როცა სამ დიდ გერმანელ გაზეთის დავალებით კორესპონდენტათ გაემგზავრა პოლონეთის დედა ქალაქ ვარშავაში.

ვარშავაში ლეისტმა ერთსა და იმავე დროს შეისწავლა პოლონური და რუსული ენები. იგი უახლოვდება პოლონელ მწერლებს, რომელნიც მაშინ სათავეში უდგენ პოლონეთის საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემას. ეს იყო რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს.

არტურ ლეისტი აცნობდა გერმანელებს პოლონეთის ცხოვრების ავკარგს, იგი სწერდა პოლონურ მწერლობაზე, მხატვრობაზე და სხვა საკითხებზე. ეს წერილები აინტერესებდა არა მარტო გერმანელებს, არამედ პოლონელებსაც, რომლებიც თარგმნიდენ ამ წერილებს პოლონურ ენაზე.

ასე მუშაობდა არტურ ლეისტი ვარშავაში, სანამ მას არ გაეცნო ერთი მდიდარი პოლონელი მემამულე, რომელმაც მიიწვია სოფელში თავის შვილის მასწავლებლად. მემამულესთან სოფელში ლეისტს დახვდა მდიდარი ფრანგულ-პოლონური ბიბლიოთეკა და მისებრ ახალგაზრდა მასწავლებელი, ფრიად განათლებული ინგლისელი. არტური აქ შეუდგა ფრანგული ენის შესწავლას, ხოლო ინგლისელის ხელმძღვანელობით—ინგლისურისასაც და ცოტა ხანში ისე გაიწაფა ამ ორ ენაში, რომ დაუბრკოლებლივ შეითვისა საფრანგეთისა და ინგლისის მწერლობა, კულტურა და ისტორია.

1881 წელს არტურ ლეისტი უკვე ვენაში მუშაობს და იტალიურ ენას სწავლობს, რომელიც მან ჩქარა დასძლია. მან ბეჯითად შეისწავლა იტალიის ხალხის ისტორია და კულტურა. საზოგადოთ, არტურ ლეისტს არ უჭირდა ენების შესწავლა და რაკი ენას შეისწავლიდა, მერე მისთვის ადვილი იყო ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიისა და მწერლობის შესწავლაც.

ამ ხანებშივე არტური გაიცნობს ცნობილ გერმანელ პოეტს ბოდენშტეტს, რომლის რჩევით ძლიერ დაინტერესდება საზოგადოთ აღმოსავლეთით და კერძოთ კი საქართველოთი. ბოდენშტეტს პირადათ უმოგზაურნია კავკასიის და საქართველოში. არტურმა გამოიწერა თბილისიდან მისთვის საჭირო ყველა წიგნები და ერთი წლის მეცადინეობის შემდეგ დასწერა თავისი პირველი ნაშრომი. „დავიწყებული ლიტერატურა", რომელიც დაბეჭდილი იყო ლეიპციგის ერთ-ერთ ცნობილ ჟურნალში. ეს წიგნი გადმოთარგმნეს რუსულ და ქართულ ენებზე. ამ წიგნის გაცნობის შემდეგ არტურ ლეისტი საქართველოში მოიწვია ილია ჭავჭავაძემ და 1881 წელს ლეისტს უკვე რამოდენიმე წერილი ჰქონდა დაბეჭდილი გერმანულ ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს შესახებ. ლეისტი თბილისში დარჩება ერთ თვეს და ისევ ბრუნდება სამშობლოში. ამ მოგზაურობას მოჰყვა არტურ ლეისტის საინტერესო წიგნი „გეორგიენ" (საქართველო), რომელიც 1886 წელს დაიბეჭდა ლეიპციგში, ხოლო მისი თარგმანი გამოდის პოლონურ ენაზედაც.

ხელმეორედ ჩამოდის ლეისტი საქართველოში 1885 წელს და ეხლა უფრო გულმოდგინეთ შეუდგება საქართველოს მწერლობის და ისტორიის შესწავლას. უახლოვდება ქართველ ინტელიგენციას; გაიცნობს სომხობასაც, მათ ყოფა-ცხოვრებას და მწერლობასაც. ერთი წლის შემდეგ არტური გამოსცემს ლეიპციგში თავის თარგმანს „ქართული პოეტები", რომლის საშუალებით ევროპიელებს პირველად ეძლევა შემთხვევა გაიცნონ ქართველების მწერლობა. ამავე წელს ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბელის დახმარებით შეუდგება შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანის" თარგმნას, რომელსაც დაასრულებს სამი წლის შემდეგ და რომელსაც გამოსცემს დრეზდენში 1890 წელს. ეს პირველი თარგმანია ლექსად „ვეფხის ტყაოსანისა", რომელსაც გაეცნენ ევროპიელები. თარგმანმა დიდი ყურადღება მიიქცია.

1889 წლიდან ლეისტი ისევ საზღვარგარეთ მიემგზავრება და იქ ყოფნის დროს გამოაქვეყნებს თავის ნაწერებს: „სომხური ესკიზები" და „სომხური პოეტები". ლეისტი ხელახლა დაბრუნდა საქართველოში 1892 წელს.

1896 წელს არტურ ლეისტის დიდი მოთხრობა „ვარაპაძიანთ ნინო" იბეჭდება შტუტგარტის ჟურნალში. ეს მოთხრობა გადათარგმნილია ქართულად ივანე მაჩაბლის მიერ და დაბეჭდილია „მოამბეში" 1895 წელს. მოთხრობაში დასურათებულია წარსული საუკუნის დამლევის ჩვენი ყოფა-ცხოვრება.

1904 წელს ლეისტმა დაამთავრა თავისი დიდი ნაშრომი „ქართველი ხალხი". ეს წიგნი გადათარგმნილია მრავალ ევროპიულ ენებზე.

ფრიად საინტერესოა აგრეთვე ლეისტის წიგნი „მგზავრის დღიური", სადაც მეტად ბევრი რამ არის მოთხრობილი საქართველოზე. მრავალი ცნობაა აგრეთვე სომხეთზე და მის მოღვაწეებზე.

1906 წელს არტურ ლეისტმა სხვა აქაურ გერმანელებთან ერთად დაარსა თბილისში გერმანული გაზეთი „კავკაზიშე პოსტე", რომლის რედაქტორ-გამომცემელი თვითონ იყო წელიწად ნახევარი.

1923 წლის ოქტომბრის 22 სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა არტურ ლეისტს გაუმართა იუბილე საქართველოში მისი 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

არტურ ლეისტი გარდაიცვალა 74 წლის.

ვ—ნი.

პროფ. პ. გ. მელიქიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა

(პროფ. მაჭავარიანის აზრი)

— დამსახ. პროფ. პ. გ. მელიქიშვილმა—განაცხადა პროფ. მაჭავარიანმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, წიგნის საჭრელი დანის წვერი იჩხვლიტა მარცხენა ხელის საჩვენებელ თითში. ნაჩხვლეტი ადგილი გართულდა განგრენით.

ეს გართულება ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში ავადმყოფის ასაკს და ამ ასაკისათვის ჩვეულ სისხლის ძღვთა გადაგვარებას. გარდა ამისა ეს გართულება იმითაც უნდა აიხსნას, რომ პროფ. მელიქიშვილის ორგანიზმი დიდი ხანია დაავადებულია დიაბეტით (შაქრის ავადმყოფობა).

საერთოდ ცნობილია, რომ დიაბეტი ხელს უწყობს განგრენის განვითარებას. ჩვეულებრივია ამასთანავე ისიც რომ დიაბეტით დაავადებული ადამიანი სხეულის უმნიშვნელო დაზიანებით განიცდის ამა თუ იმ ნაწილის განგრენას. ასეთი განგრენა განსაკუთრებით აღინიშნება ხოლმე საერთოდ სხეულის კიდურებზე და უფრო ხშირად ქვედა კიდურებზე.

განგრენა დიაბეტიურ ნიადაგზე, უმეტეს შემთხვევაში სველი ხასიათისაა, რაც საზოგადოდ ავადმყოფს გაცილებით უფრო დიდ სიფთხეს უქადის, ვიდრე ე. წ. მშრალი განგრენა (mumificatio)

სველი განგრენის დროს მისგან დაავადებული სხეულის ნაწილი კვდება და ამასთანავე ავადმყოფის ორგანიზმის მიერ ნივთიერების გამოწოვა. ამას კი ჰყვება მისი სხეულის საერთო მოწამვლა და აქედან გამომდინარე—სიკვდილი.

ცხადია ასეთ შემთხვევის დროს, ერთადერთ საშუალებად ადამიანის გადასარჩენად ითვლება დაავადებულ ნაწილის მოცილება სხეულისაგან. საუბედუროთ ამგვარი რადიკალური ზომაც კი ხშირად შედეგს ვერ აღწევს და ავადმყოფი მაინც იღუპება. სიკვდილი ამ შემთხვევაში შედეგია, ორგანიზმის უკვე მოწამვლისა ოპერაციის წინ, ნაოპერაციევ ტაკვზე ხელახლად განგრენის წარმოშობისა, ქრონიკული სხვა რამე გართულებისა ან და ავადმყოფის დავარდნისა დიაბეტის ნიადაგზე.

დამსახ. პროფ. მელიქიშვილის თითის ნაჩხვლეტის განგრენის გართულება უნდა აიხსნას სწორედ ხსენებული დიაბეტით.

ერთად-ერთი გამოსავალი ავადმყოფობის ხსნისა იყო ხელის ამპუტაცია (მოკვეთა). ხელის მოკვეთა მხრის ზემო მესამედში გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ ამპუტაცია ხდებოდეს დაავადების ადგილიდან რაც შეიძლება დაშორებით, რათა ამგვარად ავადმყოფი უზრუნველგვეყო დაავადებულ და საეჭვო ნაწილების შენარჩუნებისაგან.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ნაოპერაციევი ხელის მოშუშება მძიმედ მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაო დრომ განვლო ოპერაციის შემდეგ,—აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ: ავადმყოფის ასაკი, განგრენის მიერ გამოწვეული გართულება და დიაბეტი.

დღეს ავადმყოფის მდგომარეობაში აღსანიშნავია ერთგვარი გაუმჯობესება. ტემპერატურა დილის—37,3 გრადუსს, მაჯა—81-ს.

ამგვარად. შეიძლება ითქვას, რომ საერთო მდგომარეობა წინადღეებთან შედარებით დამაკმაყოფილებელია.

ლიბანის სანატორიუმი

ამიერ-კავკასიის საგზაო დამზღვევ სალაროში მიღებულ ცნობებით, ცენტრალურ დამზღვევ სალარომ საბოლოოდ დაამტკიცა ლიბანის სანატორიუმის დასამთავრებელი ხარჯთ-აღრიცხვა. საერთო ღირებულება სანატორიუმის აღმშენებლობისა გამიანგარიშებულია 1.317.500 მანეთის რაოდენობით, ანუ 8.500 მან. თვითეულ საწოლზე.

სანატორიუმის მოწყობილობისა და ინვენტარის შესაძენად ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია 58.690 მანეთი; ამ თანხიდან ცენტრში შეძენილ იქნება სხვადასხვაგვარი მოწყობილობა 43.645 მან.

ამჟამად დამთავრებულია ელექტრო სადგურის აგება.

ამჟამად მიმდინარეობს გასანათებელ ქსელის გაყვანა და თავდება მუშაობა ორთქლის გათბობის მოსაწყობად.

სანატორიუმი საბოლოოდ მზად იქნება პირველი ივლისისათვის.

გრიპი

თბილისში.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, გრიპით დაავადება თბილისში კლებულობს. თუ იანვარში აღრიცხული იყო 1153 ავადმყოფი, თებერვალში ეს რიცხვი შემცირდა 1076-მდე. ავადმყოფობა იოლ ფორმებში გამოიხატება და ძლიერ ეპიდემიურ ხასიათს არ ატარებს. ავადმყოფობის გავრცელებას ხელს უწყობს ამინდის ხშირი ცვალებადობა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მომავალში ამინდი გამოკეთდება და თბილი დარები დადგება, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გრიპით დაავადების რაოდენობა შემცირდება.

თბილისში გრიპით ავადმყოფობა არ გრძელდებოდა 5—7 დღეზე მეტს, იმ დროს, როდესაც ძლიერი ეპიდემიურობის დროს ავადმყოფობის ხანგრძლივობა აღწევს 17 დღეზე მეტს.

მაზრებში.

ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით, გრიპით დაავადება არც მაზრაში არ ატარებს ძლიერი ეპიდემიის ხასიათს. დაავადების დიდ რაოდენობას ადგილი ჰქონდა ფოთში, ეხლა კი თვალსაჩინოდ შემცირდა.

ამჟამად გრიპი ძლიერ არის გავრცელებული ხაშურში და ზუგდიდში, მაგრამ იგი საშიშროებას არ წარმოადგენს.

რკინის გზებზე.

გრიპი უფრო გავრცელებულია ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე.

ამიერ-კავკასიის რკინისგზის ჯანმრთელობის სამმართველოს ცნობით, გრიპით დაავადებას ზრდა ემჩნევა უმთავრესად ხაშურში და შორაპანში და უკანასკნელ ცნობების მიხედვით, იგი იწყება სამტრედიაში.

სენის გავრცელების უმთავრეს მიზეზებად რკინის გზებზე ითვლება ხალხთა მოძრაობა და ნივთების გადაზიდვა.

გრიპიდ დაავადებას ადგილი აქვს ბალაჯარაშიც, სადაც გრიპით დაავადებულია რკინისგზელთა მოსახლეობის 12 პროცენტი.

რკინისგზის ჯანმრთელობის სამმართველომ ხაშურში გრიპით დაავადებულ რკინისგზელთათვის დახმარების აღმოსაჩენად დამატებით გაგზავნა ერთი ექიმი.

რკინისგზეზე

ხელფასის გადიდება.

ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველოს თანამშრომელთა გამოკლებით, რკინისგზელების საშუალო თვიური ხელფასი წარსულ წელს გამოიხატა 67 მან. 18 კაპეიკში. მიმდინარე საბიუჯეტო წლის ოთხი თვის განმავლობაში კი მიაღწია—76 მან. 90 კაპეიკს, ე. ი. გადიდდა 15 პროცენტით.

ზოგიერთ განყოფილებებში და კერძოდ ტელეგრაფ-ტელეფონის განყოფილებაში ხელფასი გაიზარდა 25 პროცენტამდე.

მთავარ სახელოსნოებში შარშან საშუალო თვიური ხელფასი უდრიდა 86 მან. 45 კაპეიკს, წელს კი ოთხი თვის განმავლობაში იგი გაიზარდა 102 მანეთამდე.

მატარებლის ჩავარდნა.

21 მარტს სადგ. სუმგაიტში სახალხო მატ. № 11 შესვლის დროს ლიანდაგს ასცდა რამდენიმე ვაგონი.

ორთქლმავალმა სამი საკლასო რონოდით და მეორე რონოდის წინა ნაწილმა გაიარეს ხაზი, ხოლო ამ რონოდის უკანა ნაწილი და დანარჩენი რონოდები წავიდენ მეორე ხაზით და ამას მოჰყვა ოთხი საკლასო რონოდის გადაყირავება ლიანდაგიდან.

ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია. ხაზი დაზიანდა 100 მეტრის მანძილზე. დაზიანდენ ამასთანავე რონოდებიც. ბალაჯარიდან შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს დამხმარე მატარებელი. ბალაჯარში შეადგინეს ახალი მატარებელი, რომელშიაც გადასვეს მგზავრები და გაგზავნეს.

შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოარკვია, რომ ხაზი და ყველა მოწყობილობანი გზისა დაუზიანებელია.

შემთხვევის მიზეზად ცნობილ იქნა მესისრე მამედ რაზმედ-ოღლის უყურადღებობა.

უდიერი მოპყრობისათვის

სადგ. თბილისის მოლარე კუჭაევას ქალი, სამსახურის დროს ხშირად უდიერად ეპყრობოდა მგზავრებს.

სცნო რა ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი მავნედ და დაუშვებლად, ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ივანოვმა განკარგულება გასცა კუჭაევას ქალის ადმინისტრატიულად დასჯის შესახებ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

რადიო-დადგმულობანი გურიაში

ოზურგეთი, 21 მარტი. გურიის ოთხ ადგილას: შუხუთში, ასკანაში, ჩოხატაურში და ქალ. ოზურგეთში სწარმოებს მუშაობა რადიო-მიმღებთა დასადგმელათ. მათ შორის სოფ. შუხუთში რადიო-მიმღების დადგმა უკვე დამთავრებულია და მოქმედებს; ოზურგეთში მზად იქნება 20 მარტს, დანარჩენ პუნქტებში ამ თვის ბოლოს.

სააქციო საზოგადოება „რადიო-გადამცემი"-ს წარმომადგენელმა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამ.-კავკ. სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე რადიო-მიმღები მოეწყობა 240 პუნქტში. მთელი ეს ქსელი დამთავრდება მაისის უკანასკნელ რიცხვებში (ადს).

ებრაელ ახალგაზრდათა კრება.

ფოთი, 22 მარტი. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავე ბიურომ პირველად მოაწყო ფოთში ქალაქის ებრაელ ახალგაზრდათა კრება. კრებას დაესწრო 55 კაცი. მოსმენილ იქნა მოხსენება „საბჭოთა ხელისუფლება და ეროვნული საკითხი" (ადს).

აფხაზეთი

მაიმუნების შესყიდვა.

სოხუმი, 22 მარტი. რ. ს. ფ. ს. რ.-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ექსპერიმენტლური ენდოკრინილოგიის ინსტიტუტის ცნობით, აფხაზეთში მაიმუნების მოსაშენებელ პუნქტისათვის უკვე შესყიდულია მაიმუნები (ადს).

წერილები

აქიმბაშები ექიმების წინააღმდეგ

ერთ საუკეთესო საშუალებას აქიმბაშობასთან ბრძოლაში წარმოადგენს სამკურნალო პუნქტების გამრავლება და ექიმების, მათი თანაშემწეების, ბებია-ქალების რიცხვის გადიდება. ბევრი კუთხე ამ დახმარებას მოკლებულია, რადგან ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვაქვს საამისო შესაძლებლობა, რომ ყველგან და ყველას მივაწვდინოთ საექიმო დახმარება. ამ ნიადაგზე მრავალი საჩივარი და უკმაყოფილება გაისმის.

მაგრამ არის რაიონები, სადაც საექიმო დახმარება უკვე მოწესრიგებულია, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს მიმართოს საჭიროების დროს ექიმს და მიიღოს აფთიაქში დამზადებული წამალი. ჩვენ ეხლა სწორედ ასეთ რაიონებზე გვინდა ლაპარაკი. ცხადია, რომ ექიმის სოფელში მისვლა პირველყოვლისა არ ესიამოვნება აქიმბაშს. ამიტომ თითქმის ყოველთვის აქიმბაშები სოფლად გაცხოველებულ კამპანიას აწარმოებენ საექიმო პუნქტის და მათი მუშაკების წინააღმდეგ.

მოსახლეობის კულტურულად ჩამორჩენილი ფენები აქიმბაშების ანკესზე ადვილად ეგებიან. ამის გამო სოფელში სამუშაოდ ახლად მისულ ექიმს ძალიან ხშირად დიდი ბრძოლის წარმოება უხდება იმისათვის, რომ გაჰფანტოს უნდობლობისა და იჭვიანობის ის ატმოსფერა, რომელიც მის გარშემო შექმნილია ბნელი და დაინტერესებული პირების მიერ.

ამ ბრძოლიდან ყველა ექიმი ერთნაირად გამარჯვებული ვერ გამოდის. ძალიან მოხერხებულად იყენებენ აქიმბაშები ყოველ უბრალო არასასიამოვნო შემთხვევას, რომელიც ექიმს მოუვა თავის მუშაობაში. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ყველა ავადმყოფის მორჩენა ექიმს არ შეუძლია, რაც უნდა პირველხარისხოვანი ექიმი იყვეს ის. სასწაულები საერთოდ არ ხდება და ვერც ექიმს მოვთხოვთ, რომ სასწაული მოახდინოს და სიკვდილისაგან იხსნას ყველა იმედგადაწყვეტილი ავადმყოფი. არის შემთხვევები, როცა ავათმყოფი, რომელსაც ექიმი არჩენს, კვდება და აი, მაშინ იწყება ექიმის დევნისა და დამცირება-დაკნინების მთავარი კამპანია. აქიმბაშებს და მათ დამქაშებს კვერს უკრავს მიცვალებულის პირისუფლები. აგინებენ ექიმს, როგორც პიროვნებას, აგინებენ ექიმებს საზოგადოთ, ამასხარავებენ აფთიაქს და იქ დამზადებულ წამლებს და სხვა.

ამნაირი მაგალითები იმდენად ხშირია ჩვენს დაბა-სოფლებში, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამ გარემოებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. სამწუხაროთ აქიმბაშების ამგვარ საზიზღარ კამპანიას შესაფერ წინააღმდეგობას ვერ უწევენ სოფლის პარტიული და ხელისუფლების ორგანოები. არც მოწინავე გლეხობა იწუხებს ხშირად თავს, რომ ლაგამი ამოსდოს თავგასულ ბნელ ძალებს და ექიმს ნორმალური მუშაობის პირობები შეუქმნას. თუ ეს დღემდი ასე იყო, მომავალში მას ადგილი აღარ უნდა დაურჩეს.

ბ. რ—ლი.

ქიზიყის ავ-კარგი

(სიღნაღის მაზრა)

წელს ქიზიყში მშრალი ზამთრისა გამო თებერვლამდე ნახნავებში ჯეჯილის ნასახსაც ვერ ნახავდით. დათესილი ხორბალი მიწაში მშრალად და გაუღვივებლად იყო შენახული.

თებერვლის ბოლო რიცხვებში კი ქიზიყშიაც მოვიდა ბარაქიანი თოვლი, რომელიც დადნა, მიწა დალბა და ნახნავებში გადაყრილი თესლი გაღვივდა, აღმოცენდა. ამ ჟამად ჯეჯილი მიწის გულიდან სეინტრივით არის ამოქუჩქუჩებული და სასიამოვნოდ მოსჩანს. მხოლოდ ამ ჯეჯილს ეხლა საკმაო სისველე და წვიმა ეჭირვება, რომ გაიზარდოს, მაგრად გაიდგას ფესვები მიწაში და ბორჯი გაიკეთოს.

მართალია ქიზიყში ამ ჟამად ინტენსიური კულტურული მუშაობა სწარმოებს. საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს მშრომელი გლეხკაცობის გათვითცნობიერების, მათში განათლების სხივების შეტანის მიზნით, მაგალითად ქიზიყის თითქმის ყველა სოფლებში გახსნილია სასწავლებლები (ოთხწლედ-შვიდწლედები), ქოხ-სამკითხველოები, გახსნილია გლეხობის ახალგაზრდათა სკოლა, იმართება წარმოდგენა-ლექციები და სხვა. მაგრამ უმეცრებასა და ათასგვარ ცრუმორწმუნოებას ჯერ კიდევ მაგრად აქვს სოფლად ფესვები გადგმული.

ქალებ-ალაპებიც ჯერ კიდევ დიდ პატივშია ქიზიყში.

საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადოს ღარიბ გლეხკაცობის კეთილდღეობის ძირის გამომთხრელ და დამღუპველ ადათ-ჩვეულებებს და ხალხში ჯერ კიდევ მაგრად მოკალათებულ ცრუმორწმუნოებას.

გარდა ამისა ქურდბაცაცობა არა იშვიათი მოვლენაა ქიზიყის სოფლებში. სხვა მრავალ შემთხვევათა შორის აღსანიშნავია სოფელ ქვემო-მაჩხაანის კოოპერატივის განყოფილების გაქურდვა ს. მირზაანში, რომელიც მოხდა 9 მარტს ღამით. წაღებულია ფართლეულობა და სხვა წვრილმანი საქონელი.

ამ განყოფილებას დაკეტვა მოელის, თუ ბოროტმოქმედნი არ იქნენ აღმოჩენილნი. ეს მესამედ იქნა გაქურდული აქაური განყოფილება.

მალარა.

უმართებულო ბრალდება

„კომუნისტის" მე-54 ნომერში მოთავსებულია ამხ. ვეფხო აკოფაშვილის წერილი „ვინ არის ნაცვლიშვილი", რომელშიაც ავტორი სხვადასხვა ბრალს სდებს განსახკომის თანამშრომელს ალ. ნაცვლიშვილს. აღნიშნულ წერილის გამო საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი:

ორი წლის წინად გაზეთ „მუშა"-ში 1925 წ. 13 აგვისტოს № 819 ამხ. აკოფაშვილმა დასწერა იმავე შინაარსის წერილი ნაცვლიშვილის წინააღმდეგ. მაშინ ნაცვლიშვილი იყო სიღნაღის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი და მაზრის განათლების განყოფილების გამგე.

განსახკომმა მაშინვე თავის ხაზით ადგილობრივ გამოარკვია სინამდვილე და ნაცვლიშვილი სცნო უდანაშაულოდ. შემდეგ საქმეს აწარმოებდა სიღნაღის მაზრის პროკურორი, რომელმაც ხანგრძლივი და დაწვრილებითი გამოძიების შემდეგ არ სცნო ნაცვლიშვილი დამნაშავედ და საქმე გადაგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში მოსასპობად. აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ განიხილა წამოყენებულ ბრალდებათა საბუთები და მხილებათა სიმცირის გამო სრულიად მოსპო ეს საქმე.

ჩვენის აზრით ამხ. აკოფაშვილის ძველის და უკვე სათანადო ორგანოების მხრით უარყოფილ საბუთების ხელმეორედ გამოქვეყნება „საქმის სიყვარულით" არაა გამოწვეული, რაიცა სამწუხაროდ უნდა იქნას მიჩნეული.

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს 5 საათზე, რედაქციის ბინაზე შესდგება „კომუნისტის" მუშკორთა საერთო კრება.

„ამერიკული სისტემით მუშაობის შესახებ"

ამ სათაურით დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში" ამხ. შავხოფლელის წერილი. სავსებით ვეთანხმები წერილის ავტორს. ეს ახალი წესი მოძრაობისა სავსებით არევ-დარევს და ჩამოაქვეითებს რკინისგზებზე მუშაობის ნაყოფიერებას. ორთქლმავლებზე პატრონების მოხსნა გაგვინადგურებს ამ უკანასკნელს. დღესაც სჭირს და გვიმძიმს 75.000 ფუთის წაღება და რაღა მოგვივა, როცა ეს ორთქლმავლები დარჩებიან უპატრონოთ, აღარავინ მოუვლის მათ, აღარავინ გაუფრთხილდება?

ორთქლმავალს უნდა მოვლა-პატრონობა, გაფრთხილება, რომ მან კარგათ იმუშაოს.

ისმის საკითხი: ვის, ან რისთვის მოუნდათ ამ მავნებელი წესის შემოღება? რას უნდა მიაღწიონ ამ ახალი წესით. რა სიკეთე გამოვა აქედან. ჩვენ მოვითხოვთ ამის გამორკვევას. თუ დაგვიმტკიცებენ, რომ ეს ახალი წესი რკინისგზის ეკონომიურობისათვის საჭირო და სასარგებლო—კარგი. ჩვენ თავს გადავდებთ და ვეცდებით ის გავატაროთ ცხოვრებაში მაგრამ თუ ეს ახალი წესი საზიანოა, დამღუპველია ნება მოგვეცით მოვსთხოვოთ პასუხი მის შემომღებს. ნება მოგვეცით მოვსთხოვოთ რკინისგზის სათავეში მდგომ ამხანაგებს აგვიხსნან რაშია საქმე..

ჩვენ გვეტყვიან, რომ ორთქლმავლების ნაკლებობაა და აი გვინდა რაც გვაქვს ისინი გამოვიყენოთ სავსებით, დაუსვენებლივ და გუნდებს კი დასვენება უნდაო.

ეს ჩვენც ვიცით. ჩვენ უწევთ ამ გარემოებას ანგარიშს. შესაძლებელია ორთქლმავალს ყავდეს ორი პატრონი და ამ ორთქლმავლის მუშაობის უნარიანობა გამოვიყენოთ სავსებით. თუ მოხდა ისეთი შემთხვევა, რომ ორივე გუნდმა უკვე გააკეთა კუთვნილი საათები და აღარ შეიძლება მათი სამუშაოზე გაგზავნა, ორთქლმავალი-კი უნდა გაიგზავნოს—ასეთი შემთხვევისათვის ვიყოლიოთ რამოდენიმე გუნდი მარქაფათ, ანუ ასეთ შემთხვევაში გავაგზავნოთ რამდენიმე მგზავრობაზე ისეთი გუნდი, რომელსაც საათები აკლია.

თუ ასე მოვიქცევით არც ორთქლმავალი გაგვიცვდება და მას პატრონიც ეყოლება. ეს საკითხი მეტად საყურადღებო საკითხია. მივაყაროთ ერთად თავი. ავწონ-დავწონოთ საქმე. დაგვეკითხეთ ჩვენც, ვის ზურგზეც გადადის მთელი ეს მუშაობა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვალდებულათ ვთვლით ჩვენ თავს ვსთქვათ რაც სათქმელია.

ჩვენც მოგვისმინეთ. **ძველი მემანქანე.**

სამუშაო დროს გაცდენა დაუშვებელია

ჩვენ, მუშები და მოსამსახურენი დროს დაკარგვას დიდათ არაფრად არ ვაგდებთ. 15-20 წამით სამსახურში დაგვიანება, ან სამსახურიდან ადრე წასვლა თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. მუშა-მოსამსახურე ხანდახან მთელ საათებს უბრალო მუსაიფსა და ლაზღანდარობაში ატარებს, რითაც არა მარტო თვითონ ცდება, არამედ აცდენს დანარჩენ ამხანაგებსაც. ხშირად ხდება, რომ მუშა ან მოსამსახურე გამოცხადდება დილით სამსახურში, წაიმუშავებს ერთი-ორი საათი და შემდეგ მიდის ამბულატორიაში, სადაც რამდენიმე საათს და ხანდახან კი მთელ დღეს აცდენს. დიდ ზიანს აყენებს ჩვენს წარმოება დაწესებულებას ლოთობიდან გამოწვეული დღების გაცდენაც. მუშა-მოსამსახურე დათვრება და შემდეგ 3-4 დღე სამუშაოზე არ ცხადდება. ასე ტყვილა-უბრალოდ დროს დაკარგვა დიდ ზარალს აყენებს ჩვენს წარმოება-დაწესებულებებს. აფერხებს შრომის ნაყოფიერებას, წარმოების მწყობრ მუშაობას, დისციპლინის განმტკიცებას.

ჩვენ, მუშებმა და მოსამსახურეებმა უნდა ვისწავლოთ დროის დაფასება. უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ მიერ გაცდენილ ყოველ წამს ზარალი მოაქვს მუშური სახელმწიფოსთვის. კანონის მიერ დაწესებულ დროს ყოველი მუშა და მოსამსახურე სრულად უნდა აძლევდეს წარმოება-დაწესებულებაში მუშაობას. ექიმობას და სხ. საქმეებს უნდა მოვახმაროთ სამუშაო საათების გარეშე დარჩენილი დრო. ადმინისტრაციამ პროფკავშირებთან ერთად თვალყური უნდა ადევნონ, რომ მუშები და მოსამსახურენი მუშაობის დროს არ აცდენდენ. იმათ წინააღმდეგ კი ვინც არ დაემორჩილება შრომის დისციპლინას, მიღებული უნდა იქნეს სათანადო ზომები.

ი.

ჩვენშიც უნდა ვრცელდებოდეს შრომის კანონი

სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ ავჭალის სამილიციო რაიონის თანამშრომლები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან მეტის-მეტი დატვირთვით. ადგილობრივად არ არის მარქაფის ოთახი მოწყობილი; 24 საათში 4 საათიც რომ დავისვენოთ იმის ადგილიც არ გვაქვს. არ მოიძებნება ცალიერი ხის ტახტებიც, თითქმის არა გვაქვს დასაჯდომი სკამებიც.

დღე და ღამე არ არის დასვენება; მორიგე ასრულებს 24 საათის სამსახურს, ცვლის შემდეგ არ იძინებს, ვინაიდან იგზავნება სხვადასხვა საქმეების ასასრულებლად. თანამშრომლები დატვირთულია უწყებებით; თითეულ თანამშრომელს დღეში მაინც უხდება 7-10 ცალი უწყების გლეხობაზე ჩაბარება. ხსენებული რაიონი კი სივრცით დიდია. ა.-წ. 5 იანვრის ბრძანებით, როგორც ქალაქში ისე მაზრაში შემოღებულია 192 საათის მუშაობის შემდეგ გამოსასვლელი დღეები. ხსენებულ რაიონში ეს არ ტარდება ცხოვრებაში. სამაგიეროთ ამისა დილის 5 საათიდან ღამის 12 საათამდის ვმუშაობთ. იმედია ასეთ ცუდ მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციის უფროსი და ჩვენს მდგომარეობას გამოასწორებს.

ფირ.

ვინ ისარგებლა

ჯერ კიდევ 1924 წელს აღიძრა საკითხი დამსახურებულ და დიდი ხნის ნამუშევარ მუშებისთვის იუბილეს მოწყობის შესახებ, მუშების დაჯილდოვება. ქალაქის სასაკლაოს ადმინისტრაციამ და ადგილკომმა ამის შესახებ აღძრა საკითხი ქალაქის კომუნალურ განყოფილებაში, რაზედაც კიდეც მიიღეს ნება. იუბილეს მოსაწყობად კომუნალურმა განყოფილებამ ცოტა წვლილიც გაიღო ფულად, სასაკლაოს დრამწრე შეუდგა საიუბილეო ზეიმისთვის პიესის შერჩევას. ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ამ ლოდინში განვლო 3-4 თვემ, არა ეშველა რა. ბოლოს კი ადგილკომმა განაცხადა იუბილეს მოწყობა აკრძალულიაო. დარჩნენ პირმშრალი, სამზადისიც შეწყდა და ფულმაც ჩაილულის წყალი დალია. ახლა ამ უკანასკნელ ხანებში თითქმის ყველა გაზეთებში ვხედავთ და ვკითხულობთ, რომ დამსახურებულ მუშებს უხდიან იუბილეს. ნუ თუ სხვა წარმოებებში შეიძლება და სასაკლაოს დამსახურებულ მუშებისთვის არ შეიძლება იუბილეს მოწყობა. დადის სასაკლაოში ხმები, რომ კომუნალურ განყოფილებას გადმოუგზავნია დამსახურებულ მუშებისთვის დასაჯილდოვებლად ფული მაგრამ არ იციან ვინ ისარგებლა. მუშები საყვედურს გამოსთქვამენ ამის შესახებ.

ვინც იცის.

მუშათა ქრონიკა

— **თანხების გაღება.** რკინის გზის გამგეობამ დაადგინა წევის დარგს გადასცეს 2.000 მან. საწარმოო თათბირების დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

— **კლუბებისთვის.** სამტრედიის საუბნო კომიტეტმა სენაკის კლუბის საჭიროებისათვის გაიღო 80 მან., ხოლო დამცველ რაზმის კლუბისათვის 70 მან.

— **ტრამვაის კლუბში.** დღეს მუშათა თეატრის ძალებით წარმოდგენილი იქნება პიესა „რაც გინახავს ველარ ნახავ".

— **გამგეობის გადარჩევა.** 17 მარტს მოხდა რკინის გზის ახალგაზრდათა კლუბის გამგეობის გადარჩევა. ახალ გამგეობაში არჩეულ იქნა 17 კაცი.

— **ლექციები.** თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"-ს ქარხკომმა საჭიროდ სცნო სისტემატიურად ჩატაროს ლექციები სოვხაზე, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა თემებზე.

— **კედლის გაზეთი.** ქ. აღმასკომის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „აღმასკომის მეთვალყურის" მე-16-ე ნომერი.

— **მოხსენება.** 12 მარტს, პლეხანოვის სახ. კლუბში თებერვლის რევოლიუციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. თოდრიამ. ხალხი ბლომად დაესწრო.

კრებები და თათბირები

სახალხო კავშირის მუშაკთა ამიერ-კავკასიის ყრილობა

22 მარტის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ე. კვანტალიანის მოხსენების გარშემო. კამათში გამოსულმა ორატორებმა დამაკმაყოფილებლად სცნეს სამმართველოს მუშაობა და მიუთითეს მას ზოგიერთ წვრილმან დეფექტების გამოსწორების საჭიროებაზე.

კამათის შემდეგ ვრცელი საპასუხო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. კვანტალიანი, რითაც დაიხურა დილის სხდომა.

ექსკურსია ზაჰესში

ნაშუადღევის სამ საათზე სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული დელეგატები გაემგზავრენ ზაჰესის დასათვალიერებლათ. ზაჰესში დელეგატებს განმარტებას აძლევდა ადგილობრივი ტეხნიკოსი. დელეგატებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ლენინის ძეგლს, რომელიც ითვლება ლენინის უდიდეს ძეგლად მთელ საბჭოთა კავშირში.

ზაჰესის ნაგებობათა დათვალიერებამ გასტანა საღამოს 6 საათამდე.

უკანასკნელი სხდომა

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა რეზოლიუციები საოლქო ცენტრალურ გამგეობის მოხსენების, ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლის და საოლქო სამმართველოს სანიტარიულ მოხსენებათა გარშემო.

მიღებულ რეზოლიუციებში მოწონებულია აღნიშნულ ორგანოთა საქმიანობა და დასახულია მათი მომავალი მუშაობის პერსპექტივები.

დასასრულ ყრილობაზე მოხდა საოლქო ცენტრალურ გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. საოლქო გამგეობაში გავიდნენ: ამხ. ჩიხლაძე, ჭყონია, პოლიაკოვა, ჯანკვიძე, ანანიაშვილი, მარგველაშვილი, ამიროვი, ხმიადაშვილი, მაკარუკი, ალბუზოვი, გუსეინოვი, გრანგაჩევი, თარანოვი, მარინოსიანი და ჯოჯუა.

კანდიდატებათ—ამხ. კოსტენკო, მაქსიმოვა, ვილიევი, შანაზაროვი, ულიხანოვი და ბაღდასაროვი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ზალკინი, მახარაძე და ტატევოსიანი, კანდიდატებათ—შეთაბეგოვი და გორდიენკო.

ბოლოს ყრილობამ აირჩია სახალხო კავშირის სრულიად საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები, რიცხვით ათი კაცი.

სახანძრო ინსტრუქტორთა თათბირი

მეორე სხდომა

მოხსენებები ადგილებიდან

გუშინდელ სხდომაზე თათბირმა მოისმინა ბათომის, ქუთაისის, ფოთის სახანძრო რაზმის ბრანდმაიორების და ზოგიერთ მაზრების სახანძრო რაზმების წარმომადგენლების მოხსენებანი ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

თათბირმა მოისმინა აგრეთვე საუწყებო სახანძრო რაზმების წარმომადგენელთა მოხსენებები.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს მნიშვნელოვან პუნქტებში მიღებულია პროფესიონალურ მეხანძრეთა რაზმები და მოხალისე მეხანძრე საზოგადოებანი.

მომხსენებლებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ მაზრების სახანძრო რაზმები არ არიან უზრუნველყოფილი ცეცხლის საქრობ იარაღებით.

ზოგიერთ ამხანაგების მოხსენებებიდან სჩანს, რომ ადგილობრივი ორგანოები პროვინციაში სახანძრო რაზმებს ვერ უწევენ სათანადო დახმარებას.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილე ამხანაგებმა აღნიშნეს ყველა არსებული დეფექტები და მოითხოვეს მათი გამოსწორება.

სახანძრო საქმე და მომჭირნეობის რეჟიმი

(ალ. ზირიძის მოხსენება)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახანძრო საქმისათვის კრედიტების შეკვეცა მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება.

მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია სახანძრო საქმის უკეთ მოწყობა და მისი უზრუნველყოფა საქრობ იარაღებით. ხანძრის გაჩენის შემთხვევების შემცირება გამოიწვევს სახელმწიფო ქონების დაზოგვას. მომხსენებელმა ეს აზრი დაასურათა, როგორც საკუთარი გამოცდილებიდან, ისე სხვადასხვა ქალაქების მაგალითებით.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო რეზოლიუციების გამოტანა გადაიდო შემდეგისათვის.

მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

მეორე დღე

მუშკოოპის მომავალი მუშაობა.

ამხ. მელიჩანსკის და აზინის მოხსენებათა მიხედვით მუშკოოპის რწმუნებულთა კრებამ მიიღო შემდეგი სამეურნეო-საფინანსო გეგმა 1926—27 წლისათვის:

მიმდინარე წლის სამეურნეო ორგანიზაციულ მუშაობის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სამ ძირითად ამოცანას: მშრომელი მოსახლეობის უფრო მეტად ჩაბმას კოოპერაციაში, ნამდვილი მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას და ფასების მაქსიმალურ შემცირებას. პროფკავშირთა მასის — მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმა კოოპერაციაში აყვანილი უნდა იქნეს 70 პროცენტამდე. ამასთან ერთად, უნდა გაძლიერდეს მშრომელი მოსახლეობის დანარჩენ ფენების, ქალთა და ახალგაზრდების გაერთიანება კოოპერაციაში. კოოპერატივის წევრთა ხელახალი აღრიცხვა დამთავრებული უნდა იქნეს 27 წლის სექტემბრისათვის. კოოპერაციაში წევრების საპაიო მონაწილეობა გაძლიერებული უნდა იქნეს იმ ანგარიშით, რომ ყოველ წევრზე 1927 წლის პირველ იანვრისათვის მოდიოდეს ათი მანეთი—საშუალო პაი. უნდა გაძლიერდეს მუშაობა პაის მქონე მასის და რწმუნებულების თვითმოქმედებისა და აქტივობის ასამაღლებლად. კერძოდ, გადიდებული უნდა იქნეს სადუქნო კომისიების რიცხვი, გაფართოებულ უნდა იქნეს აგრეთვე კოოპერატიული აქტივი წარმოებებში. რწმუნებულთა რაიონული საბჭოები უნდა იკრიბებოდეს უფრო რეგულიარულად. რწმუნებულთა კრებები უნდა ხდებოდეს არა ნაკლებ ოთხჯერ წელიწადში, რომელნიც უნდა ისმენდნენ მოხსენებებს გამგეობის მუშაობის შესახებ, იხილავდნენ მუშაობის საკვარტალო გეგმებს და სხვა საკითხებს.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა უნდა დაუახლოვდეს პაის მქონე მასას და უნდა ტარდებოდეს უფრო ფართოდ; შეუჩერებლივ უნდა სწარმოებდეს აგრეთვე მუშაობა მოსამსახურეთა კოოპერატიულ-საზოგადოებრივი დონის და ტეხნიკური კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

იმ მიზნით, რომ ორგანიზაციული წარმატება არ ჩამორჩეს მუშკოოპის სამეურნეო მუშაობას, საჭიროა მუშკოოპი უფრო მეტად აშკარავებდეს პაის მქონე წევრის უპირატესობას გარეშე მყიდველის წინაშე.

სავაჭრო ბრუნვა გეგმით გათვალისწინებულ თანხაზე (18.429.000 მანეთზე) ნაკლები არ უნდა იყვეს.

შესყიდვის ოპერაციების დროს გამგეობა უნდა ეცადოს უფრო გააფართოვოს და განამტკიცოს სამეურნეო კავშირი კოოპერატიულ სისტემასთან. უახლოეს პერიოდში სამეურნეო მუშაობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს არა სავაჭრო ქსელის გაფართოებას, არამედ არსებული აპარატის უფრო მეტად დატვირთვას. ამავე დროს საჭიროა სავაჭრო პუნქტების რაციონალური განაწილება, ისე რომ თვითეული პუნქტთაგანი თანაბარი სივრცის რაიონს შეიცავდეს.

გამგეობა უნდა ეცადოს, რომ ცალობითი ვაჭრობა სავსებით გადაეცეს მუშკოოპს.

საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ქალაქში ღამის ვაჭრობის აკრძალავად, ღამით ვაჭრობის უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ მორიგე კოოპერატიულ მაღაზიებს. გამგეობა მთელი ენერგიით უნდა ეცადოს დანართი და საერთო სავაჭრო ხარჯების შემცირებას იმ ანგარიშით, რომ სამეურნეო წლის დამდეგს ეს ხარჯები ათ პროცენტს არ აღემატებოდეს. გამგეობამ უნდა ეცადოს აგრეთვე შეამციროს საბანკო პროცენტი, საიჯარო გადასახადი და სხვ. გამგეობამ აგრეთვე უნდა განაგრძოს მუშაობა შტატების შესამცირებლად, აპარატის სარაციონალიზაციით და გასაიაფებლად.

საშუალებათა ტრიალი უნდა გაძლიერდეს უმთავრესად სადებიტორო ვალიანების შეზღუდვის გზით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძველი ვალების ლიკვიდაციას.

ფასების დასაკლებად წარმოებულ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ მთელი კოოპერატიული აქტივი—რწმუნებულთა, სადუქნე კომისიების და თვით პაის მქონეთა სახით.

მუშკოოპის ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცება უნდა სწარმოებდეს უმთავრესად საპაიო თანხის გადიდების და პაის მქონე წევრთა მხრივ ანაბარების მოზიდვის გზით და აგრეთვე უმოძრაო აქტივიდან თანხების განთავისუფლების საშუალებით.

გამგეობამ უნდა ეცადოს მიიღოს გრძელვადიანი სესხი 200.000 მანეთის რაოდენობით და საბანკო კრედიტი გაადიდოს 1.250.000 მანეთამდე.

შემდეგ კრებამ დაამტკიცა მუშკოოპის რწმუნებულთა საბჭოსა და რაიონულ ბიუროების დებულება.

წითელი ჯვრის რწმუნებულთა ყრილობა

მე-5-ე სხდომა

სარევიზიო კომისიის მოხსენება

ამხ. სიკინჯილაშვილი ყრილობას აცნობს სარევიზიო კომისიის საქმიანობას და დასკვნაში აღნიშნავს, რომ საზოგადოების ყველა განყოფილების საქმიანობა, სარევიზიო კომისიას დამაკმაყოფილებლად მიაჩნია, გარდა საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებისა, რომელსაც აქვს დეფექტები.

მომავალში, სარევიზიო კომისიის აზრით, საჭიროა მხოლოდ სამი განყოფილების შექმნა და დანარჩენთა გაუქმება. ეს განყოფილებებია: საორგ.-საინსტრუქტორო, საფინანსო-სამეურნეო და საექიმო-სასანიტარო. სარევიზიო კომისიას ამასთან ერთად საჭიროდ მიაჩნია საწევრო გადასახადის გადიდება.

საღამოს სხდომა გაიხსნა კამათით მოსმენილ მოხსენებების გარშემო. კამათი დამთავრდა 21 მარტის დილის სხდომაზე.

კამათის დასრულების შემდეგ ყრილობა შეუდგა ადგილებიდან მოხსენებების მოსმენას.

მე-6 სხდომა.

მოხსენებები ადგილებიდან დასრულდა. გუშინ საღამოს სხდომაზე. ყრილობამ მოისმინა მოხსენებები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების და ყველა მაზრების წარმომადგენლებისა.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ წითელი ჯვარი მოსახლეობაში დიდ პოპულარობას და ნდობას იხვეჭს.

ადგილობრივ ორგანიზაციების საქმიანობის ერთმანეთთან შედარებიდან ირკვევა, რომ აფხაზეთში მუშაობა სამაგალითოდ არის დაყენებული. აჭარისტანში წითელ ნახევარ-მთვარის კომიტეტის საქმიანობას წელს თვალსაჩინო გაუმჯობესება ეტყობა. რაც შეეხება მაზრებს, მუშაობა ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ყოფილა რაჭის მაზრაში. დანარჩენ მაზრებში ორგანიზაციების საქმიანობა გამოკეთება ემჩნევა.

უკანასკნელი სხდომა

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა საზოგადოების 1926—27 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამასთანავე გადასინჯულ იქნა საზოგადოების წესდების ზოგიერთი მუხლები.

არჩევნები

დასასრულ ყრილობამ აირჩია საზოგადოების თავმჯდომარე, ცენტრალური კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. პ. კაკალიშვილი. ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნა 51 წევრი, მათ შორის გარდა ავტონომიურ რესპუბლიკების და მაზრების წარმომადგენლებისა პერსონალურად აირჩიეს: ამხ. ლ. დუმბაძე, გ. ნუცუბიძე, ქ. ხომერიკი, გ. კუპაიძე, აბზიანიძე, ი. მამულია, კამალოვი, მარ. ორახელაშვილი, ლ. ხუბიშვილი, ნ. მახარაძე, ბ. მაჩაიძე, ლ. ქართველიშვილი, პროფ. ვირსალაძე, პროფ. ალადაშვილი, პროფ. მაჭავარიანი, ს. თოდრია, ქ. მოდებაძე, მ. ჩოდრიშვილი, ახრიბეკოვი, ქ. ცომაია და სხვები.

კანდიდატებათ ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნა 10 კაცი.

სარევიზიო კომისია აირჩიეს—5 კაცის შემადგენლობით.

ყრილობის დადგენილებით მომავალში საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობები შესდგება 2 წელიწადში ერთხელ, კონფერენციები კი ყოველ წლიურად.

ამასთანავე საწევრო გადასახადათ დაწესებულ იქნა წითელ არმიელებისა და მოწაფეებისათვის—25 კ. გლეხებისათვის—50 კაპ. და მუშა-მოსამსახურეებისათვის—75 კაპ.

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

ა. კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აუცილებლად და მიზანშეწონილად სცნო ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მაღაროების ექსპლოატაციის დაწყება 1930 წლიდან.

ამისათვის აუცილებლად იქნა ცნობილი შავი ზღვის რკინის გზის დაჩქარებით გაყვანა ოჩამჩირემდე და რკინის გზის შტოს გაყვანა ოჩამჩირიდან ტყვარჩელამდე 1930 წელში.

გარდა ამისა, აუცილებლად იქნა ცნობილი მოწესრიგებული იქნეს 1926—27 წლის განმავლობაში ოჩამჩირე-ტუპის და ტუპ-რაიონის გზა, რისთვისაც გადადებული უნდა იქნეს 250.000 მანეთი. ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას დაევალა აღძრას ამის შესახებ სათანადო შუამდგომლობა საკავშირო ორგანოების წინაშე.

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გეოლოგიურმა კომიტეტმა ჩაატაროს გეოლოგიურ-გამოკვლევითი მუშაობა ტყვარჩელის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც ჯერ არ ყოფილა გამოკვლეული.

26—27 წლის განმავლობაში გამოკვლევითი მუშაობა უნდა სწარმოებდეს იმ თანხებით, რომელიც გადადებულია საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში. ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე საოპერაციო წელში.

ამავე დროს, ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო დაარსებული იქნეს აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან სპეციალური კომისია მაგნიტის რკინეულობის მადნის გამოსაკვლევად დაშკესანის რაიონში და გეოლოგიურ გამოკვლევითი მუშაობის დასაჩქარებლად.

საქართველოს და აზერბეიჯანის სახკომსაბჭოებს დაევალა წინადადება მისცენ თავის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს, რათა მათ მიმდინარე წლის აგვისტოსათვის წარადგინონ ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიაში მომავალი წარმოებების მუშაობის გეგმა და წინასწარი პროექტები.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

კრედიტი საბჭოთა მეურნეობებისათვის

საბჭოთა მეურნეობებისათვის კრედიტების მიწოდების მიზნით, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა, რესპუბლიკანურ ბანკებს გაუხსნა კრედიტი—200.000 მან. რაოდენობით.

აქედან საქართველოს ბანკს კრედიტი გაეხსნა—100.000 მან. რაოდენობით, აზერბეიჯანის ბანკს—60.000 მან. და სომხეთისას—40.000 მან.

ძირითად და სპეციალურ კაპიტალის გასაძლიერებლად

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ქსელის ძირითად და სპეციალურ თანხების გასაძლიერებლად. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მიმდინარე წლის მეორე მეოთხედის ანგარიშში, რესპუბლიკანური ბანკების საშუალებით განაწილა—260.000 მან. სპეციალური თანხების გასაძლიერებლად—საქართველოს ქსელს—83.100 მან., აზერბეიჯანისას—66.000 მან. და სომხეთისას—33.000 მან., ხოლო ძირითადი თანხების გასაძლიერებლად კი: საქართველოს—35.000 მან., აზერბეიჯანს—28.000 მან. და სომხეთს—14.000 მან.

აღნიშნული თანხები გაცემულია გრძელვადიანი სესხის სახით—10 წლით.

თანხები მელიორაციისათვის

განსაკუთრებულმა კომისიამ, არჩეულმა ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკთან, განიხილა საკითხი საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის მიხედვით ა. კ. მელიორაციის საჭიროებისათვის გადადებულ 420.000 მ. განაწილების შესახებ.

კომისიის დადგენილებით ეს თანხა განაწილებულ იქნა რესპუბლიკებს შორის შემდეგ ნაირად: საქართველოს—126.000 მან. (30 პროც.) აზერბეიჯანს—252.000 მან. (60 პროც.) და სომხეთს—42.000 მან. (10 პროც.) თანხები გაცემულია გრძელვადიანი სესხის სახით—10 წლით.

გარდა ამ თანხებისა ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკმა მელიორაციის საჭიროებისათვის დამატებით გასცა ავანსის სახით—100.000 მან., რაც რესპუბლიკებს შორის ნაწილდება ასე: საქართველოს—50.000 მან. და აზერბეიჯანს—50.000 მან.

სას.-სამეურნეო კრედიტი ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში.

როგორც გამოირკვა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მთავარ ორგანიზაციულ დეფექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ორი საფეხური (სახელმწიფო და კოოპერატიული) არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც ასუსტებს კავშირს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის პირველი საფეხურის უჯრედებსა და ხელმძღვანელ დაწესებულებებს შორის. ამიტომ მორიგ ამოცანად უნდა ჩაითვალოს კოოპერაციის და დაბალი საკრედიტო ორგანიზაციების მონაწილეობის გაძლიერება რესპუბლიკურ ბანკების ძირითად კაპიტალებში, აგრეთვე უფრო მჭიდრო ორგანიზაციულ კავშირის გაბმა ცალკე საფეხურებს შორის. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ბანკების სისტემის ფინანსიურ ამოცანებს, საჭიროა საკრედიტო პოლიტიკის ისე წარმართვა, რომ გრძელვადიანი კრედიტის ფონდი სავსებით იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა საჭიროა მოკლევადიანი კრედიტის გაცემა შეფარდებული იქნეს არსებულ კანონთან. სასწრაფოდ იქნეს გასაღებული სასოფლო-სამეურნეო ბანკების ძირითადი კაპიტალები, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანიზაციები და სამეურნეო ორგანოები უფრო ფართო მონაწილეობას უნდა იღებდენ ბანკების ძირითად კაპიტალებში და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებათა სარევიზიო მუშაობა არა საკმაოდ დამაკმაყოფილებლად არის აღიარებული. საჭიროდ არის ცნობილი თვით მოხსენებების ფორმების გამარტივება.

ორგანიზაციულ პრობლემებს შორის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ურთიერთობას სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემასთან. საჭიროდ არის ცნობილი, რომ ამ სისტემის წარმომადგენლები პერსონალურად შედიოდენ ორივე ცენტრის ხელმძღვანელ ორგანოებში სარევიზიო და საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ფუნქციების დარგში.

კრედიტის გეგმიანად მიწოდების ფორმები გადასინჯული უნდა იქნეს, საჭიროა მათი მეტი მოქნილობა, რომ ისინი არ აფერხებდენ ქვედა საფეხურის თვითმოქმედებას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა ღონისძიებები სესხების გასანაწილებლად და აგრეთვე საკრედიტო პოლიტიკის ისე წარმართვისათვის, რომ სოფლის საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად უზრუნველყოფილი იქნეს ღარიბ გლეხთა მეურნეობის ზრდის უფრო ინტენსიური ტემპი.

ვაჭრობა ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, ვაჭრობის მდგომარეობა თებერვალში ასეთი იყო: მთელი ვაჭრობა ამიერ-კავკასიაში, გამოიხატა—12.347.000 მანეთში, წინათვესთან შედარებით სავაჭრო ბრუნვა შემცირებულა 17,8 პროც.; აქედან საქართველოში ვაჭრობა თებერვალში შემცირებულა—15,3 პროც.; აზერბეიჯანში—15,6 პროც.; სომხეთში 44,4 პროცენტით. საბითუმო ვაჭრობის ბრუნვის შემცირებასთან ერთად შემცირდა საცალო ვაჭრობაც 14,5 პროც.; ამასთან საგრძნობლად დაიკლო საქონლის მოძრაობამ საქონლის საფონდო ბირჟებზეც.

სავაჭრო ბრუნვების ასეთი შემცირება თებერვალში სეზონური ხასიათისაა, ხოლო წინა წლებთან შედარებით იგი უფრო ძლიერია.

ბათომის ნავთსადგურის გაფართოება

ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების განყოფილება შეუდგა მუშაობას ბათომის ნავთსადგურის გასაფართოებლად. გაფართოება გამოიხატება იმაში, რომ აგებულ იქნება ახალი გემთსადგომი, რომელიც მნიშვნელოვნად გააფართოებს ნავთის გადასაზიდ გემების სადგომს და ნავთის პროდუქტების ექსპორტს გაადიდებს 25 მილ. ფუთით წელიწადში (ამ ჟამად ეს რაოდენობა უდრის 100 მილ. ფუთს წელიწადში, რაიც საკმაო არ არის ნავთის ექსპორტის ზრდის გამო). მთელი მუშაობა დაჯდება 600.000 მან. და დამთავრდება 2 წელიწადში.

სასამართლო

მესროპიანცის ოჯახის მკვლელთა საქმე

19 მარტის დილის სხდომა.

ქუთაისი, 22 მარტი. სასამართლოს 19 მარტის დილის სხდომაზე ექსპერტიზამ წარმოადგინა თავისი დასკვნა ზოგიერთ ბრალდებულთა ჰასაკის შესახებ. ექსპერტიზის აზრით, ონიანი არის არა ნაკლებ 17 წლისა, გოშკეთელიანი არა ნაკლებ 18 წლისა, ხოლო ორივე ქურდიანი არა ნაკლებ 20 წლისა.

ბრალდებულთა დაკითხვა.

გრძელდება ბრალდებულთა დაკითხვა.

ბრალდებული **ვლადიმერ ბოდოკია** სცნობს თავს დამნაშავედ უსაფუძვლოდ დაბეზღებაში და ამას იგი ხსნის პირადი ანგარიშებით.

მკვლელის დედა **მართა აივაზოვი** არ სცნობს თავს დამნაშავედ. იგი აცხადებს, რომ მას არა შემთხვევაში არ შეეძლო დაეშვა, რომ „მის მიშას" შეეძლო ასეთი ბოროტმოქმედების ჩადენა. წინასწარ გამოძიებაზე მიცემულ ჩვენებას, რომ მისი შვილი მკვლელობის დღეს იყო სახლში, იგი ხსნის შიშით.

მოწმეთა დაკითხვა.

შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეთა დაკითხვას. მოწმე **იერემაძე** აცხადებს, რომ ორი დღით ადრე მკვლელობამდე მან ონიანის ხელში დაინახა ის ხანჯალი, რომელიც სასამართლოში არის, როგორც ნივთიერი საბუთი.

საღამოს სხდომა.

19 მარტის საღამოს სხდომაზე პროკურორმა აღძრა შუამდგომლობა ონიანის და აივაზოვის შემოწმების შესახებ იმ მიზნით, რომ გამოირკვეს სქესობრივი დამოკიდებულება მათ შორის. სასამართლო აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას.

შემდეგ დაკითხული მოწმეები არაფერს ახალს არ ამბობენ.

20 მარტის სხდომა.

20 მარტს, ორი მოწმის დაკითხვის შემდეგ, რომლებთაც არაფერი ახალი რომ არ უთქვამთ, სასამართლო გაემგზავრა იმ სასტუმროს შენობის დასათვალიერებლად, რომელიც ეჭირა ონიანს, გოშკეთელიანს და ქურდიანს; დათვალიერების მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენად იყო შესაძლო სასტუმროდან გასვლა უკან კარებით ისე, რომ შვეიცარს ან სხვა მოსამსახურეებს არ შეემჩნიათ.

21 მარტის დილის სხდომა.

21 მარტის დილის სხდომაზე ექსპერტიზა აცხადებს, რომ სქესობრივი კავშირის გამორკვევა აივაზოვსა და ონიანს შორის შეუძლებელია.

პროკურორის სიტყვა.

შემდეგ საბრალმდებლო სიტყვა წარმოსთქვა პროკურორმა **გვახალიამ**, რომელმაც განაცხადა, რომ შეუძლებელია სასჯელის რაიმე შემსუბუქება ასეთი კოშმარული ბოროტმოქმედების ჩამდენთა მიმართ და მოითხოვა ყველა მის ხელისშემწყობთა სასტიკად დასჯა. პროკურორის თანაშემწე **დევდარიანი** და საზოგადოებრივი ბრალმდებელი **მინდაძე** მოითხოვენ აივაზოვის და მისი თანამონაწილეების—ონიანის, გოშკეთელიანის და ორთავე ქურდიანის დახვრეტას და ღირსეულ სასჯელს მათ დამფარველთათვის.

დამცველთა სიტყვა.

აივაზოვის და მისი დედის დამცველი **თუთბერიძე** ცდილობს დაამტკიცოს, რომ აივაზოვმა მკვლელობა ჩაიდინა არა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით. ეს ბოროტმოქმედება მას ჩაადენია მხოლოდ შიშმა ექიმის წინაშე. დამცველი მოითხოვს, რომ აივაზოვის სასჯელი განისაზღვროს თავისუფლების აღკვეთით და დანარჩენები **განთავისუფლებულ იქნან**.

ონიანის, გოშკეთელიანის და ორთავე ქურდიანის დამცველები **ლვამიჩავა** და **ლოლაძე** ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ბრალდებულებს, რომელთაც ისინი იცავენ, მონაწილეობა არ მიუღიათ მკვლელობაში და ამის შესახებ გაიგეს მხოლოდ მკვლელობის შემდეგ.

ინტერესი პროცესისადმი კვლავ დიდია. მილიცია ძლივს აკავებს ხალხს, რომელსაც სურს მოხვდეს სასამართლოს სხდომის გაჭედილ დარბაზში (ალს).

საჭირო განმარტება

დაახლოვებით ერთი თვის წინეთ ქალაქ ქუთაისში მოხდა საზიზღარი ბოროტმოქმედება: ღამით ამოწყვეტილი იქნა მოქ. მესროპიანცის მთელი ოჯახი, 4 ადამიანისაგან შემდგარი. აღნიშნული საზიზღარი ბოროტმოქმედება ჩაიდინა ვილაც მიშა აივაზოვმა.

ქუთაისის მოქალაქეთა შორის დადის ხმები იმის შესახებ, რომ ვითომც აივაზოვი იყო კომკავშირელი.

ყოველგვარი გაუგებრობის გასაფანტავად ს. ა. ლ. კ. კ. ქუთაისის მაზრკომი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ აივაზოვს კომკავშირის ორგანიზაციასთან არ ჰქონია არავითარი კავშირი.

ასეთ ყაჩაღ აივაზოვებისათვის არ არსებობს კომუნისტური კავშირი.

ბოროტმოქმედება შავი ქვის წარმოების სამმართველოში

(წერეთლის და ხითარიშვილის საქმე)

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **გიორგობიანის** და **ზეიკიძის**, პროკურორ **ქავთარაძის** და მდივან **სხბუას** მონაწილეობით დაიწყო შავი ქვის წარმოების ყოფილ მოლარის ლევან წერეთლის და მთავარი ბუხჰალტერის თანაშემწის **პავლე ხითარიშვილის** საქმის გარჩევა.

1926 წ. 21 აგვისტოს შავი ქვის წარმოების სამმართველომ აცნობა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურატურას, რომ ამავე სამმართველოს თანამშრომლებმა: წერეთელმა და ხითარიშვილმა გაფლანგეს 2.279 მან. 61 კაპ.

აღნიშნული თანხა წერეთელმა და ხითარიშვილმა დაფარა.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ წერეთელმა მიითვისა დამატებით 5.670 მანეთი.

საქმე გადაეცა პროკურატურას და დაიწყო წინასწარი გამოძიება.

წინასწარი გამოძიების დროს წერეთელი მიიმალა.

წერეთლის დედამ განუცხადა გამომძიებელს:

— როცა გამოირკვევა დაწვრილებით, თუ რა რაოდენობის თანხაა გაფლანგული,—მაშინ ფულს გადავიხდით და ჩემი შვილიც გამოცხადდება.

არ გასულა დიდი ხანი, რომ წერეთელი გამოცხადდა გამომძიებელთან.

გამოძიებით დადასტურდა, რომ წერეთლის და ხითარიშვილის მიერ გაფლანგულია 7.540 მანეთი.

გუშინ დაკითხულ იქნა ბრალდებული წერეთელი და ხითარიშვილი.

ხითარიშვილი გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ მან წერეთელთან შეთანხმებით გაფლანგა სახაზინო ქონება.

ხითარიშვილმა განაცხადა აგრეთვე, რომ ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად მათ შეადგინეს ყალბი საბუთები.

წერეთელმა ფულების გაფლანგვასა და მითვისებაში თავი სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ ხითარიშვილთან მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

წერეთელი ყალბი საბუთების შედგენაში ხითარიშვილს სდებს ბრალს.

ბრალდებულებს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრები: **შ. მესხიშვილი** და **ა. ტატიშვილი**.

სასამართლო შეუდგა მოწმების დაკითხვას.

რეციდივისტის გასამართლება

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ხერიშვილის** თავმჯდომარეობით გაირჩა **არშაკ ოსკანოვის** საქმე.

გასულ წელს ოსკანოვმა თბილისში რამოდენიმეჯერ გაქურდა სავაჭრო მაღაზიები და ბინები.

ერთ დღეს, ოსკანოვმა გაქურდა 6 მაღაზია; ამის გამო ის დააპატიმრეს.

სასამართლომ ოსკანოვს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ოჯახური ტრაგედია

ეს ამბავი მოხდა გასული წლის თებერვალში.

დიმიტრი მიხაილოვს შეუყვარდა **ანნა დევიცინას** ქალი.

მიხაილოვმა „ტკბილი სიტყვებით", რომ ვერ დაიმსახურა ქალის თანაგრძნობა, მაშინ მიმართა ქალის დედ-მამას და სთხოვა ქალიშვილი.

მშობლებმა ანნა მიათხოვეს მიხაილოვს.

დევიცინას კი უყვარდა მოქ. **დობრინსკი**.

ერთ დღეს, ქალმა განუცხადა მიხაილოვს, რომ მას უყვარს მოქ. დობრინსკი.

გასული წლის თებერვალში, ცოლმა განუცხადა მიხაილოვს, რომ ის სტოვებს მას და ცოლად მიჰყვება დობრინსკის. ამ ლაპარაკს ყური მოკრა მიხაილოვის დედამ, რომელმაც უთხრა შვილს:

— ჩვენი ოჯახი შეარცხვინა შენმა ცოლმა და კაცი არ იქნები, თუ ანნას სიცოცხლეს არ მოუსპობ.

ამ სიტყვებმა მიხაილოვი მართლაც აალელვა და ნაჯახით ორი ჭრილობა მიაყენა ცოლს.

დევიცინას ქალი მიღებული ჭრილობებისაგან განიკურნა.

მიხაილოვის საქმე გადაეცა ოლქის სასამართლოს.

შემთხვევები

ბოროტმოქმედება სამხედრო კოოპერატივში

ანდრია პოპოვი მსახურებდა სამხედრო კოოპერატივ „მეომარში" ნოქრად.

პოპოვი თვეში ღებულობდა 49 მანეთს. მიუხედავათ ამისა, მისი ცოლშვილი მდიდრულად სცხოვრობდა.

თვითონ პოპოვი ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა. ხშირად დადიოდა სასადილოებში ქალებთან ერთად და ქეიფობდა.

მაღაზიის გამგემ შეამჩნია, რომ პოპოვი, რაღაც კომბინაციებს აკეთებდა.

მოხდა რევიზია; რევიზიით გამოირკვა, რომ მოქ. **სოფიო კოვალიოვის** ქალი ხშირად დადიოდა აღნიშნულ კოოპერატივში და პოპოვთან შეთანხმებით გამოჰქონდა პირველ საჭიროების პროდუქტები და შემცირებულ საფასურს იხდიდა. კოოპერატივიდან გატანილ საქონელს კოვალიოვა ჰყიდდა და აღებული თანხის ნახევარს უნაწილებდა პოპოვს.

გამოირკვა, რომ ამ გზით კოვალიოვამ და პოპოვმა მიითვისეს 3.218 მანეთის საქონელი.

ჩხრეკის დროს პოპოვის ბინაზე მილიციამ აღმოაჩინა: 35 გირვანქა შაქარი, ჩულქები, დუხები და სხ. საქონელი.

პოპოვი და კოვალიოვა ასეთ ბოროტმოქმედებას სჩადიოდენ 1925 წლის გაზაფხულიდან 1926 წლის 10 ივნისამდე.

დაკითხვისას პოპოვმა თავი სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ მას საქონელი გამოჰქონდა კოოპერატივიდან და გასასყიდათ აძლევდა კოვალიოვს.

საქმე გადაეცა პროკურატურას.

ტრამვაის ქვეშ

გუშინ, სადგურიდან მომავალი ტრამვაის რონოდა № 7 (მარშრუტი № 2), ეორესის ქუჩაზე ცირკის პირდაპირ, დაეჯახა 6 წლის კოლია ჩავროზოვს დამ ოგლიჯა მარცხენა ხელი

ვატმანი მიხეილ გასპაროვი დაპატიმრებულია.

◆ **მტკვარში დახრჩობა.** 20 მარტს საღამოს 8 ს. ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო ანასტასია კუზმას ასული კოსტინა. გვამი ჯერ არ არის ნახული.

◆ **მუშკოოპის მაღაზიაში** № 8-9 სერგო ხანოიანს ჯიბიდან ამოაცალეს 18 მ. ჯიბგირი ალექსი ივანოვი იქვე დააპატიმრეს.

◆ **თამბაქოს ტრესტიდან** პაპიროსების მოპარვისათვის შეიპყრეს ისრაელ ბოჯიაშვილი.

◆ **კერძო ინტერესების** ნიადაგზე სოფ. ხადიკში მიხეილ კოსტანოვს დაუწვეს საბძელი. ბოროტმომქმედნი აბრამ კოჩიევი და საბა და ისიდორე კონისოვები დაპატიმრებული არიან.

◆ **ქურდების შეპყრობა.** 21 მარტს ქურდობისათვის დააპატიმრეს გიორგი ვერძელაშვილი და ვასილ ვასაძე.

◆ **ამავე დღეს** შეიპყრეს ქურდი გიორგი ბაჩატიანცი.

◆ **ამავე დღეს** ნაქურდალი ნივთებით დააპატიმრეს სევერიანე ნინუა და ბაირამ ჯაფაროღლი.

◆ **სოფ. ჯიგრაშენში** ნიკოლოზ შამანოვის საბძელში კვერცხების ძებნის დროს გიორგი პაპუნოვმა და ნიკოლოზ შამანოვმა იპოვეს გადაჭრილი სამხაზიანი შაშხანა თოფი, რომელზედაც შეექნათ დავა. წიწვაში თოფი გავარდა და ტყვია მოხვდა ნიკოლოზ შამანოვს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. პაპუნოვი მიიმალა.

◆ **27 იანვარს** ექიმ გაჩეჩილაძის ბინის გაქურდვისათვის დააპატიმრეს სარქის სარქისოვი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 21 მარტს ანდრეევის ქ. № 109 გაქურდეს ალექსანდრე ხერუმოვის ბინა.

◆ **ამავე დღეს** იურიევის ქ. № 17 გაქურდეს გრიგოლ ჯავახიშვილის სავაჭრო.

◆ **ამავე დღეს** კახეთის ქუჩა № 62 გაქურდეს გაიკ ნაცაჯანოვის ბინა.

◆ **19 თებერვლის ქუჩაზე** მარიამ ჯაროშმილოვას ჯიბიდან ამოაცალეს ფული. ჯიბგირი გიორგი ბოლქვაევი დააპატიმრეს.

ქრონიკა

ექ. გ. ელიავას დაბრუნება

პარიზიდან დაბრუნდა ექ. გ. ელიავა, რომელიც ამ 1 ნახ. წლის წინედ გაიგზავნა იქ სამეცნიერო მიზნით. ამ ხნის განმავლობაში ექ. ელიავა მუშაობდა პარიზში პასტერის ინსტიტუტში.

ექ. ელიავა არჩეულია ლექტორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის ზოგადი ჰიგიენის კათედრაზე.

სახ. უნივერსიტეტში

სოც. ჰიგიენის კათედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტთან დაარსდა სოციალური ჰიგიენის კათედრა. კათედრის ლექტორად არჩეულია ექ. **ვ. ელიაშვილი** და უფროს ასისტენტად ექ. **ი. ლორთქიფანიძე**.

კათედრა მოთავსებულია სანიტგანათლების თეატრის შენობაში (ევანგულოვის ქ.) აქვე გახსნილია სოციალური ჰიგიენის მუზეუმი.

შესავალი ლექცია ექ. **ელიაშვილმა** წაიკითხა 21 მარტს. ლექტორმა გაარკვია საკითხი სოციალურ ჰიგიენის ადგილის შესახებ საექიმო დისციპლინათა შორის და კერძოდ შეეხო ევგენიკას (შთამომავლობის გაუმჯობესება).

ლექციას დაესწრენ საექიმო ფაკულტეტის ყველა წევრები, დეკანის პროფ. მაჭავარიანის მეთაურობით, უფროს კურსების სტუდენტები და თბილისის ექიმები.

ზომა-წონის პალატა

ამიერ-კავკასიის ზომა-წონის პალატის და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ურთი-ერთობის საკითხების დასამუშავებლად ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ გამოჰყო კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. **ხუმარიანი, შავერდოვი, კვანტალიანი, ივანოვი, ავაქოვი, ნოვიკოვი, ალანია** და **ზავრიევი**.

სახელმწიფო ბუხჰალტერ--ექსპერტების ინსტიტუტი

ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ მიზანშეწონილად სცნო სახელმწიფო ბუხჰალტერ-ექსპერტების ინსტიტუტის მოწყობა ამიერკავკასიაში.

საქონლის დაღუპვა

დიდი ყინვების გამო, მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით, ჩრდილოეთ-კავკასიაში და ასტრახანში დაიღუპა 17.280 სული ცხვარი და 29 ცხენი და ჯორი.

მეაბრეშუმეობის კურსები

თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურთან ამ მოკლე ხანში გაიხსნება მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორთა კურსები; მეაბრეშუმეობის კურსები გაიხსნება ქუთაისშიაც, ადგილობრივ მეაბრეშუმეობის სადგურთან. ამ ჟამად მუშავდება კურსების პროგრამა და იწვევენ სპეციალისტ-მასწავლებლებს.

მეორე სახელმწიფო სესხის ობლიგაციები

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის ცნობით, მეორე სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, რომლებიც გაუშვეს ტირაჟში (სერია: 3,11, 15, 16 და 18) და ვერ მოიგეს, საკავშირო ფინსახკომის განმარტების თანახმად მიიღებიან ყველა სალაროებში 1927 წ. სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ანგარიშში.

თბილისის აღმასკომში

◆ **შრომის ბირჟის** გამგებლობაში მყოფი სატრიკოტაჟო ფაბრიკა გადაეცა აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას.

◆ ქალაქში სისუფთავის დაცვის მიზნით ქუჩებში დაიდგმება საფურთხებელი ყუთები.

◆ **თბ. მაზრაში საქონლის ჭირთან** მებრძოლი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. თხილავა.

◆ **ქვე-განყოფილებების გაუქმება.** პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმდა საუწყებო კონტროლის და ფინკონტროლის ქვე-განყოფილება.

◆ **უმუშევართა კოლექტივებს** აღმასკომის დადგენილებით კომუნალურ გადასახადებში მიეცემათ შეღავათი 25 პროც.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **ვაზის დამყნობა.** დაიწყო ვაზის დასამყნობ მასალის განაწილება გლეხებს შორის. დასავლეთ საქართველოში მასალას გაანაწილებს ვარციხის სახ. მამული, კახეთში—მუკუზნის და წინანდლის სახ. მამულები.

◆ **იონჯის თესვა.** ბორჩალოს მაზრაში გაიგზავნენ სპეციალისტები, რომლებსაც დავალებული აქვს მოხსენებების გაკეთება გლეხებს შორის იონჯის და ქარხალის თესვა-მოყვანის შესახებ.

◆ **ხეხილის ნერგები.** „სკრის" სახალხო მამულში ამ ჟამად სწარმოებს ნამყენი ვაშლის ნერგების გაცემა. დანარჩენი ხეხილის ნერგების გაცემა მოთავებულია.

შრომის კომისარიატში

◆ **შრომის მუზეუმში** ახლო მომავალში დაიწყება ლექციების კითხვა შრომის დაცვის და სოც. დაზღვევის საკითხებზე.

◆ მცირე-წლოვანთა მიღება სამუშაოზე აკრძალულია შრომის ინსპექციის ნებართვის გარეშე.

◆ **ჯანმრთელობისათვის** მავნე დაწესებულებებში შრომის კომისარიატის დადგენილებით დასაშვებია მოზარდთა მიღება 18-20 წლამდე მხოლოდ კვალიფიკაციის მიღების მიზნით.

კრებები და მოხსენებები

— **ექიმთა კრება.** ოთხშაბათს, 23 მარტს, საღამოს 8 საათზე საქართველოს პროფკავშირთა დიდ დარბაზში (რუსთაველის გამზირი № 17) შესდგება ქ. თბილისის ექიმთა საერთო კრება.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს, 23 მარტს, შრომის ბირჟის კვალიფიციურ საწარმოვო მუშაკთა პირველი სექცია სამუშაოზე გზავნის შემდეგ პირებს: **ოსკანა კლევაჩუკი, ბარბალე გურგენიძე, თამარ ხვედაძე, ნატალია მჭედლიშვილი, გიორგი სილორენკო, სარქის პოლოსოვი, ივანე ნასარიძე, არამ სარქისიანი, ოგანეს ოგანოვი, მოსეს ავანიევი, კირილე სუხაბეკოვი.** გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია გზავნის: **ელენე ორესელს, სოფიო ბუინოკიანს, ანტონ კიკნაძეს.** ამასთან არის მოთხოვნილება: **შორაპნის მაზრაში ერთი ფარმაცევტის და ერთი გამოცდილი მოწყალების დაზე—აგდაშის სახალხო საავადმყოფოში (აზერბეიჯანი),** დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება შრომის ბირჟის მედიკურ სექციაში.

ხელოვნება

ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენა

საქართველოში არც ერთ მხატვარზე არ დაწერილა იმდენი, რამდენიც ამ მოკლე ხნის განმავლობაში ფიროსმანზე დაიწერა. ფიროსმანზე კი მხოლოდ საუკეთესო მხატვრები, პოეტები და ხელოვნების მკვლევარები სწერდენ. ჯერ კიდევ ბევრია ფიროსმანის შემოქმედებაში შესასწავლი და აღმოსაჩენი.

ფიროსმანის მშრომელთა ფართო მასებისათვის გაცნობას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რადგან ფიროსმანი ამ მშრომელთა წიაღში დაიბადა და მისი შემოქმედების სათავეც სწორედ ამ წიაღიდან მოდის.

ეს ხომ უდიდესი სიხარული და გამართლებაა, რომ დიდი მხატვარი, რომელსაც ახალი ქართული მხატვრობის მამამთავრად თვლიან,—უსახლკარო გლეხია ს. მირზაანიდან (ქიზიყი).

ფიროსმანის პოპულიარობისათვის უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვართა საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენას. ფიროსმანიშვილის შემოქმედების ასეთი ფართო გამოფენა, მგონი, ჯერ არც მოწყობილა. საზოგადოდ ფიროსმანის შემოქმედება იმდენად მდიდარია, რომ ყველა სურათების შეგროვება ჯერ არ არის მიღწეული. ფიროსმანს ათასამდე სურათი დაუხატავს თავის სიცოცხლეში. გამოფენაზე სამასი სურათია წარმოდგენილი. უნდა ითქვას, რომ ამ სამას სურათში ფიროსმანის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებია.

ფიროსმანის შემოქმედებას ბევრნი იხილავენ, როგორც ქალაქის ყარაჩოღელთა ყოფაცხოვრების (უმთავრესად ქეიფი) ამსახველ მხატვრობას. ზოგი მხოლოდ ამ მხრით აქცევენ მას ყურადღებას. ეს არ უნდა ჩაითვალოს სწორად. ფიროსმანის შემოქმედებაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს სოციალურ მოტივს. განსაკუთრებით ძლიერათ მე ფიროსმანი იქ მეჩვენება, სადაც ის სოფლის შრომის სურათებს იძლევა. ეს სიძლიერე, მართალია არ კლებულობს ბუნების სურათების დახატვის დროსაც. რა შეედრება მაგალითად ფიროსმანის ცას, რომელიც ბავშვის თვალებივით ღია და ნათელია. ამ მხრით ძნელათ გულდამშვიდებით შეხედოს კაცმა „მებადური"-ს ზღვას, „არსენალის გორა ღამით"-ს, „დათვი მთვარის ქვეშ", „ნადირობა ზღვასთან" და სხვ. საქართველოს ბუნება ფიროსმანიშვილის შემოქმედებაში სიწრფელით და უზადო სიძლიერით არის გადმოცემული. დეკორატიულ სურათებში ცისფერი და მწვანე ფერი (სიცოცხლის ფერები) სჭარბობს; მზის სიცხოველე იქ ნაკლებად არის ასახული, მაგრამ მზის ნამდვილი ხურუში და ბობოქარი ბუდია „ძროხაში" და „შველი, წყალს რომ სვამს", რაც განუცდია მხატვარს წარღვნის სიძლიერით. არც ერთი სურათი არ ატყვევებს შეგრძნებას ისე, როგორც ეს სურათები. სურათების სიუჟეტიც ამას უჩვენებს: ზაფხულის ნოყიერი ბალახით ძუძუ გავსებული ძროხა და წყაროზე წყურვილის მოსაკლავად დახრილი შველი.

სოციალური მოტივისაა: „უშვილო მილიონერი და ბავშვებიანი საწყალი ქალი" და სოფლის ცხოვრებიდან აღებული შრომა-საქმიანობის სურათები: „კალოობა" (ორი სურათი), „მწყემსი", „ძროხას რომ წველის", „ყურძნის წურვა" (ორი), „ყურძნის კრეფა", „თევზაობა" (სამი), „თხა, მამალი, კრუხი, წიწილები და ძაღლი", „ბატი წიწილებით და გოგო", „კრუხი წიწილებით" (ორი), „ვირი შვილით და ბიჭი", „მუშა სასო". აქ ჩამოთვლილი სურათებიდან აღსანიშნავია, რომ ზოგი ორჯერ, ზოგი კიდევ სამჯერ დაუხატავს მხატვარს. მიუხედავად იმისა, რომ „კალოობა" (ორი სურათი) შესრულებულია საუცხოვოთ (სულ ერთია, რომელიც არ უნდა იყოს პირველად დახატული), მხატვარს მაინც მოსწყურებია მისი მეორედ დახატვა. ასეთია სხვაც. ეს ამტკიცებს, რამდენად იტაცებდა მხატვარს ამგვარი თემები. რა შეედრება, მაგალითად, ყურძნის კრეფის და წურვის სურათებს. ისეთი სინათლითა და სიმართლით არის დახატული კახეთის ბუნება და საქმიანობა.

ამ მხრით ის უსათუოდ სახალხო მხატვარია. ყოველი მუშისა და გლეხისათვის ფიროსმანიშვილის შემოქმედების გაცნობა უსათუოდ სასიამოვნო და სასარგებლო იქნება, მით უმეტეს, რომ ფიროსმანიშვილის შემოქმედების ფორმალური მხარე არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს შესაცნობად და შესათვისებლად.

უნდა ვისურვოთ, რომ არ დარჩეს თბილისში არც ერთი მუშა თავისი მოძმე მხატვარის გაუცნობლად. ამის საუკეთესო საშუალებას იძლევა ზემოხსენებული გამოფენა.

ვ. ა.

ხელოვნების ქრონიკა

ივანე ფალიაშვილის საღამო

პარასკევს, 25 მარტს ოპერის სახელმწიფო თეატრში გაიმართება რესპუბლიკის სახალხო მსახიობის **ივანე ფალიაშვილის** საღამო. პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება **ვაგნერის** ოპერა: „ლოენგრინი". მონაწილეობენ ოპერის საუკეთესო ძალები. „ლოენგრინი"-ს დადგმა ეკუთვნის მარჯანიშვილს.

დიდი ლიტერატურული საღამო

დღეს, 23 მარტს, რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო. სიტყვები: **ს. თოდრია, პროფ. შ. ნუცუბიძე**; პოეზია: **ს. აბაშელი, ვ. ბარნოვი, ხარიტონ ვარდოშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ი. გრიშაშვილი, ვ. გორგაძე, კ. კალაძე, პ. იაშვილი, ნ. ზომლეთელი, ტ. ტაბიძე, კონ. ლორთქიფანიძე, მარიჯან, მაშაშვილი, ნოზაძე, შენგელაია, ერთაწმინდელი, ს. თავაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. თათავა, ა. შანშიაშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, ა. ჭუმბურიძე, მიხ. ჯავახიშვილი,** სიმღერა: **ს. ინაშვილი,** დეკორაცია: **უ. მჭიძე**.

— **ნიკო ფიროსმანიშვილის** სურათების გამოფენა დაიხურება კვირას, 27 მარტს, საღამოს 10 საათზე.

◆ **დღეს, 23 მარტს,** სახელმწიფო აკადემიურ ოპერაში წარმოდგენილი იქნება „**თამარ ცბიერი**". პოეტ გოჩას როლში გამოდის პირველად ამ სეზონში **სანდრო ინაშვილი**.

— **ქართველ მხატვართა საზოგადოება** აწყობს გარდაცვალებულ ქართველ მხატვართა: ზერიძის, გველესიანის, გურამიშვილის, მომცემლიძის, პიტახიას, გოგიაშვილისა და ტატიშვილის სურათების გამოფენას, რომელიც გაიხსნება 1 აპრილს ა. წ.

◆ **ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება"** 23 აპრილიდან გამოვა კვირაში ორჯერ.

◆ **ბეთხოვენის საღამო.** 25 მარტს სომეხ ხელოვანთა სასახლეში ბეთხოვენის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების თავის აღსანიშნავად გაიმართება საღამო.

◆ **სომეხ მსახიობის ფაფაზიანის** 25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად აპრილის პირველ რიცხვებში რუსთაველის თეატრში გაიმართება მისი იუბილე.

გამოგონებათა ექსპერტიზა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით, შრომის ეკონომიკის განყოფილებამ გამოიმუშავა ცალკე დებულება ყველა ტრესტებთან მუშათა გამოგონებების საექსპერტო კომისიების დანიშვნის შესახებ.

საექსპერტო კომისიები დაარსებული იქნება ქარხანა-წარმოებებთან და მასში შევლენ სხვადასხვა დარგის ქარხნებში მომუშავე სპეციალისტები. საექსპერტო კომისიების დაარსების მიზანია მუშათა ახალი გამოგონებების განხილვა, გამოცდა, შუამდგომლობების აღძვრა, სათანადო ორგანოების წინაშე გამოგონების დამტკიცების შესახებ, მუშა-გამომგონებლების აღრიცხვა და სხვა.

საექსპერტო კომისიები ტრესტებთან მოეწყობა უახლოესი კვირეების განმავლობაში.

მეცნიერება და ტექნიკა

ხანძართან ბრძოლის ორიგინალური საშუალება

ამ რამოდენიმე ხნის წინათ, რუმინეთის ნავთის ერთ-ერთ სამრეწველოში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც ისეთი ფართე ხასიათი მიიღო, რომ მისი ჩაქრობა ჩვეულებრივი საშუალებებით შეუძლებელი შეიქნა. რადგან მდგომარეობა სახიფათო შეიქნა, სამხედრო სარდლობის ბრძანებით შეეცადენ ჩაექროთ ხანძარი ყუმბარების დაშენით. ცეცხლწაკიდებულ ცისტერნებს ესროლეს ზარბაზნები. ყუმბარების მიერ ამოთხრილ ორმოებში თავი მოიყარა ცეცხლწაკიდებულმა ნავთმა და მაზუთმა, რომელსაც ახლო-მახლო გამსკდარი ყუმბარები მიწას აყრიდენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ხანძარი იმდენად შესუსტდა, რომ შესაძლებელი შეიქნა მისი ჩაქრობა ნორმალური საშუალებებით.

დედამიწა ციფრებში

დედა მიწის ზედაპირის სივრცე უდრის—510 მილიონ კვადრ. კილომეტრს,

მოცულობა — 1.083.000 კუბიკ. კილომეტრს,

წრეწირი (Окружность) ეკვატორზე—40.076 კილომეტრს.

ოკეანებსა და ზღვებს დედამიწაზე უჭირავს დაახლოვებით 362.938.000 კვ. კილომეტრი, ანუ დედამიწის მთელი სივრცის 71,2 პროცენტი.

ხმელეთს უჭირავს დაახლოვებით 147.000.000 კვ. კილომეტრი ანუ დედამიწის მთელი სივრცის 28,8 პროცენტი.

დედამიწის სხვადასხვა მხარეების მიხედვით **ხმელეთი** ასე ნაწილდება:

ევროპა	9.900.000 კვ. კილ.
აზია	44.390.000 „
აფრიკა	32.000.000 „
(ჩრდილოეთ-ამ.—21 მილ.)	
ამერიკა	39.041.000 „
(სამხრ. ამ.—18 „)	
ავსტრალია წყნარ ოკეანეს კუნძულებით	8.959.000 „
პოლიარული ქვეყნები	12.669.000 „

ოკეანებს უჭირავს:

დიდს ანუ წყნარს	175.000.000 კვ. კილ.
ატლანტის	90.000.000 „
ინდოეთის	75.000.000 „

ოკეანების საშუალო სიღრმე უდრის: დიდ ოკეანეში — 4.000 მეტრს, ატლანტის ოკეანეში—4.380 მეტრს, ინდოეთის ოკეანეში—3.700 მეტრს. **უდიდესი სიღრმე** (წყნარ ოკეანეში)—9.800 მეტრი (ფილიპინის კუნძულებთან).

უმაღლესი მწვერვალებია:

ევროპაში — მონბლანი	4.810 მეტრი
აზიაში — ევერესტი	8.840 „
აფრიკაში — კილიმანჯარო	6.000 „
ჩრდ. ამერიკაში — მაკ-კინლეი	6.240 „
სამხრ. ამერიკაში — აკონკაგუა	7.040 „
ავსტრალიაში — ტაუნსენდი	2.240 „

ხმელეთის საშუალო სიმაღლე უდრის: ევროპაში—317 მეტრს, აზიაში—957, აფრიკაში—612, ჩრდ. ამერიკაში—622, სამხრეთ-ამერიკაში—617, ავსტრალიაში—240 მეტრს.

დედამიწის მოსახლეობა ამჟამად უდრის—1.800 მილიონ სულს.

დედამიწის სხვადასხვა მხარეებს შორის ეს ციფრი ნაწილდება ასე:

მილიონი სული	საშუალო სიმკვრივე
ევროპაში—450	46 სული ერთ კვ. კილ.
აზიაში—900	20 „ „
აფრიკაში—150	5 „ „
ამერიკაში—200	5 „ „
ავსტრალიაში—8	1 „ „

ბიბლიოგრაფია

ა. ლეჟავა და გ. თედორაძე. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. კ. გ. ამირეჯიბის რედაქციით.

თბილისი—1927. ფასი 1 მანეთი.

მეურნეობის ყველა დარგში გაცხოველებულ სამეურნეო აღმშენებლობასთან ერთად სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული სოფლის მეურნეობის საწარმოო იარაღების გადახალისებას, მის გაუმჯობესებას, მეურნეობის პრიმიტიულ ტექნიკიდან ნიადაგის დასამუშავებლად თანამედროვე მძიმე გუთნებისა და ტრაქტორების სისტემაზე გადასვლას.

ამ მხრივ დღის წესრიგში სდგას საკითხი სასოფლო მეურნეობის ტრაქტორიზაციის, მისი მექანიზაციის შესახებ.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის მტკივნეულ საკითხებზე გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონმა" 1925 წ. 116 სხვადასხვა სახელწოდების პოპულიარული ბროშურა გამოსცა, რითაც ოდნავად დააკმაყოფილა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურისადმი გაცხოველებული წყურვილი, მაგრამ ამ ბროშურებში არც ერთი არ იყო აღნიშნულ მწვავე საკითხზე; მას შემდეგ ჩვენს სასოფლო მეურნეობაში მანქანების ხმარების გადიდებამ, ინტერესი ამ საკითხისადმი კიდევ უფრო გაზარდა, რასაც მოწმობს ჩვენში ისეთი მძიმე სასოფლო-სამეურნეო მანქანის რაოდენობის გაზრდა, როგორიც ტრაქტორია.

მიუხედავად ამისა, არც ერთი ნაბეჭდი ნაწარმოები არ მოიპოვება ამ იარაღების შესახებ, პერიოდულ პრესაშიც ნაკლებად შუქდება მისი მოხმარებისა და გამოსადეგობის საკითხი.

ამ გარემოების გამო აღნიშნულ ავტორებს განუზრახავთ შეადგინონ ამ იარაღების სახელმძღვანელო, რომელიც რამოდენიმე წიგნაკათ იქნება გამოცემული; განზრახულ ნაშრომის პირველი ნაწილი არის აღნიშნული წიგნი, რომელიც სპეციალურად გუთნების საკითხს განიხილავს, შეიცავს მის თეორიას, აღწერილობას და მუშაობის წესებს.

ავტორები წიგნაკის შესავალში აღნიშნავენ გუთნის უპირატესობას ძველებურ კავთან, ბართან და თოხთან შედარებით, რომელიც გარდა იმისა, რომ ადამიანს ანთავისუფლებს მძიმე სამუშაოსგან, სადაც მისი როლი მიწის დამუშავების ნაცვლად, მხოლოდ გუთნის მართვით იცვლება, ადიდებს მოსავალს, იწვევს სხვა სახის მანქანების ხმარებას, რომელნიც არსებითად სცვლიან მოსავლის აკრეფის საქმეს.

იმ მუშაობის მიხედვით, რომელსაც სამეურნეო მანქანები ეწევიან სასოფლო მეურნეობაში ყოფენ მათ ორ ჯგუფად; პირველია, მიწის ის დამამუშავებელი იარაღები, რომელნიც ადიდებენ მოსავალს (გუთანი, კავი, ფარცხი, მათოხი), მეორენი კი არიან ისეთი იარაღები, რომელთა დანიშნულებაა მოსავლის აღება და მუშა ხელის გაიაფება (სამკელ-სათიბი, სალეწი, ცხენის ფოცხი და სხვ.) წიგნში, შემდეგ მოცემულია გუთნის მუშაობის თეორია, აღწერილია გუთნის სხვადასხვა ნაწილები, გარკვეულია გუთნის და კავის მნიშვნელობა, გუთნის აწყობა და დაყენება.

მაგრამ „უნივერსალური გუთანი, ე. ი. ისეთი რომელიც ყოველნაირი ნიადაგისთვის გამოდგებოდეს შეუძლებელია და არც სოფლის მეურნე გუთანს ერთსა და იმავე მოთხოვნილებას უყენებს".

ამისთვის არის გუთნის სხვადასხვა ტიპები და სისტემები, ავტორებს მოყავთ სხვადასხვა სახის გუთნები, როგორიც არის ერთი, ორი და მრავალსახნისიანი, საბრუნავი და სპეციალური (ბაღის, ტყის, ვენახის და სხვა), დაბოლოს ავტორები ეხებიან გამწევი ძალის რაოდენობის საკითხს.

საერთოდ წიგნი კარგად არის შედგენილი. დასურათებულია, დაწერილია ლამაზი ენით და სუფთად არის გამოცემული; მხოლოდ ძალიან დიდია ფასი.

სასურველია, ამ გამოსადეგი წიგნების შემდეგი გამოცემა იკისროს ისეთმა წელმაგარმა გამომცემლობამ, როგორიც სახელგამია ან ჟურ. „ახალი სოფელი", რომელიც უკეთ მოაწყობს მათი გამოცემის საქმეს და მკითხველ მასასთანაც უფრო ადრე მივა.

ვ. გ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 32

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი სისხლის სამართლის კოდექსისათვის 102_3 მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 102_3 მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 102_3. ზღვის სელაპებისა და ზღვის თახვების რეწვა გაშლილ ზღვაზე, ხოლო ზღვის სელაპების რეწვა ზღვის სანაპირო სამმილიანი ზოლის ფარგლებშიაც, აგრეთვე ზღვის სელაპებისა და ზღვის თახვების აკრძალული რეწვა ხმელეთზე, ხოლო ზღვის თახვების აკრძალული რეწვა ზღვის სანაპირო სამმილიანი ზოლის ფარგლებშიაც გამოიწვევს.

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე, უკანონოდ მონაპოვარისა, რეწვის იარაღისა და ნავჭურჭლის კონფისკაციით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე შ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. მარტის 10.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 9/85

ა.-კ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში 1927 წ. მარტის 10.

პაპიროსების საეტიკეტო ფასების შესახებ.

თანახმად ამიერ-კავკ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ა. წ. მარტის 8-ს დადგენილებისა, № 9/124 ა.-კ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

პაპიროსები მეორე ხარისხისა „ა" და „ბ" აუცილებლად ჩაწყობილ უნდა იქნეს 100 ცალად, 25 ცალად და 10 ცალად.

§ 2.

ეტიკეტების მარაგის გამოყენების მიზნით, ნებადართულ იქნეს 1927 წ. ოქტომბრის 1-მდე გამოშვება მეორე ხარისხის პაპიროსებისა „ა" და „ბ" ჩაწყობილი 20 ცალად, რომელი ვადის გასვლის შემდეგაც 20 ცალად ჩაწყობილი ამ ხარისხის პაპიროსების გამოშვება სავსებით აკრძალულ იქნეს.

§ 3.

ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის 1926 წ. აპრილის 8-ს დადგენილების, № 16/72, დანარჩენი მუხლები რჩება ძალაში.

§ 4.

ა.-კ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველ. სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინავაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 5.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 6.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ათაბეკოვი.

შ.-ვ. მომწესრიგებელი განყოფილების უფროსი ბერელაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ოთხშაბათს, 23 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აგიტპროპგანყოფილების შენობაში შესდგება ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების ქალაქის რაისაბჭოს სხდომა.

სავალდებულოა ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების რაიონულ საბჭოს წევრების დასწრება დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს, 23 მარტს, საღამოს 6 საათზე აგიტპროპმუშაობის კაბინეტში შესდგება ყველა ტიპების პოლიტსკოლების სტაროსტების თათბირი.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 24 მარტს, საღამოს 5 საათზე, შინამრეწველ ხელოსანთა კლუბის შენობაში (პლეხანოვის გამზ., № 66) შესდგება საქ. ლენინურ **კომკავშირის თბილისის კომიტეტის მე-14-ე მოწვევის მეორე პლენუმი**, საქ. ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის რაიკომების წევრებსა და კანდიდატებთან და მსხვილ უჯრედთა მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საცალო ფასების დაკლების შესახებ.
2. საქ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საკონტროლო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება.
3. სხვადასხვა.

ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს გამოცხადდენ აღნიშნულ [illegible] დაუგვიანებლად.

ს. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილე **სილაძე**.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ. უჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს (ოთხშაბათს), საღამოს 6 საათზე, უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია გაერთიანებული კომუჯრედთა დახურული კრება.

დასწრება, როგორც პარტიის წევრთა, ისე კანდიდატთა,—სავალდებულოა.

ს. კ. პ. ლენრაიკომი იუწყება, რომ 26 მარტს, საღამოს 6 საათზე, მე-6 უბნის სალიანდაგო დარგის კლუბში შესდგება რაიკომის გაფართოებული პლენუმი კომუჯრედების მდივნებთან, პროფეს. და მეურნე-მუშაკებთან ერთად. დღის წესრიგი: 1) მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შედეგების და აპარატის რაციონალურად დაყენების შესახებ და 2) მიმდინარე საკითხები.

ს. კ. პ. ლენრაიკომი.

ს. კ. პ. (ბ) ცკას აგიტპროპში 23 მარტს, დღის 1-ლ საათზე, მოწვეულია 1 მაისის ჩამტარებელ კომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მხითაროვი, ნ. მახარაძე, მარ. ორახელაშვილი, ვ. მაჭავარიანი, ცქვიტინიძე, შუშანია, დ. გვაზავა და გ. ჯაფარიძე.

სრ. საქართველოს მწერალთა კავშირი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამა წლის 22 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავშირის წევრი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე

არტურ ლეისტი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები: ტასო იოსების ასული, სვიმონ (სიკო), ნიკოლოზ, ალექსანდრე და გრიგოლ იოსების-ძენი, რძალი თამარი და შვილიშვილი ოსიკო ფიცხელაურები, დაი დარია ლევანის ასული ზარიძისა, რძალი თამარი შვილებით და ძმა ალექსანდრე ლევანის-ძე მთვარელიშვილი მეუღლით, ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

ნატალია ლევან მთვარელიშვილის ასული
ფიცხელაურისა

გამოსვენება საკუთარ ბინიდან—საპიორის ქ. № 45, ოთხშაბათს, 23 მარტს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.
2157

ღრმად დამწუხრებულნი: ალექსანდრე იოსების-ძე ფიცხელაური, თამარ ისაკის ასული აბელდიანი-ფიცხელაურისა, პატარა ოსიკოთი, ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი დიდა პირველის, დედამთილი მეორესი და საყვარელი ბები მესამესი

ნატალია ლევანის ასული
ფიცხელაურისა

გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან საპიორის ქ. № 45, ოთხშაბათს, 23 მარტს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე.
2158

21 მარტს, 3 ნახ. საათზე. მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნიკოლოზ გრიგოლის-ძე მჭედლიშვილი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი ოლღა სიმონის ასული, ვაჟები—მიხეილი და ვლადიმერი, ქალები—ნინა მელიქოვისა, ბარბარე ხარიტონოვისა ქმრებით, რძლები ალექსანდრა პავლეს ასული, ბარბარე მიხეილის ასული, დები ელენე ელიოზიშვილისა და ელისაბედი, შვილიშვილები—ოთარ, ნიკოლოზ, ვახტანგი, გრიგოლ მჭედლიშვილები და ლარისა მელიქოვისა. გამოსვენება ბინიდან—ნიაღვრის შესახვევი № 3 (მამადავითის მოედანი), ოთხშაბათს, 23 მარტს, 4 საათზე.
2156

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ბაბუსი ყარამანის ასული, შვილები: ჰიჰიკო და კოლა სიმონის ძენი და რძალი ოლია ბეგლარის ასული საყვარელიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

სიმონ (სიკო) დიმიტრის-ძე
საყვარელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 24 მარტს, სოფ. ვარდიგორაში.
ნ. 864

თავზარდაცემული და სამუდამოთ გულდაკლული შვილები: ეპიფანე, სანდრო, ნიკიფორე, მოსე, მარო და ელისაბედ (ფუდუ) ბესარიონის-ძენი და ასულნი, რძლები: ბაბულია ყარამანის ასული და ნინო დავითის ასული, შვილიშვილები: პატარა ბესიკა და ზუბიკო, მაზლისშვილები: სიმონ და არონ მარკოზის-ძენი თავიანთი ოჯახობით: სალომეთი და ელენეთი—ინაიშვილები გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 21 მარტს, საღამოს 9 ს. გარდაიცვალა მათი ძვირფასი და სამუდამოთ დაუვიწყარი დედა და მომაგე

ბაბილინა საყვარელის ასული
იმნაიშვილი

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე 22 მარტს, ელისაბედის ქუჩ. № 155, 23 მარტს, სალ. 5 საათზე, გამოსვენება სადგურზე ლანჩხუთში წასასვენებლათ. გამოთხოვების დღე (ს. შუხუთში) ცალკე იქნება გამოცხადებული.
2162

სახელმწიფო ოპერა

17 აპრილიდან 4 მაისამდე გაიმართება
სამხატვრო თეატრის უოფ. მუსიკალურ სტუდიის
სრული შემადგენლობის (100 კაცამდე) გასტროლები
დირექტ. და რეჟისორის რესპუბ. სახ. მსახ. ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს
რეპერტუარი:
ანგოს ასული მად. ლეკოკის კომიკ. ოპერა. პერიკოლა ბუფ ოფენბახის მელოდრამა. ლიზისტრატა არისტოფანეს პოლიტიური კომედია. კარმენსიტა და ჯარისკაცი ლომკეროვის ტრაგიკ. წარმოდ. ბიზეს ოპერა „კარმენ"-ის მუსიკა. ჩაღის ქუდი ლაბიშის მუსიკალური კომედია 3 მოქმედებით, მუსიკა დრნავესკის
იმ მიზნით, რომ ბილეთები პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნეს პროფკავშირთა მასები, თეატრის გამგეობა გთხოვთ დაკვეთები ბილეთებზე წარმოადგინოთ თეატრის სალაროში არა უგვიანეს 26 მარტისა. ბილეთები დაკვეთების მიხედვით გაიცემა 27 მარტიდან 3 აპრილამდე ჩათვლით. დარჩენილი ბილეთები 5 აპრილიდან გაიყიდება საერთო წესით.

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 23 მარტს, სანდრო ინაშვილის, ვოლჩანეცკაიას, ქუმსიაშვილის და შარაშიძის მონაწილეობით
თამარ ცბიერი
ხუთშაბათს 24 მარტს ე. ა. სტეფანოვას და ს. ი. მ. გაის უკანასკნელი გასტროლი
მეფის საცოლე
პარასკევს 25 მარტს მახ. მსახიობის ი. ფალიაშვილის
საღამო ლოენგრინ
ნ. 863

სახელმწიფო დრამა
ხუთშაბათს, 24 მარტს, ნ. შიუკაშვილის
ამერიკელი ძია
ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით
დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შაიშვილი
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
4—4 ნ. 828

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი
დღეს, 23 მარტს
სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის
საღამო
ქართული მწერლობის ყველა მიმართულებათა წარმომადგენლების გარდა, მონაწილეობენ: პროფ. შალვა ნუცუბიძე, მოძღ. სანდრო ინაშვილი და აკ. დრამის მსახიობი უშანგი ჩხეიძე.
ნ. 853 2—1. საღამოს პასუხისმგებელია სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო.

აპოლლო ტელ. 7-61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—18 ნ. 748
სომხეთის კინოს ნაწარმოები
„ზარე" რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი
ქურთების ცხოვრებიდან
სეზონის ახალი სურათი! პირველად თბილისში
„მეკობრეთა შთამომავალნი"
პირველად თბილისში
„ქალი ლეოპარდით"
ალისა გრედის მონაწილეობით
ანონსი: მალე მხატვრული შედევრი „სოდომი და გომორა".

მსურველთ შეუძლიათ
სავსებით შეითვისონ 3 თვის სისტემატიური და პრაქტიკული ვარჯიშობით სრული კურსი
ბუხჰალტერიის: საქარხნო, სავაჭრო ან საბიუჯეტო დარგი
მეცადინეობა მცირე ჯგუფში შემდგარი 6—7 პირისაგან—კურსის გავლა ჯგუფში 75 მანეთი, ხოლო კერძოთ ორმაგად. პირობების გაგება შეიძლება ი. ცირეკიძესთან სად. 5—7 საათამდე—რუსთაველის გამზირი № 18 მესამე სართული, ტელეფონი № 5—40. ნ. 802 10—4

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვულ და აგრეთვე ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, № 20 25—21

ექიმი ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 25—19

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი გ. ნ. ონიანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „ხახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექ. ი. ე. გაბუჩიძე
პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურად ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს. დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე, სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედანთან მეორე სართ.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, გარდა საქმით, სიფილისის და ქრონიკულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების მოსპობა, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერი) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

დაკარგა ლომბარდის ქვ. № 11154 ჩ. გ. 2153
დაკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი გაცემული ნესტორ ლუკასძე პაპკორის სახელზე, ჩ. გ. 2151
დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 16458 ალექსანდრე დიმიტრის სილიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2159
დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1481 ივანე კიოლესის სახელზე, ჩ. გ. 2160
დაკარგა პირადი წიგნაკი (სამხედრო აღრიცხვის) № 52, მოცემული თბ. სამხედრო კომისარიატიდან ილია ჯავახის სახელზე, ჩ. გ. 2161
დაკარგა პირადობის მოწმობა 2154
დაკარგა პროფწიგნაკი 2155
დაკარგა მეტრიკული № 891 2164
დაკარგა კავშირის № 1150 2163

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა